

ოპოზიცია მკვეთრ შეფასებებს არ ერიდება A2



დააკავეს ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი ძმები A6

www.liberty.ge
თავისუფლება A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ორშაბათი, 5 დეკემბერი, 2005 წელი. №269 (1169) ფასი 50 თეთრი

## ამბები

### როგორ ანვითარებს ხელისუფლება მეწარმეობას

"მე რომ მეწარმე ვიყო, ახალგაზრდა ქალებს სამსახურში არ ავიყვანდი, რადგან ისინი პირველ რიგში დედები არიან," - დიდი ხანია საქართველოში ქალებს თავი ისე შეურაცხყოფილად არ უგრძვნიათ, როგორც ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის ამ განცხადების შემდეგ.

A3

## სამართალი

### ავჭალაში კუსტარული საწარმოები დალუქეს

თბილისში, ავჭალის დასახლებაში, ფინანსურმა პოლიციამ თემურ და ვეფხია დობაძიშვილების საცხოვრებელი სახლების ეზოებში მდებარე კუსტარული საწარმოები დალუქა.

A6

## თვალსაზრისი

### ჯავახეთში სეპარატიზმი არ არსებობს

ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი, ეუთო-ს მხარდაჭერით, სამცხე-ჯავახეთში ახორციელებს პროექტს – "ეროვნებათაშორისი ურთიერთობების მართვა სამცხე-ჯავახეთში''.
იგი გულისხმობს ამ მეტად მნიშვნელოვანი და პრობლემური რეგიონის საჯარო მოხელეთა ტრენინგს იმ პრობლემათა გაცნობიერებასა და გადაწყვეტაში, რომლებიც ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სფეროში იღებენ სათავეს.

B1

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 5/12 | 6 /12 |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | 17 |
| ტყიბული | 18 | 18 |
| სოხუმი | 18 | 17 |
| დმანისი | 11 | 12 |
| გორი | 13 | 13 |
| ონი | 12 | 10 |
| ზუგდიდი | 19 | 20 |
| ახმეტა | 15 | 17 |
| გაგრა | 16 | 15 |
| სამტრედია | 20 | 20 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7925 |
| ევრო | 2.0983 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.0967 |
| რუბლი | 0.0619 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| განათლება | A 4 |
| განათლება | A 5 |
| სამართალი | A 6 |
| უცხოეთი | A 7 |
| პროექტი | A 8 |
| ტენდერი | B 2 |
| სპორტი | B 3 |
| სხვადასხვა | B 4 |


# სოფელი და თვითმმართველობა

მაია მოსიაშვილი

*"საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს პარლამენტმა 1997 წელს მიიღო. როგორ სრულდება ეს კანონი რეალობაში და რისი შეცვლაა საჭირო? - ეს კითხვები დღეს ყველაზე აქტუალურია. საქართველოს პარლამენტმა ერთი მოსმენით უკვე მიიღო თვითმმართველობის ახალი კანონპროექტი, რომელსაც ოპოზიცია ეწინააღმდეგება. "24 საათმა" მცირე ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტა. ჩვენ ქვემო ქართლის რამდენიმე სოფელში ჩავედით და თვითმმართველობის აქტუალურ საკითხებზე ხალხს გავესაუბრეთ, ნანახს და მოსმენილს კი დღეს მოქმედი კანონის შესაბამის მუხლებთან ერთად გთავაზობთ.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*სოფლის ბირჟაზე მიხვდნენ, რომ ხორცის მყიდველი არ ვიყავი.*

# ყაზახეთის უალტერნატივო არჩევანი

ნიკა თარაშვილი

*ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ ყაზახეთს, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ნავთობექსპორტიორ ქვეყანას, ნურსულთან ნაზარბაევი კიდევ 7 წლით უხელმძღვანელებს. კვირას გამართული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ჯერ არ შეჯამებულა, მაგრამ, აშკარაა, რომ ქვეყნის ამჟამინდელი პრეიზიდენტის კანდიდატურა უალტერნატივოა.*

პოსტსაბჭოთა სივრცეში კიდევ ერთმა არჩევნებმა ჩაიარა "ზედმეტი ხმაურის" გარეშე. თავიდანვე ცხადი იყო, რომ გუშინ ყაზახეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი ქვეყნის ამჟამინდელ ლიდერს, დამოუკიდებელი ყაზახეთის ისტორიაში ერთადერთ პრეზიდენტს – ნურსულთან ნაზარბაევს ჰქონდა (შეიძლება ითქვას, რომ იგი უალტერნატივო იყო.)

გაგრძელება A7 გვერდზე



*სამართლიანი ხმის მიცემის შემთხვევაშიც კი, ძნელად თუ შეძლებდა ვინმე ნაზარბაევის დამარცხებას.*

# 185 საგანმანათლებლო ობიექტის რეაბილიტაცია - სსიფ-ს გამოცდილება

185 - ის რიცხვი გახლავთ, რომელიც საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის მიერ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რეაბილიტირებული (და რეაბილიტაციის პროცესში მყოფი) სასწავლო დაწესებულების შენობების რაოდენობას აღნიშნავს.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი, საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკისა და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის თანადაფინანსებით, სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტს მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს და, შესაბამისად, საქართველოს ყველა რაიონში შეხვდებით სსიფ-ს მიერ გამაგრებულ და გარემონტებულ სკოლის შენობებს.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის მიერ, საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის 2003 წლის 2 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე და მათივე თანადაფინანსებით, აგრეთვე ხორციელდება 2002 წლის 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრით დაზიანებული განათლების ობიექტების რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც თბილისის 22 სკოლის აღდგენა-გამაგრებას ისახავს მიზნად.

შესაბამისად, სსიფ-ს გამოცდილება მოიცავს ყველა ტიპის სკოლების რეაბილიტაციის პრაქტიკას, დაწყებული მაღალმთიანი სოფლებისთვის დამახასიათებელი, მცირე, ხის კოტეჯური ტიპის სკოლების მშენებლობიდან (50-100 ბავშვზე გათვლილი), დამთავრებული ისეთი სკოლების საფუძვლიანი რეაბილიტაციით, როგორებიც თბილისის მე-10, 124-ე, 152-ე, 85-ე, 69-ე, 24-ე, 165-ე, მე-60, 54-ე, 31-ე, 139-ე, 157-ე, 48-ე, 74-ე, 83-ე, 55-ე, 187-ე, 87-ე და მე-9 სკოლები გახლავთ. აღნიშნულ სკოლებში კი მოსწავლეთა კონტინგენტი 1000 დან 1500-მდეა. სსიფ-ის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოები ისეთი სპეციფიური სასწავლო დაწესებულებების შენობებს ჩაუტარდა, როგორებიცაა ნ. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო და ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სკოლები.

გაგრძელება A4-5 გვერდზე

# დახმარება გორულად

### მმართველობა თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებებში ერევა

*ქალაქ გორის განვითარებისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი 2 მილიონი ლარიდან ქალაქის თვითმმართველობამ მხოლოდ ცხრაას ათი ათასი ლარი მიიღო. თანხა ქალაქის თვითმმართველობას კაპიტალური სამუშაოების შესრულებისთვის უნდა გამოეყენებინა. დანარჩენი მილიონ 90 ათასი ლარი ზეღდუღეთის, მერეთის, მეჯვრისხევის, ნიქოზის, ტყვიავისა და შინდისის საკრებულოებზე გადანაწილდა.*

თეა თედლიაშვილი

გორის თვითმმართველობამ აღნიშნული ცხრაას ათი ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები უკვე ჩაატარა - ქალაქში სამი ქუჩა მოასფალტდა. ქალაქის კომუნალური სამსახურის უფროსის გივი ხუროშვილის თქმით, ასფალტი სამ შრედ დაიგო, რის გამოც ერთი კვადრატული მეტრი 24 ლარი დაჯდა, გადაიხურა 16 მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინა, დამონტაჟდა განათება, თუმცა აქ ადგილობრივი ხელისუფლება გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდა. ქალაქში ინფრასტრუქტურის განვითარება და ხელშეწყობა თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებაა, გორში კი განათება გორის რაიონის გამგეობამ დაამონტაჟა. იმის გამო, რომ ქალაქის გარე განათებისთვის დახარჯული ელექტროენერგიის გადასახადის გადახდის უფლება მხოლოდ ქალაქის თვითმმართველობის ბიუჯეტიდან არის დასაშვები, გორის რაიონის გამგეობამ დამონტაჟებული განათების სისტემა გორის გამგეობას გადასცა და 20 000 ლარი, რომელიც საჭიროა სამი თვის მანძილზე დახარჯული ელექტროენერგიის გადასახადის გადასახდელად, ქალაქის ბიუჯეტში ჩარიცხა. ძნელი სათქმელია, რად მოიწადინა რაიონის გამგეობამ ქალაქის გამგეობისთვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელება, მაგრამ ცხადია, რომ გარე განათების დასამონტაჟებლად არ გამოცხადებულა ტენდერი, რაც დიდ ეჭვს ბადებს, რომ თანხები მიზანმიმართულად გადაეცა იმ ფირმას, რომლისთვისაც რაიონის გამგეობას ემეტებოდა. ამასთანავე, გორის რაიონის ბიუჯეტში არსად არ არის ასახული გარე განათების დასამონტაჟებლად გამოყოფილი თანხების ხარჯვა.

არაოფიციალურად ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ქალაქში გარე განათება და ფასადების შეღებვა გორის რაიონის განვითარების ფონდიდან დაფინანსდა, თუმცა იმის მიუხედავად, რომ ფონდების შესახებ ინფორმაცია საჯაროა, აღნიშნული ინფორმაციის მიღება ვერ შევძელით.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ახალი კანონი მშენებლებისთვის

*მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტი ცვლილებებს შეიტანს, "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონი უკანონო მშენებლობის შეჩერების საფუძველი შეიძლება გახდეს: მშენებლობაზე ნებართვის არქონა, საპროექტო მოთხოვნებისა და პირობების დარღვევა, ასევე, გარკვეული დარღვევისათვის შესაბამისი სამსახურის მიერ მიცემული გაფრთხილების შეუსრულებლობა.*

თამარ დვალი

უკანონო მშენებლობების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ეფექტურობისათვის საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდება. საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს ახალი კანონპროექტი ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ ზაზა ჭელიძემ წარუდგინა. მისი განმარტებით, კანონპროექტი ითვალისწინებს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის ან უნებართვო დემონტაჟის შეჩერებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

კორექტურული დარღვევის გამოსწორებისათვის მშენებლობის დამკვეთს, მინიმუმ, ათი დღე ეძლევა. სათანადო საფუძვლის შემთხვევაში მშენებლობა შეჩერდება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე. მშენებლობა შეჩერდება იმ შემთხვევაშიც, როცა დამკვეთი არქმშენინსპექციის მიერ შეჩერების შესახებ გამოტანილ დადგენილებას გაასაჩივრებს.

რაც შეეხება დემონტაჟს, ახალი ცვლილების თანახმად, განსაკუთრებულ სამშენებლო ზონებში არსებული შენობების დემონტაჟის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლომ ერთ თვეში უნდა გამოიტანოს. განსაკუთრებული სამშენებლო ზონები კი მთავრობის დადგენილების საფუძველზე განისაზღვრება. ასეთი ზონებია თბილისის, საქართველოს სხვა დიდი ქალაქების და კურორტების ტერიტორიები.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დსთ - გამოსვლის დრო და საფრთხეები

გიორგი ასანიშვილი

თავის დროზე, 1991 წელს, როდესაც დსთ შეიქმნა, მისი ფუნქციები და მასში შემავალი სახელმწიფოების მიზნები უკვე საკმაოდ წინააღმდეგობრივი იყო. კრემლს, როგორც ჩანს, გაცნობიერებული ჰქონდა, რომ რუსეთს, ადრე თუ გვიან, დასავლურ ცივილიზაციასთან დაპირისპირება ისევ მოუწევდა. რუსეთის ჩანაფიქრით, სწორედ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას უნდა შეესრულებინა იმ ბუფერის როლი, რომელსაც, "ცივი ომის დროს", სოციალისტური ბანაკის ქვეყნები თამაშობდნენ.

რუსეთისაგან განსხვავებული მიზნები გააჩნდათ დსთ-ში შემავალ სხვა სახელმწიფოებს. კერძოდ, საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელობას მიაჩნდა, რომ დსთ-ს წევრობა შეიძლებოდა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად გამოეყენებინა. ბევრს საუბრობდნენ, აგრეთვე, ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზეც: ზოგიერთი იმდროინდელი ქართველი პოლიტიკოსი ცდილობდა დაერწმუნებინა საზოგადოება, რომ დსთ-ში შესვლის შემთხვევაში, საქართველოში შემოვიდოდა იაფი ბენზინი, იდენდნენ "კარაქის და რძის მდინარეები"... აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს დსთ-ში შეყვანა, ფაქტობრივად, იძულების წესით მოხდა მაშინ, როდესაც გარედან ინსპირირებული კონფლიქტებით დასუსტებული ქვეყანა, ედუარდ შევარდნაძის აღიარებით, დაჩოქილ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

მოკლედ

## ენერგოსისტემისათვის თურქეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის აუცილებლობა არ არსებობს

თურქეთიდან აჭარისათვის ელექტროენერგიის იმპორტი ჯერ არ განხორციელდება. როგორც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა განაცხადა, მართალია, თურქეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის დაწყება 1 დეკემბრისთვის იგეგმებოდა, მაგრამ საქართველოს ენერგოსისტემისათვის თურქეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის აუცილებლობა არ არსებობს, რადგან მე-3, მე-4 და მე-9 ენერგობლოკები გამართულად მუშაობს.

**"თურქეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი, სავარაუდოდ, საახალწლოდ ან იანვრის დასაწყისში განხორციელდება. აჭარისათვის თურქეთიდან ზამთრის განმავლობაში 70 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგია შემოვა,"** - განაცხადა ხეთაგურმა.

შეგახსენებთ, რომ ელექტროენერგიის იმპორტი მიმდინარე წლის ზაფხულში თურქეთთან ელექტროენერგიის გაცვლის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში უნდა განხორციელდეს. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, მიმდინარე წლის ივლისიდან ზაფხულის განმავლობაში, საქართველოდან თურქეთში თვეში 40 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ექსპორტი ხორციელდებოდა.

"აჭარის ენერგოკომპანია" კი თურქეთისგან 2005 წლის დეკემბრიდან 2006 წლის ივნისამდე 230 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას მიიღებს. 1 კვტ/სთ ელექტროენერგიაში ქართული მხარე თურქეთს 1,2 კვტ/სთ ელექტროენერგიას დაუბრუნებს.

თუ რუსეთიდან ელექტროენერგია საქართველოში 2,6 ცენტად, სომხეთიდან 2,7 ცენტად შემოდის, თურქეთიდან ბარტერის სახით შემოტანილი 1 კვტ/სთ ელექტროენერგიის ღირებულება 1,8 ცენტი დაჯდება. **ინტერპრესნიუსი**

## საქართველოში ახალი ენერგეტიკული პროექტები განხორციელდება

საქართველოს ენერგეტიკაში ახალი საინვესტიციო პროექტების სარეალიზაციო სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც ენერგეტიკის სამინისტროში განაცხადეს, მალე ხელი მოეწერება ამერიკულ კომპანია USTDA-სთან ხელშეკრულებას 300 ათასი დოლარის ოდენობის გრანტის გამოყოფის შესახებ. ეს თანხა ზესტაფონი-ახალციხე-ყარსის 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებული საქმის შესწავლაზე დაიხარჯება. აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა 1990-იან წლებში დაიწყო და მალე შეჩერდა.

როგორც ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, ასევე გამოცხადებულია კონკურსი საქართველოსა და სომხეთს შორის 330-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გასაყვანად. საქართველოს ბიუჯეტი მშენებლობისათვის 12 მილიონ დოლარს გაიღებს, თანხის ნაწილს კი კერძო ინვესტორები დაფარავენ. **მედიანიუსი**

## იტალიის სანაპიროსთან ქართულმა გემმა კატასტროფა განიცადა

იტალიის პორტ ლასპეციასთან ქართულმა გემმა "მარგარიტამ", რომელსაც 14 ათასი ლიტრი საწვავი გადაჰქონდა, კატასტროფა განიცადა.

იტალიური საინფორმაციო სააგენტო "EGI"-ის ცნობით, ქართული გემი, რომელიც გენუადან ვარნაში მიცურავდა, ცუდი ამინდის გამო ლასპეციას პორტში რიფებს შეეჯახა. შეჯახების შედეგად არავინ დაღუპულა. გემზე ეკიპაჟის 13 წევრი იმყოფებოდა.

ამჟამად ხელისუფლება ავარიის შედეგების ლიკვიდაციას ცდილობს, რათა საწვავი ხმელთაშუა ზღვაში არ ჩაიღვაროს. **ინტერპრესნიუსი**

## მოსკოვი სააკაშვილის სამშვიდობო გეგმას ისევ აკრიტიკებს

რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალური წარმომადგენელი მიხეილ კამინინი აცხადებს, რომ რუსეთი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების თბილისის სამშვიდობო გეგმას არ ემხრობა.

“თბილისის ახალი ინიციატივა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების სამეტაპიანობას არ გულისხმობს. წინა გეგმას, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე ნიუ-იორკში წარადგინა, გაგებით შეხვდნენ როგორც რუსული, ისე სამხრეთ ოსური მხარეები," - აცხადებს მიხეილ კამინინი, რომელსაც ყველაზე მეტად შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატის გაფართოება არ მოსწონს.

“ახალი ქართული ინიციატივა გამოირჩევა, ასევე, სამხრეთ ოსეთის მომავალი პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრაზე აქცენტირებით. ეს ქართული მხარის წინა წინადადებებში სამომავლოდ იყო გადადებული, ახალ ვერსიაში კი 2006 წლის ბოლოსთვის არის გათვალისწინებული," - აცხადებს კამინინი.

მისივე თქმით, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის მოსკოვში ვიზიტის დროს შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ქართულმა მხარემ რუსების შენიშვნები გაითვალისწინა, მაგრამ მოსკოვში გაუკვირდათ, როცა ზურაბ ნოღაიდელმა ბრიუსელში სამშვიდობო გეგმის ისევ თავდაპირველი ვერსია წარადგინა. **მედიანიუსი**

## ეკონომიკური განვითარების მინისტრი თურქეთში

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე 5 დეკემბერს თურქეთში, ხოლო 6 დეკემბერს რუმინეთში ვიზიტებს გეგმავს.

დღეს სტამბულში ჩოგოვაძე თურქეთის ვაჭრობის მინისტრს ქურშად თუზმენს შეხვდება. მინისტრები "GSP+"-ის ფორმატში ქართველი ექსპორტიორების მიერ ევროკავშირის ბაზარზე დაახლოებით 7 200 დასახელების საქონლის უბაჟოდ შეტანის შესახებ ისაუბრებენ.

სტამბულიდან მინისტრი რუმინეთში გაემგზავრება. რუმინეთის ეკონომიკისა და ვაჭრობის სამინისტროს ინიციატივით, ბუქარესტში 2005 წლის 7 დეკემბერს შავი ზღვის, ბალკანეთის რეგიონისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ეკონომიკის მინისტრების შეხვედრა გაიმართება, სადაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე რუსეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, ალბანეთის, ბოსნია-ჰერცოგოვინის, ბულგარეთის, სომხეთის, საბერძნეთის, უნგრეთის, მაკედონიის, მოლდოვას, სერბეთის, თურქეთის, უკრაინის, ხორვატიის და რუმინეთის ეკონომიკის მინისტრებთან ერთად ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს, ორმხრივი და მრავალმხრივი პროექტების განხორციელების პერსპექტივებს განიხილავს. **ინტერპრესნიუსი**

## დიზელის საწვავი და ბენზინი გაიაფდა

გასულ კვირაში დიზელის საწვავი და ბენზინი "ნორმალი" გაიაფდა. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა ერთი კვირის მანძილზე, 28 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე, 100,61 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 101,00 პროცენტი იყო.

ფასების საერთო დონე, წინა კვირასთან შედარებით, გაიზარდა 0,61 პროცენტით, მათ შორის, სასურსათო საქონელზე - 1,78 პროცენტით, არასასურსათო საქონელზე კი ფასები 0,88 პროცენტით შემცირდა. მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა. წინა კვირასთან შედარებით, ფასები შემცირდა ნავთზე (7,9 პროცენტით), დიზელის საწვავზე (6,5 პროცენტით) და ბენზინზე "ნორმალი" (5,7 პროცენტით). სამომხმარებლო ფასების ინდექსი 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას ასახავს. **ინტერპრესნიუსი**

## ფინანსთა სამინისტრომ აზერბაიჯანს თანხმობა განუცხადა

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ აზერბაიჯანის მთავრობას ვალის რესტრუქტურიზაციის შესახებ ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობა უკვე განუცხადა. დოკუმენტი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის მიერ გაზაფხულზე, ბაქოში განხორციელებული ვიზიტის დროს მომზადდა.

აზერბაიჯანისადმი საქართველოს დავალიანება 16 189 573 აშშ დოლარია. შეთანხმების მიხედვით, რომელიც 2003 წელს გაფორმდა, ქართულ მხარეს აღებულ ვალდებულებათა შერულება 2004 წლის მარტიდან უნდა დაეწყო, თუმცა შეთანხმების გაფორმების შეფერხება საქართველოს მთავრობაში საკადრო გადაადგილებებმა გამოიწვია.

ახალი შეთანხმების მიხედვით, ვალის ნაწილი, 3,239 მილიონი დოლარის მოცულობით, ქართულმა მხარემ 2007 წლის დასასრულამდე უნდა გადაიხადოს. 2 მილიონი დოლარი აზერბაიჯანის მხარეს ორ ეტაპად, 2006 წელს დაუბრუნდება. მესამე ტრანშის გადარიცხვა 2010 წელს დაიწყება და 2025 წლამდე დაიფარება. ვალზე საპროცენტო განაკვეთი წლიური სამი პროცენტით განისაზღვრება. აზერბაიჯანის მთავრობამ 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 1,5 მილიონი აშშ დოლარი უკვე გაითვალისწინა. შეგახსენებთ, რომ დავალიანება ქართულ მხარეს მეზობელი ქვეყნისადმი 1992-1994 წლებში, სავაჭრო ოპერაციების შედეგად დაუგროვდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ოპოზიცია მკვეთრ შეფასებებს არ ერიდება

ნათია მსხილაძე

*საპარლამენტო ფრაქცია ''დემოკრატიული ფრონტი'' 2 დეკემბერს თბილისის საკრებულოს სხდომაზე მომხდარ მოვლენასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს. დღეიდან ახალი საპარლამენტო ფრაქცია საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს იწყებს.*



ხელჩართული ბრძოლა საკრებულოში.

შეგახსენებთ, რომ 2 დეკემბერს საკრებულოს სხდომაზე ხელჩართული ჩხუბი გაიმართა. მომხდარი ინციდენტის გამო, ახალი საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი" საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესა და გენერალურ პროკურორს სპეციალურ მიმართვას უგზავნის. მიმართვაში ნათქვამია: **''საპარლამენტო ფრაქცია ''დემოკრატიული ფრონტი'' გმობს პოლიტიკური ძალადობის ყველა გამოვლინებას, ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციაზე ანგარიშსწორების ვანდალურ ძალისმიერ მეთოდებს.''**

ფრაქციის წევრები ხელისუფლებისგან მოითხოვენ, დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება, რათა უმოკლეს ვადაში დარბევაში მონაწილე ყველა პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს. **''უმრავლესობა ოპოზიციას ფაშისტური ბრიგადის გამოყენებით გაუსწორდა. ამიტომ, სპეციალურ მიმართვაში ნინო ბურჯანაძეს ვთხოვთ, მომხდარი მოვლენა საჯაროდ დაგმოს, ხოლო ზურაბ ადეიშვილს – ინციდენტში მონაწილე პირები წინასწარ პატიმრობაში აიყვანოს. მათი დადგენა საკმაოდ ადვილია, რადგან უმრავლესობაში ნაცნობი სახეებია,''** - აღნიშნა ფრაქციის წევრმა კახა კუკავამ.

როგორც კახა კუკავამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, დღეიდან "დემოკრატიული ფრონტი" უცხოეთის სახელმწიფოების საერთაშორისო ორგანიზაციების დიპლომატიურ წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს იწყებს. **''მოლაპარაკებები იწყება იმისათვის, რათა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება საქართველოში, ხელისუფლების მიერ დაწყებულ პოლიტიკურ ტერორს მივაპყროთ. პოლიტიკური ტერორი აშკარად საფრთხეს უქმნის მთლიანად ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებას და ევროსტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციას,''** - აცხადებს კუკავა.

# უმრავლესობა ინციდენტს "გამოცხადებული პროვოკაციის ქრონიკებს" უწოდებს

თბილისის საკრებულოს საპრეზიდენტო უმრავლესობის ერთ-ერთი წევრი დავით იოსელიანი პარასკევს საკრებულოში განვითარებულ მოვლენებს "გამოცხადებული პროვოკაციის ქრონიკებს" უწოდებს.

როგორც იოსელიანმა ამ საკითხთან დაკავშირებით გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა, საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლები 2 დეკემბერს, უმრავლესობის წარმომადგენლებს პროვოცირებას ჯერ პარლამენტში უწევდნენ და რადგან შედეგს ვერ მიაღწიეს, მოქმედება საკრებულოში გადმოიტანეს.

იოსელიანის თქმით, 2 დეკემბერს საკრებულოში თბილისის მთავრობის 11 სამსახურის ხელმძღვანელი მტკიცდებოდა და სხდომას ამ საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ.

"არანაირი ზონდერბრიგადები საკრებულოს სხდომაზე არ ყოფილან. ისინი იყვნენ მხოლოდ საქალაქო სამსახურის თანამშრომლები, რომელთა პროვოცირებას ოპოზიციის წარმომადგენლები ახდენდნენ," - განაცხადა იოსელიანმა.

მისი თქმით, სატელევიზიო კადრებში ძალიან კარგად გამოჩნდა, ვინ ცდილობდა მერიის მთავარი შემოსასვლელის შენგრევას. იოსელიანი კობა დავითაშვილს, დავით ბერძენიშვილს და ზვიად ძიძიგურს დაგეგმილი პროვოცირების ავტორებს უწოდებს. მისი თქმით, საქმე აუცილებლად უნდა იყოს გამოძიებული და პროვოკაციის ავტორებს "ტანჯულის მანტია მოეხსნათ". **ინტერპრესნიუსი**

# დსთ - გამოსვლის დრო და საფრთხეები

პირველი გვერდიდან

საბოლოო ჯამში, დსთ-მ ორივე მხარეს გაუცრუა იმედები. რუსეთს იმიტომ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ ევროპული ღირებულებების საპირწონედ ვერ ივარგა, საქართველოს კი იმიტომ, რომ დსთ-ს ბერკეტები ქვეყნის გასამთლიანებლად არაეფექტური გამოდგა.

მიუხედავად ყველაფრისა, რამდენიმე წლის წინათ დსთ-ს არსებობას ჯერ კიდევ ჰქონდა აზრი, რადგან მასში დაახლოებით ერთი ტიპის სახელმწიფოები შედიოდნენ. მაგრამ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა. საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ ხმამაღლა გამოთქვეს დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სურვილი, რაც დსთ-ს რუსეთისეულ ხედვასთან, უკვე თავისთავად, წინააღმდეგობაში მოდის. თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების მეორე ჯგუფი (აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი) ჯერ გზაჯვარედინზე დგანან და მათი ორიენტირები ნათლად არ არის გამოკვეთილი, სხვები კი (მაგალითად, ბელარუსი, უზბეკეთი, თურქმენეთი) დემოკრატიის დეფიციტს განიცდიან და ავტორიტარულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ. ასეთი განსხვავებული მიზნებისა და ღირებულებების მქონე ქვეყნების ერთ ჭერქვეშ ყოფნა, უბრალოდ, აბსურდია.

დსთ-ს შექმნის პირველ ხანებში, ეს ორგანიზაცია საბჭოური სკოლაგავლილი პოლიტიკოსების (ბორის ელცინი, ედუარდ შევარდნაძე, ჰეიდარ ალიევი, ვიქტორ ლუკაშენკო, ასკარ აკაევი, საფარმურატ ნიაზოვი) ერთგვარ კლუბს წარმოადგენდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათი დიდი ნაწილი პოლიტიკურ არენას ჩამოშორდა, დსთ-მ ეს ფუნქციაც დაკარგა.

ხაზი გადაესვა ეკონომიკურ მიზანშეწონილობასაც - რუსეთის გადაწყვეტილებამ, რომ სხვადასხვა ეკონომიკურ ასპექტებში ერთმანეთთან გაათანაბროს დსთ-ს და ევროპის ქვეყნები, ეს ილუზიაც გააქარწყლა.

ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლება, როგორც ჩანს, აცნობიერებს, რომ დსთ-სთან “გამომშვიდობების” დრო მოახლოვდა. მართალია, მმართველი გუნდის წევრები ამის შესახებ კატეგორიულ განცხადებებს არ აკეთებენ, მაგრამ უკვე გაისმის მინიშნებები დსთ-დან გამოსვლის ოპტიმალური დროის შერჩევის თაობაზე.

საქართველოს ხელისუფლებას გასაკეთებელი აქვს არჩევანი, რა სჯობს: დღესვე დაიწყოს სათანადო პროცედურები და დსთ-დან გასვლის საკითხი კონფლიქტის ზონებიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის მოთხოვნას “მიაბას” (მით უმეტეს, რომ რუსი “ცისფერჩაფხუტიანები” აფხაზეთში სწორედ დსთ-ს მანდატით იმყოფებიან), თუ უკეთესია დაელოდოს, როგორ შეასრულებს ოფიციალური მოსკოვი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას და ამის გათვალისწინებით მიუდგეს დსთ-ში დარჩენის მიზანშეწონილებას.

ხელისუფლება, სავარაუდოდ, მეორე გზას აირჩევს. ყოველ შემთხვევაში, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა კომენტარები ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა.

**“აფხაზეთში რუსი სამშვიდობოების ყოფნისა და დსთ-დან საქართველოს გამოსვლის საკითხებს ჩვენ ნამდვილად ვუკავშირებთ ერთმანეთს. პირადად მე მიმაჩნია, რომ დსთ-დან გამოსვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ამ ეტაპზე შეიძლება ნაადრევი იყოს. ამ საკითხის გადაწყვეტა მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც აფხაზეთში განლაგებული რუსი სამშვიდობოების თემა აქტუალური გახდება, ანუ 2006 წლის მაისსა და ივნისში,”** - აცხადებს “24 საათთან” საუბარში ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე. მისივე თქმით, **“აფაზეთიდან რუსი “ცისფერჩაფხუტიანების” გაყვანისა და დსთ-დან საქართველოს გამოსვლის საკითხები მხოლოდ ტაქტიკურად უკავშირდება ერთმანეთს, სტრატეგიულად კი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა საქართველოსთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს და არ არის ის სივრცე, რომელშიც საქართველო თავის მომავალს ხედავს.”**

**“ჩვენ ჩვენი ქვეყნის მომავალს ნატო-სა და ევროკავშირში ვხედავთ. დსთ არ არის ის ფასეულობა, რომელზეც დიდხანს ვიფიქრებთ, თუ ნატო-სა და დსთ-ს შორის არჩევანის გაკეთება მოგვიხდება,”** - აღნიშნავს დავით ბაქრაძე. ამასთან, “ყოველი შემთხვევისთვის” საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე იმასაც აზუსტებს, რომ დსთ-ში ყოფნა ხელს ვერ შეუშლის ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებას, მით უმეტეს, რომ დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმებისა და სამხედრო შინაარსის სხვა ხელშეკრულებებისთვის ჩვენს ქვეყანას ხელი არა აქვს მოწერილი.

დსთ-დან საქართველოს გამოსვლის პროცედურების დაწყების ზუსტ დროს ვერც დავით ბაქრაძის კოლეგა, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი ასახელებს.

**“ამჟამად ზუსტად ვერ ვიტყვი, როდის უნდა დაიწყოს ეს პროცედურები. ეს შეიძლება მოხდეს 1 ივლისამდე ან პირველი ივლისის შემდეგ. მთავარია, დსთ-დან გამოსვლის თაობაზე პოლიტიკურ ძალებს შორის სრული კონსენსუსის მიღწევა მოხერხდეს და ამ ნაბიჯის გადადგმა ჩვენთვის მომგებიანი იყოს,”** - აცხადებს კოტე გაბაშვილი.

“24 საათთან” საუბარში ის იმ საფრთხეებსა და სირთულეებსაც ასახელებს, რომელიც დსთ-დან გამოსვლის შემთხვევაში საქართველოს მოელის.

**“დაზიანდება საბაჟო სისტემა, რაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს იმ ადამიანებს, ვინც რუსეთში ვაჭრობს. გარდა ამისა, აღარ დაგვრჩება არეალი იმისთვის, რომ სამშვიდობო ძალების ახალი მანდატის ჩამოყალიბებაზე ვიმუშაოთ,”** - დასძენს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე.

სხვათა შორის, უმრავლესობის წარმომადგენელთა მსგავსად, ოპოზიციის წევრებიც კარგად აცნობიერებენ, რომ დსთ-დან საქართველოს გამოსვლას შეიძლება საკმაოდ დიდი დრო დასჭირდეს. ოღონდ, უმრავლესობისგან განსხვავებით, ისინი შესაბამისი პროცედურების რაც შეიძლება სწრაფად დაწყებას ითხოვენ.

**“დღესვე უნდა ვთქვათ, რომ დსთ-დან გავდივართ და გაერო-სთან ერთად იმ ქვეყნების ძებნას ვიწყებთ, რომლებიც აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთს ჩაენაცვლებიან. პარლამენტის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება, დროში გაიწეროს ისიც, თუ რამდენი ხანი დასჭირდება რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლებას,”** - განუცხადა “24 საათს” ფრაქცია “დემოკრატიული ფრონტის” წევრმა ლევან ბერძენიშვილმა.

რაც შეეხება დსთ-დან გამოსვლის შემთხვევაში მოსალოდნელ საფრთხეებს, აღნიშნულთან დაკავშირებით “რესპუბლიკელი” დეპუტატის პოზიცია ასეთია: **“საფრთხეები ყოველთვის არსებობს, მაშინაც, როდესაც დსთ-დან გადიხარ და მაშინაც, როდესაც ამ გაერთიანების წევრი ხარ. ამდენად, საფრთხეები არ შემცირდება მაშინაც, თუ დსთ-ში დავრჩებით. არა მგონია, ამ ორგანიზაციაში ყოფნით ვინმემ რაიმე დაგვიბრუნოს. მეტიც, გაზის საფასურიც გაგვიძვირეს და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშიც არ გვიშვებენ. ილუზიაა, თითქოს, დსთ-ში დარჩენით რუსეთს მოვაჭკვიანებთ.”**

ერთი სიტყვით, საქართველო დსთ-დან გამოსასვლელ კართან დგას. მისი ზღურბლის გადალახვა, როგორც ჩანს, მხოლოდ დროის საქმეა.

# რა არის MTEF-ი?

*მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში სიახლეა: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების საშუალოვადიან დაგეგმარებაზე, იგივე MTEF-ის მოდელის დანერგვაზე გადადის. ეს მოდელი ფინანსური სახსრების ხარჯვის სამწლიანი ვადით დაგეგმვას ითვალისწინებს, რაც მხარჯველ ერთეულებს საშუალებას აძლევს, თავიანთი საქმიანობა გრძელვადიან პერიოდში დაგეგმონ. MTEF-ის ფუნქციებსა და მიზნებზე "24 საათს" ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის მრჩეველი ესაუბრა.*

დიანა ჩაჩუა

საქართველოში ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმარების ანუ MTEF-ის დანერგვა 2004 წელს დაიწყო. ამჟამად, აღნიშნული პროცესი საბიუჯეტო განაცხადის ფორმების შემუშავების სტადიაშია. როგორც ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის მრჩეველმა ლია სხირტლაძემ განაცხადა, მხარჯავ ერთეულებს განაცხადის ფორმების მომზადებისათვის ინსტრუქციები და ნიმუშები უკვე დაურიგდათ. ასევე, სამინისტროების თანამშრომლებისათვის MTEF-ის სამუშაო ჯგუფის მიერ სასწავლო ტურები ჩატარდა.

**"სამინისტროების მიერ წარმოდგენილი 2006-2008 წლების საბიუჯეტო განაცხადები შემუშავებულ ინსტრუქციებს შეესაბამება. ამჟამად, დარგობრივ სამინისტროებთან ერთად, მუშაობა ბიუჯეტის შესრულების ინდიკატორების განსაზღვრაზე მიმდინარეობს. დაგეგმილია ანგარიშგების ფორმების შემუშავება, აგრეთვე, მომავალი წლის საბიუჯეტო განაცხადების ფორმების დახვეწა,"** - განაცხადა დეპარტამენტის მრჩეველმა.

მაინც რა არის ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმარება? ლია სხირტლაძის განმარტებით, MTEF-ი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე საშუალო ვადაში ხარჯებისა და შემოსავლების დაგეგმარების დეტალური აღწერაა.

**"ეს არის გამჭვირვალე დაგეგმარება, ბიუჯეტის ფორმულირების პროცესი, რომლის დროსაც მთავრობა და მხარჯავი ერთეულები, სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით, სახელმწიფო რესურსების განაწილებისათვის ერთგვარ ურთიერთსაიმედო შეთანხმებას აღწევენ. ეს არის ზოგადი რეფორმა, რომელიც საბიუჯეტო პროცესის დახვეწაზე, ფორმულირების გაუმჯობესებაზე ფოკუსირდება,"** - განმარტავს დეპარტამენტის მრჩეველი.

ექსპერტების შეფასებით, 2006 წლის ბიუჯეტის პროექტი MTEF-ის გამოყენების მცდელობაა და მეტი არაფერი.

ზოგადად, MTEF-ი აქცენტს შემდეგ ფაქტორებზე აკეთებს: რესურსების მთლიანი პაკეტის განსაზღვრა, მთავრობაზე ზეგავლენის მქონე ძირითადი პოლიტიკური პრინციპები, ჭერები, რომლებშიც არსებული რესურსების ლიმიტებია მოქცეული და პოლიტიკური და ცალკეული მხარჯავი ერთეულების სტრატეგიული მიზნები.

**"წლიური ბიუჯეტის მომზადებისას ამ ფაქტორების გათვალისწინება რესურსების დისციპლინირებულ და სტრატეგიულ განაწილებას მოგვცემს,"** - აღნიშნავს ლია სხირტლაძე "24 საათთან" საუბარში.

რას მივიღებთ? **"საბიუჯეტო პროცესში ინტეგრირებული ხარჯების საშუალოვადიან დაგეგმარებას, MTEF-ისა და წლიური ბიუჯეტის ურთიერთკავშირსა და მისთვის რეალისტურ მაკრო-ფისკალურ ჩარჩოს, მჭიდროდ დაკავშირებულ ბიუჯეტსა და ქვეყნის სტრატეგიულ მიმართულებებს, ფინანსთა სამინისტროსათვის ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგისა და ზედამხედველობის გამარტივებულ სისტემას, სტრატეგიული დაგეგმარების საშუალებებს, ყველა საშუალებას შიდა და გარე აუდიტისათვის,"** - განაცხადა ლია სხირტლაძემ.

მოკლედ

## სოფლის მეურნეობის მინისტრს გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას ურჩევენ

სოფლის მეურნეობის მინისტრის მიხეილ სვიმონიშვილის განცხადებით, საქართველოში თუნდაც ერთი საკონსერვო საწარმოს ასამუშავებლად დაახლოებით 10 მილიონი დოლარია საჭირო. მისივე თქმით, ქვეყნის დღევანდელი ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობა საკონსერვო წარმოებაში ასეთი თანხის ჩადების საშუალებას არ იძლევა. მით უმეტეს, როდესაც წინასწარვე ცხადია, რომ ქართული პროდუქცია რუსულს კონკურენციას ვერ გაუწევს.

**"რამდენიმე წელია, საქართველოში პომიდვრის გადამუშავება ხდება, მაგრამ რესურსი იმდენად მცირე აღმოჩნდა, რომ მეწარმეს კონცენტრატის შემოტანა უცხოეთიდან დასჭირდა. აღარაფერს ვამბობ გასაღების ბაზრის მცირე მასშტაბზე,"** - აცხადებს სვიმონიშვილი.

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის წევრი მურმან ქურიძე მიიჩნევს, რომ გლეხი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანით აუცილებლად დაინტერესდება, თუკი გარანტია ექნება, რომ მას გაყიდის, ან საწარმოში ჩააბარებს.

**"ამიტომ უმჯობესია, ქვეყანაში ჯერ საწარმოები აშენდეს. პროდუქცია კი აუცილებლად იქნება,"** - აცხადებს ქურიძე. იგი დასძენს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტები უცხო ქვეყნისას ხარისხით იმდენად აღემატება, რომ კონკურენციას აუცილებლად გაუძლებს. მისივე თქმით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია, მთავრობასთან რეკომენდაცია გასწიოს, რათა ქვეყანაში საკონსერვო წარმოება ამუშავდეს და ის პრიორიტეტულად გამოცხადდეს.

**"ასეთ შემთხვევაში ინვესტორებიც საკმაო რაოდენობით გამოჩნდებიან, პროდუქციის მომყვანებიც და გასაღების ბაზარიც. მთავარია, ამ კუთხით პოლიტიკა სწორად განისაზღვროს,"** - მიიჩნევს ქურიძე. **ჯი-ეიჩ-ენი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ლტოლვილთა საკითხების კომიტეტი 9 დეკემბერს პარიზში იმ მოხსენებებს გადახედავს, რომლებიც საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში მცხოვრებ ლტოლვილთა მდგომარეობას ასახავს. ორდღიანი სხდომის ფარგლებში ევროპაში მყოფი თურქი მიგრანტების საკითხსა და საფრანგეთის ქალაქებში უკანასკნელ პერიოდში მომხდარ ძალადობის ფაქტებსაც განიხილავენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** 6 დეკემბერს სოხუმში, გაეროს მისიის შტაბ-ბინაში, ევროკომისიის რეაბილიტაციის პროგრამის საორგანიზაციო კომიტეტის პირველი შეხვედრა გაიმართება. სხდომაში, რომელსაც გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჰაიდი ტალიავინი უხელმძღვანელებს, მონაწილეობას მიიღებენ ქართული და აფხაზური მხარის, ასევე ევროკომისიის, გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლები. ამ მიზნით სოხუმში გაემგზავრებიან სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავა, ასევე, აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლები. ევროკომისიის პროგრამა გალის, ტყვარჩელის, ოჩამჩირის და ზუგდიდის რაიონებში ინფრასტრუქტურის აღდგენას ითვალისწინებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზური მხარე სოხუმის რაიონის სოფელ ქვემო ეშერაში მდებარე პანსიონატ “შიცკვარას" ღია სააქციო საზოგადოება “რუსეთის რკინიგზისთვის" გადაცემას აპირებს. კერძოდ, პანსიონატს “რუსეთის რკინიგზის" ჩრდილოკავკასიური ფილიალი დაეპატრონება. ამასთან დაკავშირებით სეპარატისტული სოხუმის მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვეტილება 2 დეკემბერს მიიღო და საკითხი ახლა ე.წ. პარლამენტმა უნდა განიხილოს. “რუსეთის რკინიგზის" ჩრდილოკავკასიურ ფილიალს პანსიონატი სოხუმი-ფსოუს სარკინიგზო მონაკვეთზე შარშან ჩატარებული სარემონტო აღდგენითი სამუშაოებისთვის გადაეცემა. 2004 წლის 19 ივლისს სეპარატისტულ მთავრობასა და “რუსეთის რკინიგზას" შორის დაიდო ხელშეკრულება “სოხუმი-ადლერის" სარკინიგზო მიმოსვლის ორგანიზების შესახებ, რომელიც "რუსეთის რკინიგზის ჩრდილოკავკასიური ფილიალისთვის" პანსიონატ “შიცკვარას" გადაცემასაც ითვალისწინებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ზუგდიდს ეწვია. ის მოსახლეობას შეხვდა და მათ პრობლემებზე ისაუბრა. სალომე ზურაბიშვილმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ ზუგდიდის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა უმუშევრობა და სოციალური გაჭირვებაა. მისი თქმით, რეგიონში ბოლო დროს არსებული დაძაბულობა მოსახლეობის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ხელისუფლებას მოუწოდებს, უფრო მეტად მოსახლეობის დასაქმებაზე იფიქროს და არა შენობა-ნაგებობების ფასადების შეღებვაზე. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# ახალი კანონი მშენებლებისთვის

პირველი გვერდიდან

როგორც ზაზა ქელიძე აღნიშნავს, ასეთ ზონებში არსებული შენობების დემონტაჟისთვის ორი ძირითადი არგუმენტი არსებობს: ჯერ ერთი, ქალაქის ცენტრში არამდგრადი კონსტრუქციის მქონე შენობის არსებობა დიდ რისკს უკავშირდება; მეორეც, ამგვარი შენობების არსებობით ილახება განსაკუთრებული სამშენებლო ზონების იერსახე.

**"ხშირ შემთხვევებში, როდესაც სასამართლო უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებდა, მშენებლობები უკვე დასრულებული იყო. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ, სასამართლოში დადგენილების გასაჩივრების მიუხედავად, დადგენილება არ შეჩერდება,"** - განაცხადა ქელიძემ.

ამასთან, ცვლილებები უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც, სადაც არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი ორგანიზაციული წესების დარღვევისათვის სანქციები იქნება გათვალისწინებული. უნებართვო მშენებლობებისათვის ჯარიმები 200 ლარიდან 10 ათას ლარამდე იმერყევებს, ხოლო პროექტის დარღვევის ან არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული მიწერილობის შეუსრულებლობა 50 ლარიდან 4000 ლარამდე დაჯარიმდება.



შეჩერებული მშენებლობების შესახებ თავისი მოსაზრება გააზიარა დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა. მისი აზრით, დღეისათვის თბილისში კატასტროფული მდგომარეობა შექმნილი, რადგან 4-5 სამშენებლო კომპანია, მშენებლობაზე მიღებული ნებართვის მიუხედავად, სამშენებლო პროცესს ვერ ახორციელებს. **"აღნიშნულ კომპანიებს მშენებლობის ნებართვები ოფიციალურად გააჩნიათ, თუმცა ნებართვებზე თბილისის ყოფილი მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის ხელმოწერაა. ქალაქის ახალმა მთავრობამ კი გადაწყვიტა, სამშენებლო კომპანიებს პრობლემები შეუქმნას და მათ მშენებლობები შეუჩეროს,"** - აღნიშნა ლეკიშვილმა. მისივე თქმით, სამშენებლო კომპანიების უმეტესობას კრედიტები აქვს აღებული. სამშენებლო ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ტერიტორიიდან ჰყავს გაყვანილი და მათთვის ბინები აქვს დაქირავებული. შესაბამისად, ქალაქის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება მათ გაკოტრებას უქადის.

ლეკიშვილის ინფორმაციით, თბილისში ისეთი 12 ობიექტია, სადაც მშენებლობების ნებართვები არსებობს, მაგრამ, თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, მშენებლობები მაინც შეჩერებულია.

ახალი ცვლილებებითვე უნდა მოხდეს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის სამსახურის დეცენტრალიზაცია აფხაზეთის, აჭარის და ქვეყნის ქალაქებისა და რაიონების მიხედვით. არქმშენინსპექცია, რომელიც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაშია, ზედამხედველობას გაუწევს განსაკუთრებულ სამშენებლო ზონებში მიმდინარე მშენებლობებს. ასევე, მეთოდურ მითითებებს მისცემს დეცენტრალიზაციის შემდეგ შესაბამის ტერიტორიებზე მოქმედ სამსახურებს.

# დახმარება გორულად

პირველი გვერდიდან

ქალაქ გორის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კოტე თავზარაშვილი აღნიშნავს, რომ რაიონის გამგეობის წარმომადგენლებს ქალაქში გარე განათების დამონტაჟებამდე მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ასეთი ქმედა თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებებში ჩარევაა, თუმცა მას ყური არავინ უგდო და დაწყებული სამუშაოები რაიონის გამგეობამ ბოლომდე მიიყვანა.

**"ვაკეთებთ, ხომ არ ვაფუჭებთო, მითხრეს. რადგან ამის თანხას ჩვენ არავინ გვირიცხავდა, ქალაქი კი ნათდებოდა, ხელი აღარ შევუშალეთ, თუმცა გადასახადის გადახდის დროს უხერხულ სიტუაციაში არმოჩნდა ენერგო კომპანია,"** - ამბობს თავზარაშვილი.

რაიონის გამგეობამ თვითმმართველობის უფლებებში ჩარევისგან თავი ვერ შეიკავა და 10 ბინა, რომლებსაც სახურავი უნდა გამოსცვლოდათ, ქუჩებისა და ნომრების მიხედვით მიაწოდეს ქალაქის გამგეობას და მოითხოვეს აღნიშნული ბინების გადახურვა. დანარჩენი 6 ბინა ქალაქის გამგეობაში შექმნილი კომისიის მუშაობის შედეგად შეირჩა.

**"როდესაც რაიონის გამგეობამ გადმოგვცა ცხრაას ათი ათასი ლარი, თან მოაყოლა ბინების ნუსხა, რომლებიც უნდა შეგვეკეთებინა. იქ კომისია შექმნილი არ ყოფილა, მათ ალბათ საბინაოებმა თუ მისცეს ეს მონაცემები. 6 ბინის შერჩევა კომისიის მუშაობის შედეგად მოხდა. ჩვენ ყველა სამუშაოს შესრულებისთვის კანონის დაცვით გამოვაცხადეთ ტენდერი და სამუშაოები გამარჯვებულმა ორგანიზაციებმა ჩაატარეს,"** - ამბობს ქალაქ გორის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კოტე თავზარაშვილი.

გარდა ზემოთჩამოთვლილი საქმიანობისა, გორის რაიონის გამგეობა დიდი ხალისით აწარმოებს გორში გადაბელვის სამუშაოებს, რაც ასევე თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებებში ჩარევაა, თუმცა ქლაქ გორის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ამაში ცუდს ვერაფერს ხედავს და მიიჩნევს, რომ გორის რაიონის გამგეობა ქალაქს "ეხმარება".

სოფლის თვითმმართველობისთვის გაცემული თანხები, საკრებულოს თავმჯდომარეების განცხადებით, შემდეგნაირად გაიხარჯა: შინდისის საკრებულოსთვის 2 მილიონი ლარიდან ორას ოცი ათასი გამოიყო, ამ თანხით კილომეტრ ნახევრის მანძილზე, ვარიანი-შინდისის მონაკვეთზე, ასფალტი დაიგო. სამუშაოები, ტენდერში გამარჯვებულმა გორის N 1-მა საგზაო-სამშენებლო ტრესტმა აწარმოა.

შინდისის საკრებულოს თავმჯდომარემ ვანო გაბროშვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ ტენდერში მონაწილეობას სამი ორგანიზაცია იღებდა, თუმცა სად იყო გამოცხადებული ტენდერი, ეს მისთვის ცნობილი არ არის.

ნიქოზის გამგებლის კახა ერგემლიძის თქმით, მათი საკრებულოსთვის 180 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, აღნიშნული თანხით საკრებულოში კილომეტრსა და 50 მეტრზე დააგეს ასფალტი, სამუშაოები აქაც იგივე საგზაო-სამშენებლო ტრესტმა ჩაატარა.

ზეღდულეთის გამგებელის მიხეილ ცერცვაძის თქმით, მათმა საკრებულომ 180 ათასი მიიღო და კილომეტრსა და სამას მეტრზე დააგეს ასფალტი, სამუშაოები აქაც საგზაო-სამშენებლო ტრესტმა ჩაატარა.

ტყვიავის საკრებულოში კილომეტრსა და სამასი მეტრის ასფალტის დაგებას 200 ათასი ლარი დასჭირდა, აქედან საკრებულომ 197 ათასი ლარი უშუალოდ ასფალტის დაგებას მოახმარა, ხოლო 3 ათასი ლარი გზის რეაბილიტაციის დაპროექტებისთვის გდაიხადა. ტყვიავის საკრებულოს გამგებელი გელა გიუნაშვილი მიიჩნევს, რომ სამუშაოები კარგად ჩაატარა: **"ყველაფერი კარგად გავხარჯეთ, მოგეწონებათ."** ტყვიავში ასფალტი შპს "იმბოლიამ" დააგო.

ვერ შევძელით მეჯვრისხევისა და მერეთის საკრებულოს თავმჯდომარეებთან დაკავშირება, რომელთათვისაც 120 ათასი და 190 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. გზის სარემონტო სამუშაოები ამ საკრებულოებშიც ჩატარებულია. ყველა საკრებულოში ასფალტის საფარი დაზიანებული მართლაც იყო და სარემონტო სამუშაოები მართლაც ჩატარდა, მაგრამ ახალი საფარი არც თუ ისე "სქელია", არსებულ საფარს მხოლოდ ზემოდან გადაეკრა დამატებითი შრე. როგორც ინჟინერ-ექსპერტებთან გავარკვიეთ, საშუალოდ ასფალტის დაგება ერთ კვადრატულ მეტრზე 12-დან 15 ლარამდე მერყეობს. შპს "იმბოლია"-ში არ ასახელებენ თანხას, რა დაჯდა ერთი კვადრატული მეტრი ასფალტის დაგება. ინჟინერების აზრით კი, ამ მანძილის ასფალტს არ დასჭირდებოდა იმ რაოდენობის თანხა, რომელიც საკრებულოებზე იყო გამოყოფილი.

# სოფელი და თვითმმართველობა

პირველი გვერდიდან

**"მუხლი 1.1. ადგილობრივი თვითმმართველობა - საქართველოს მოქალაქეთა უფლება, შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა, თვითმმართველობის ერთეულებში მათ მიერ შექმნილი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, კანონმდებლობის საფუძველზე, საკუთარი პასუხისმგებლობით და დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები."**

სოფელ თელეთის გზაზე, კაკლის ხის ქვეშ, გასაყიდი ხორცია გაშლილი, იქვე ათამდე კაცი ტრიალებს - ზოგი ვაჭრობს, ზოგიც ბირჟას ამაგრებს.

ბვდებიან, რომ ხორცის მუშტარი არ ვარ.

**- გამარჯობა, მე ჟურნალისტი ვარ. მაინტერესებს, როგორ მუშაობს თქვენი სოფლის საკრებულო, რა კეთდება ხალხისთვის? თუ იცით, რა ფუნქცია აქვს საკრებულოს?**

კითხვაზე უხალისოდ პასუხობენ:

- აბა, ვიცით, რა ფუნქცია აქვს? გზები ჩვენ არ გვაქვს, ჩვენი სახსრებით ვაკეთებთ, რასაც ვაკეთებთ. წყალი ჩვენ არ გვაქვს და გაზი, არიან თავიანთთვის.

- რა ვიცით, როგორ მუშაობენ. ჩვენთან საქმე არა აქვთ და...

- რა დაფინანსებაც აქვთ, ისე მუშაობენ...

- აიარეთ, სოფელს კრუგი დაარტყით და თვითონ ნახავთ...

- კანონს ელოდებიან, რომ მიწები დაგვირიგონ.

თელეთის თემის საკრებულოში ხუთი წევრია, რომელიც თავად თემმა აირჩია. ბირჟაზე მყოფი გლეხებიდან ეს არც ერთმა არ იცის:

- რა ვიცით, იქნება ერთი ათი კაცი...

**მუხლი 46 - საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება**

**საკრებულოს სხდომები ღია და საჯაროა. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია დაესწროს საკრებულოს სხდომას.**

**განცხადება საკრებულოს სხდომის ჩატარების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს საკრებულოს სხდომის ჩატარების თარიღი, დრო, ადგილი და დღის წესრიგი.**

**- რომელიმე თქვენთაგანი საკრებულოს სხდომას დასწრებია, ან თუ იცნობთ ასეთ ადამიანს?**

- ჩვენ არა და არც სხვები გაგვიგია... ვინ არიან საერთოდ საკრებულოს წევრები, არ ვიცი, საიდან უნდა ვიცოდე... აქ რომ არაფერი გაკეთებულა, ეგ ვიცი და მეტი არაფერი... - გაბრაზებული ხმით ამბობს წვერმოშვებული, სათვალიანი მამაკაცი, რომელსაც ყველაზე მეტად ის აწუხებს, რომ შეშა 200 ლარის ნაცვლად 500 გახდა, გაზის მიწოდების აღდგენას კი საშველი ვერ დაადგა და არ იცის, ამ ზამთარს შვილები როგორ გაათბოს.

**მუხლი 6.2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით.**

**მუხლი 7. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება:**

**ნ) ელექტროენერგიით, გაზით, წყლით მომარაგებისა და ლოკალური სამელიორაციო სისტემების ორგანიზება, შენახვა და განვითარება.**

- უწყლოდ ვიხოცებით, წყალი გააკეთეს თავიანთი სახლების გარშემო. სადაც წყალი ისედაც იყო, იქიდან დაიწყეს კეთება. 120-კომლიან სოფელს ერთი წყარო გვაქვს და ისიც რომ დაშრება, ფონიჭალიდან ამოგვაქვს მანქანებით. ვისაც მანქანა არ აქვს, მეზობლებს ეხვეწება, წყალი მოგვეცითო. ადრე ქალაქს პროდუქტით ჩვენ ვამარაგებდით, ახლა კიდევ მიწა არ გვაქვს გლეხებს, რომ დავამუშაოთ. საკრებულო ხალხისთვის არაფერს აკეთებს და არ ზრუნავს. ვინც გინდა მოვიდეს და პირში ვეტყვი, რა არის აქ დასამალ-დასაფარი.

- სულ აქ ჩავყარე ძვლები, მაგრამ რად გინდა... მიწა გლეხებს არ გვაქვს.

ოთხი გუბერნატორი გამოიცვალა, ოთხივესთან ვიყავით, გარდაბანში მთავარ გამგებელთანაც ვიყავით, სულ გვატყუებენ ყველანი. მამალაძის დროიდან დავდივართ და არ არის ჩვენი საშველი. ეხლა უარესია, ხმა რომ ამოიღო, იმ წუთში ჩაგაყუდებენ და შეიძლება გცემონ კიდეცა...

ბირჟაზე ახალგაზრდა, ჩადგმული, ტყავისქურთუკიანი გამოჩნდა, თავიანთ პრობლემებზე მოსაუბრე თანასოფლელებს ყვირილი დაუწყო, ტყუილებს ამბობთო. გლეხების დიდი ნაწილი ხმისამოუღებლად განზე გადგა, რამდენიმე კვლავ იგივეს ამბობდა, თუმცა სახეზე შიში ეწერა... ახალგაზრდამ ინტერვიუზე უარი განაცხადა, პოლიციელისათვის დამახასიათებელი ხელის მოძრაობით დიქტოფონისკენ გაიწია და თანასოფლელების დატუქსვა განაგრძო...

**მუხლი 7. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება:**

**ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა.**

- თავის დროზე, გლეხებს, კუთვნილი ერთი ჰექტარის ნაცვლად, უფრო ნაკლები ფართობები გადასცეს, ამიტომ ხალხი კვლავ ითხოვს მიწას. არააქაურებს 100-120 ჰექტარი აქვთ. მაგალითად, პარლამენტარი რომ იყო, სურმანიძე, იმას აქვს აქ მიწა აღებული და აქაურები ისე არიან დარჩენილები, - ამბობს მერაბ რცხილაძე, რომელიც სოფლის მიწათმომწყობია.

თელეთის საკრებულოს მდივანი, რამაზ ბუდაღაშვილი:

- ჩვენი საკრებულო ყველა პრობლემას აგვარებს. წყალი გავიყვანეთ, მიწებთან დაკავშირებით საჯარო განხილვა ხდება, დროებით კომისიებში ხალხიც შეგვყავს. ჩვენთან იყო მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მეურნეობა, 900 ჰა-მდე მიწით. ახლა ხდება მისი ლიკვიდაცია და გადმოგვეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. ჩვენ მოსახლეობის სიები შევადგინეთ და რაიონში ჩავიტანეთ.

**- რაიონში რატომ ჩაიტანეთ, კანონით ეს ხომ თქვენი გადასაწყვეტი საკითხია?**

- კომისია შეიქმნება, ადგილობრივებსაც შევიყვანთ და კომისიურად გადავწყვეტთ."

**მუხლი 2.3. "საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ:**

**მიიღონ საჯარო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან;**

**მოსთხოვონ მათ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებამდე მათთან წინასწარი კონსულტაციების გამართვა;**

- ეს სოფელია და დაფარულდამალული ხალხისთვის არაფერია. ისე, ვინმე რომ მოსულიყოს და ეთხოვოს საჯარო ინფორმაცია, ასეთი რამ არ ყოფილა, - ამბობს თელეთის საკრებულოს აპარატის უფროსი ლამზირა მერაბიშვილი. ჩვენი გამოკითხვით ირკვევა, რომ თელეთი ამ მხრივ გამონაკლისი არ არის და ზოგადი სურათი ასეთია: საზოგადოებრივი კონტროლის კანონით გათვალისწინებულ მექანიზმებზე სოფლებისა და რაიონების მოსახლეობას წარმოდგენა არ აქვს.

**მუხლი 6. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პრინციპებია:**

**- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა საკუთარი ფუნქციების განხორციელებაზე;**

თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდას საკრებულოს ორსართულიან შენობაში თავმჯდომარის კაბინეტს უკითხავად იპოვით - კარი ახალია და საკეტიც აქვს.

- პრინციპში, ჩვენ ხომ ხალხისთვის არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, არ გვაქვს ისეთი ბიუჯეტები, რომ მათი პრობლემები მოვაგვაროთ. მათ სჭირდებათ გზა, ელექტროენერგია, გაზი. ამას სჭირდება თანხები, რომელიც საკრებულოს არ გააჩნია. საკრებულოს ერთადერთი შემოსავალი მიწის გადასახადია, რომელიც ისევ იმ გლეხმა უნდა გადაიხადოს, რომელსაც დღეს ძალიან უჭირს და დახმარება სჭირდება. ოთხი თვეა, რაც საკრებულოს თავმჯდომარე გადადგა და მე მის მოვალეობას ვასრულებ.

**- ხალხი რას ამბობს ამაზე?**

- ხალხს სულ არ აინტერესებს, ვინ წავა და ვინ იქნება...

**- ვინმეს თუ მოუთხოვია საჯარო ინფორმაცია?**

- არა.

**- ვინმე თუ მოსულა და დაინტერესებულა, რას აკეთებთ?**

- არა.

**- აბა, რას ითხოვენ თქვენგან?**

- გლეხები ძირითადად საძოვრებზე დავობენ და ამგვარ კონფლიქტებს აგვარებს საკრებულო. მაგალითად, ერთს 200 ცხვარი ჰყავს, მეორეს ორი ძროხა. საძოვარი ყველასთვის საერთოა და დავობენ, იმისმა მეტი მოძოვა და ჩემმა ნაკლებიო.

**მუხლი 5. "ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში სამუშაო ენის გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით ენის შესახებ"**

კანონის ამ მოთხოვნას ქვემო ქართლის აზერბაიჯანულენოვან საკრებულოებსა და გამგეობებში "მკაცრად იცავენ". მარნეულის რაიონის სოფელ კაპანახჩის მცხოვრები ისა ბაბაევი ამბობს, რომ მათ გამგეობაში საქმის წარმოება ქართულ ენაზე ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ქართული იქ არავინ იცის.

- ჩამოაქვთ მარნეულში და აქ უწერენ, - ამბობს ის, - გზა არ გვაქვს, სოფლიდან მარნეულამდე 20 კმ-ია და მის გავლას საათნახევარი სჭირდება.

- პრობლემებს ვაგვარებთ. რისი საშუალებაც არის და რასაც გამგეობა გვთხოვს, ვაკეთებთ. მაგალითად, გზა გავაკეთეთ, - დამტვრეული რუსულით ამბობს კაპანახჩის საკრებულოს თავმჯდომარე ფარიხან ასლანოვი.

მარნეულის აზერბაიჯანულენოანი სოფლების მოსახლეობა საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად ხშირად აკითხავს ქვემო ქართლში პრეზიდენტის ადმინისტრაციას და სახელმწიფო კანცელარიას. მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაშია, თუმცა იქ ეს ადამიანები საჭირო და კომპეტენტურ პასუხს ვერ იღებენ.

... ჩვენმა ექსპერიმენტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თვითმმართველობის არსებული კანონი სათანადოდ არ მუშაობს; რომ საკრებულო კი არ აკონტროლებს გამგეობებს, არამედ - პირიქით და ეს განსაკუთრებით სოფლებსა და რაიონებში იგრძნობა; ჩვენი რესპოდენტების უმრავლესობა მომხრეა შეიცვალოს კანონი, მოხდეს სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ურთიერთგამიჯვნა, გაიზარდოს საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმები და მათი ყველა პრობლემა ადგილზე, რეალურად მოგვარდეს.

- ეგრე ჯობია, ყველა მივცემთ ხმას მაგას... აბა, ასე როდემდე ვიცხოვროთ?! - ამბობენ სოფლელები.

ეკა კვესიტაძის სვეტი

## როგორ ანვითარებს ხელისუფლება მეწარმეობას

"მე რომ მეწარმე ვიყო, ახალგაზრდა ქალებს სამსახურში არ ავიყვანდი, რადგან ისინი პირველ რიგში დედები არიან," - დიდი ხანია საქართველოში ქალებს თავი ისე შეურაცხყოფილად არ უგრძვნიათ, როგორც ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის ამ განცხადების შემდეგ.

მართლაც ძალზე შემაშფოთებელი და შეურაცხმყოფელია, 21-ე საუკუნეში, ქვეყანაში, რომელსაც დემოკრატიულობის პრეტენზია აქვს, მოგექცნენ ისე, როგორც მხოლოდ რეპროდუქციის საშუალებას.

მარტივი ჭეშმარიტება, რომ ქალი, პირველ რიგში, პიროვნებაა, რომელსაც თვითრეალიზება სჭირდება, როგორც ჩანს, უცხოა ქართველი ჩინოვნიკებისათვის. ამის გახმაურებას ისინი არც საჯაროდ ერიდებიან და საჭიროების შემთხვევაში არგუმენტადაც მოჰყავთ. არგუმენტი კი მინისტრის მოადგილეს შრომის ახალი კანონპროექტის "სიკეთის" დასამტკიცებლად დასჭირდა.

ფეხმძიმე ქალების დისკრიმინაციით გზით "კეთილშობილური მისიის" შესრულება - აქციო ქალები მხოლოდ დედებად, შრომის კოდექსის ახალი ვარიანტის მიხედვით, მაინც საპირისპირო შედეგს გამოიღებს – გაამძაფრებს დემოგრაფიულ პრობლემას, როგორც ამას ექსპერტები ვარაუდობენ. დღეს ქართული ოჯახების დიდ ნაწილში მამაკაცებზე მეტად ქალები არიან დასაქმებულები.

ფეხმძიმე ქალებისთვის ხელშეკრულების შეწყვეტა (ფეხმძიმობის გამო) არ არის ერთადერთი პრობლემატური მუხლი, რომელსაც შრომის ახალი კანონპროექტი "სთავაზობს" საქართველოს მოსახლეობას. კანონპროექტის მიხედვით, დაქირავებულის ინტერესები და უფლებები სრულიად უგულებელყოფილია. თუ უცხოურ ორგანიზაციებს არ ჩავთვლით, აქამდე დასაქმებულთა უმრავლესობას ხელშეკრულება ისედაც არ იცავდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი ხელშეკრულება დამქირავებლებთან არც ჰქონიათ. დღეს კი მთავრობას სურს, რომ რეალობა, რომელიც დაქირავებულს კაბალურ პირობებში აყენებდა და სრულიად დაუცველად აგრძნობინებდა თავს, კანონის ჩარჩოებში მოაქციოს.

აღმასრულებელი ხელისუფლების ერთადერთი აგუმენტი ისაა, რომ ამით თურმე ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს, რადგან კანონპროექტი დამქირავებელზეა ორიენტირებული.

თუმცა, ბიზნესის განვითარებას დაქირავებულთა სეგრეგაცია და დისკრიმინაცია კი არა, პირველ რიგში, კარგი ბიზნესგარემო სჭირდება, რომლის შესაქმნელად, ლიბერალურ საგადასახადო კოდექსთან ერთად, პრინციპულად აუცილებელია, რომ ბიზნსემენებს არ ატერორებდნენ და, რაც მთავარია, დამოუკიდებელი და პროფესიონალური სასამართლო არსებობდეს.

ჩემი მეგობარი, რომელიც ერთ-ერთი დიდი კომპანიის აღმასრულებელი დირექტორია, მუდმივად უარს ამბობს ინტერვიუზე ერთი და იგივე მიზეზის გამო - ამ ინტერვიუს შემდეგ შეიძლება მის კომპანიას პრობლემები შეექმნას. ეს ფაქტი პირადად ჩემთვის ბევრ რამეზე მეტყველებს, ისევე, როგორც კეზერაშვილის შოუ-აქციები - ხმაურიანი შემოწმებები, რომელიც, გინდა არ გინდა, ყველა მეწარმეში შიშის სინდრომს ნერგავს.

რაც შეეხება სასამართლო სისტემას, დღეს ის, ალბათ, ნდობის ყველაზე დაბალი ხარისხით სარგებლობს.

ამ სისტემის რეფორმის "შედეგს" ჯერ-ჯერობით მხოლოდ იმ სამი ცნობილი მოსამართლის წინააღმდეგ აღძრულ დისციპლინარულ დევნაში ვხედავთ, რომლებიც აქამდე თავისი პროფესიონალიზმით იყვნენ ცნობილნი.

ბევრს აწუხებს კითხვა, რატომ გახდნენ მაინცადამაინც ეს მოსამართლეები ხელისუფლების დევნის ობიექტი მაშინ, როცა უზენაეს სასამართლოში თავს კარგად გაძნობს, მაგალითად, შევარდნაძის დროინდელი პროკურორი და რბილად რომ ვთქვათ, არცთუ ისე უზადო რეპუტაციის მქონე ნუგზარ გაბრიჩიძე.

მაგრამ, ამ დრომდე ჩვენ მხოლოდ დევნილი მოსამართლეების პოზიცია ვიცით - ის განცხადებები, რომელიც მათ გააკეთეს ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკურ ზეწოლაზე. ხელისუფლების კონტრარგუმენტები კი არსად გამოქვეყნებულა და არც არსად მოგვისმენია.

საინტერსოა, რომ მიუხედავად საზოგადოების ინტერესისა და თემის აქტუალობისა, არც ერთ წამყვან ტელეკომპანიას ამ ფაქტისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია. ამ დროს მოსამართლეებისა და ხელისუფლების დებატები გაცილებით უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტი იქნებოდა, ვიდრე, მაგალითად, გოგიტიძე-არველაძის პაექრობა. რატომ არ ინტერესედება ზატულინის, ჟირინოვსკის, გოგიტიძის თუ მსგავსი მარგინალების მოყვარული ქართული ტელევიზია უფრო საინტერესო სტუმრებითა და საზოგადოებისთვის უფრო აქტუალური თემებით, ძნალი სათქმელია. თუმცა ეს, შესაძლოა, მხოლოდ ტელეჟურნალისტების ბრალიც არ იყოს.

ხელისუფლება დღეს თავად არჩევს თემებს სატელევიზიო თოქშოუებისთის. შესაძლოა არა პირდაპირი ჩარევით, არამედ უფრო უმტკივნეულო ფორმით - თუ თემა არ არის მათთვის ხელსაყრელი, მთელი სახელისუფლებო გუნდიდან არავინ აღმოჩნდება ისეთი, რომელიც თოქ-შოუში მონაწილეობაზე თანხმდება. მიზეზები, რა თქმა უნდა, საპატიოა – ზოგი შეხვედრაზეა, ზოგი უცხოეთში, ზოგი ავადაა და ასე შემდეგ.

სამაგიეროდ ყველა ხელმისაწვდომია მაშინ, როდესაც მისი ოპონენტი ისეთი მარგინალია, როგორიც ზატულინი ან ჯემალ გოგიტიძე; ან თემაა მომგებიანი, მაგალითად, პენსიები, როცა ხელისუფლების არგუმენტები უფრო გასაგებია, ვიდრე ოპოზიციის პრეტენზიები.

ასე რომ, ხელისუფლება ჯერ-ჯერობით კარგად ახერხებს, მართოს სიტუაცია მისთვის სასარგებლო მიმართულებით, მაგრამ ყველაზე საინტერესო თემებზე პასუხების გაცემა მას მაინც მოუწევს – მაშინ, როცა ნათელი გახდება, რომ ბიზნესის განვითარებას და ინვესტიციების მოზიდვას "შრომის კოდექსში" დაქირავებულთა და ფეხმძიმე ქალების დისკრიმინაციულ პირობებში ჩაყენება ვერაფერს უშველის.

# ფინანსური პოლიცია იმერეთშიც გამკაცრდა

მაია მესხიშვილი
ქუთაისიდან

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოში ახალი ხელმძღვანელის, ლევან კიკნაველიძის დანიშვნის შემდეგ, ამ უწყებამ რეგიონში რამდენიმე მიმართულებით განახორციელა სადამსჯელო ღონისძიებები. პირველ რიგში, ფინანსური პოლიცია უაქციზო და კონტრაბანდული სიგარეტის ამოღებისა და ამ ბიზნესში ჩართული ადამიანების მხილების კუთხით გააქტიურდა.

ორი დღის წინათ ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოს თანამშრომლებმა ტყიბულში, მოქალაქე გოჩა კანკიას ავტოფარეხში 7109 კოლოფ სხვადასხვა დასახელების უაქციზო თამბაქოს ნაწარმს მიაკვლიეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის მე-3 ნაწილით, რომელიც ორიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**"უაქციზო სიგარეტი, ძირითადად, გვხვდება ქუთაისსა და ტყიბულის რაიონში. ბოლო ორი კვირის მანძილზე იმერეთის რეგიონში 26500 კოლოფი უაქციზო სიგარეტი გვაქვს ამოღებული"**, - აცხადებს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოს უფროსი ლევან კიკნაველიძე.

ფინანსურმა პოლიციამ ქუთაისში სამი სასაწყობო მეურნეობაც დალუქა იმის გამო, რომ ამ დაწესებულებებში სხვადასხვა სახის აღურიცხავი პროდუქტები იყო განთავსებული. ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, რომ სასაწყობო მეურნეობების შემოწმებას ისინი ამ კვირაშიც გააგრძელებენ. იგივე ღონისძიებების გატარება ქუთაისში მოქმედ ტოტალიზატორებშიც იგეგმება. ამ დროისთვის ფინანსურმა პოლიციამ ქუთაისში უკვე ორი ტოტალიზატორი დახურა.

# 185 საგანმანათლებლო ობიექტის რეაბილიტაცია - სსიფ-ის გამოცდილება

პირველი გვერდიდან

### განახლებული სკოლები ახალი სასწავლო წლისთვის

..."როგორც ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სასწავლებლის შენობის რეაბილიტაციის პროექტის კოორდინატორი დავით ჯინჭარაძე აღნიშნავს: **"სასწავლებელში საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა, რომლის ღირებულებამ 600 ათას ლარს მიაღწია: გაფართოვდა და გამაგრდა არსებული საძირკვლები. მიწისზედა კონსტრუქციებს სეისმომდგრადობის ასამაღლებლად ჩაუტარდა გამაგრებითი სამუშაოები. - მოეწყო ლითონის სიხისტის ჩარჩოები, დაზიანებული აგურის კედლები ჩაისვა არმატურის ჯავშანში, მონოლითური რკინა-ბეტონის ფილებით შეიცვალა სართულშუა გადახურვები. თავიდან მოეწყო დაზიანებული შიდა კიბე, შეიცვალა სახურავი, ჩატარდა ზედაპირული წყლის არიდების ღონისძიებები. მცირე გადაგეგმარების ხარჯზე სკოლას შეემატა ორი მოზრდილი საცეკვაო დარბაზი. ამასთან, კაპიტალურად შეკეთდა დანარჩენი რვაც. აღდგა დიდი ხნის წინ მწყობრიდან გამოსული საშხაპეები. მთლიანად შეკეთდა ელექტროსისტემა, სველი წერტილები, შიდა და გარე წყალგაყვანილობა და საკანალიზაციო სისტემა; შეილესა და შეიღება ფასადი. დარბაზებში იატაკებზე დაიგო უცხოეთიდან ჩამოტანილი სპეციფიური ლინოლიუმი. ამ ობიექტზე დასაქმებულმა ადამიანებმა კეთილსინდისიერად შეასრულეს თავისი მოვალეობები, რისთვისაც მადლობას იმსახურებენ. ისინი სსიფის ყველა შენიშვნას ითვალისწინებდნენ და მონიტორინგის მორიგ პროცედურამდე ხარვეზებს ასწორებდნენ; შედეგიც სახეზეა"...**

მე-10 სკოლის დირექტორი ელისო ანჯაფარიძე: **"იცით როგორი სკოლა იყო? ამ იატაკს თუ რამე გაასწორებდა არ მეგონა; შუიდან აქეთ-იქით ისე იყო დაწეული, სასიარულოდ მალე მოაჯირი გახდებოდა საჭირო. დაბზარული კედლები... ჩამოქცეული ჭერი... მადლობა ღმერთს, ყველაფერი გასწორდა. სსიფ-ის პროექტის მიხედვით, სკოლა საძირკვლიდან სახურავამდე სულ რკინა-ბეტონში ჩასვეს. საკლასო ოთახების ნაწილიც გაარემონტეს. ნაწილს ქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურები გვიკეთებენ. როგორც იცით, ჩვენი სკოლა საჩვენებელი უნდა გახდეს. შესაბამისად, ყველა ვცდილობთ შენობა მაქსიმალურად კარგად და ლამაზად გაკეთდეს. აუცილებლად მინდა დიდი მადლობა გადავუხადო როგორც საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდს, ასევე ქალაქის მერიას, იმ უდიდესი თანადგომის, ყურადღების და კეთილსინდისიერების გამო, რომელიც მათ ჩვენს მიმართ გამოიჩინეს".**

ლია კოსტავა, 124-ე სკოლის დირექტორი: **"ჩვენთან სსიფ-მა უკვე დაამთავრა მუშაობა. გარედან რომ შეხედავთ, მარტივადაა ყველაფერი. მუშაობის პროცესი სულ რკინა-ბეტონის მტვერში მიმდინარეობდა... გულიანად იმუშავეს. მონიტორინგის ჯგუფიც თითქმის ყოველ კვირა მოდიოდა და ყველა წვრილმანს ამოწმებდა, ბევრი ხარვეზი გაასწორებინეს მშენებლებს - რაც არ მოსწონდათ, ხელმეორედ აკეთებინებდნენ. დიდი მუშაობა გაწიეს სსიფ-მაც და მშენებლებმაც..."**

...157-ე სკოლის დირექტორი ბორის ნიჩიპეროვიჩი: **"ჩვენს სკოლაში 1100 მოსწავლეა. თითქმის ერთი წელია რაც სსიფ შემოვიდა. ძალიან გულდასმით და ხარისხიანად გაკეთდა ყველაფერი. წვიმა ჩვენთვის სტიქიურ უბედურებად იყო ქცეული. ახლა კი სკოლაში ჩატარდა საძირკვლის გასამაგრებელი სამუშაოები, გამაგრდა კედლები, რაც მათ არმატურის ჯავშანში ჩასმას გულისხმობს, შეკეთდა სკოლის ავარიული ნაწილის საკლასო ოთახები, ტუალეტები, დერეფნები, ფანჯრები, კიბეები, მთლიანად შერემონტდა ფლიგელების ერთმანეთთან დამაკავშირებელი დერეფანი, შელესილი და შეღებილია შენობის ფასადი; აღდგენილია გათბობის სისტემა, დამონტაჟებულია ახალი საქვაბე; თავიდან გადაიხურა მთელი შენობა"...**

**"მინდა აღვნიშნო, რომ დედაქალაქის მერია, საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის წარმომადგენლებთან ერთად, აწარმოებს მიწისძვრით დაზიანებული სკოლების რეაბილიტაციის პროექტის სისტემატურ მონიტორინგს. სსიფ-ის შენიშვნები სამშენებლო ფირმების მიმართ აღნიშნული პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე საკმაოდ ობიექტური, ხშირ შემთხვევაში კრიტიკული და კეთილსინდისიერი გახლავთ. ყველა სკოლში, რომელსაც სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ან უტარდება, თითქმის სრულადაა დაცული სასკოლო, თუ გნებავთ ევროპული სტანდარტები. გულწრფელად ვამბობ, ზოგიერთი სკოლის დანახვაზე თავზარი მეცემოდა. ახლა პროგრამით გათვალისწინებულ სკოლებში სულ სხვა სიტუაციაა", - აცხადებს ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის კონტროლის განყოფილების უფროსი ზურაბ აზნიაიძე...**

**(გაზეთი "24 საათი", N213, 26.09.2005)**

### ჯიმითელი ბავშვები სწავლას ახალგარემონტებულ სკოლის შენობაში შეუდგნენ

... ადგილობრივი გავითარებისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, გურჯაანის რაიონის სოფელ ჯიმითის საშუალო სკოლის შენობა სრულად აღადგინა...

ჯიმითის სკოლა, სადაც 250-მდე ბავშვი სწავლობს, 1974 წელს აშენდა. მას შემდეგ სკოლას კაპიტალური რემონტი არ ჩატარებია, რის გამოც, სკოლის შენობის წინა ფასადის მარჯვენა კედელს ჯერ ბზარი გაუჩნდა, შემდეგ კი გაიხსნა.

**"დასკვნის შემდეგ რომ სკოლაში სწავლის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, სასწავლო პროცესი სოფლის საკრებულოს შენობასა და ერთ-ერთი ჩვენი მასწავლებლის მეუღლის კუთვნილ ნაგებობაში გაგრძელდა... ვის აღარ ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ სპონსორის მოძიება გაჭირდა, რადგან ძალიან დიდი თანხები იყო საჭირო. მერე საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდს დავეკონტაქტეთ. ჩვენი პროექტი ჩაჯდა სსიფII-ის პროგრამაში. რომ არა ფონდის დახმარება, სკოლა თავზე დაგვენგრეოდა... სკოლის კედელი გახსნილი იყო, საძირკვლები დაწეული და თუ შენობის გამაგრებითი სამუშაოები მალე არ ჩატარდებოდა, სკოლის დანგრევა გარდაუვალი გახლდათ. დაფინანსებული პროეტის მიხედვით შესრულდა ყველა გათვალისწინებული სამუშაო. კედლებისა და სკოლის სამივე სართულის შეკეთება-გარემონტების გარდა, შენობის გადახურვა ლითონის თუნუქით მოხდა, (მანამდე სკოლას დამტვრეული შიფერი ეფარა). სკოლის ეზოში აშენდა ახალი საპირფარეშო. საკმაოდ დიდი თანხები დაიხარჯა. ასეთი სახის სამუშაოები დღეისათვის იშვიათად სრულდება"**, - აღნიშნა გაზეთ "იმედთან" საუბარში სკოლის დირექტორმა ელზა დარჩიაშვილმა.

ჯიმითის საშუალო სკოლა, კახეთის რეგიონში სასწავლო პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით 5 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა...

**"მთელი სოფლის მოსახლეობა მადლობას ვუცხადებთ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდს, რომლის გაკეთებული საქმეც სახეზეა, მისი სახელი კი ყველა ჯიმითელს უკვე პირზე აკერია"**, - დაგვიბარა სოფლის დატოვებისას ჯიმითელმა პენსიონერმა მარიამ ღვინაშვილმა.

**(გაზეთი "იმედი", N43, 14.09.2005)**

### სსიფ-მა საწირეში "საშვილიშვილო საქმე" გააკეთა

ტყიბულის რაიონის სოფელ საწირის საშუალო სკოლაში 107 ბავშვი სწავლობს...

**"პირველად ერთსართულიანი სკოლის შენობა აქ 1937 წელს აშენდა, 1960 წელს კი მას ორსართულიანი ნაგებობა მიაშენეს. მიწისძვრის შემდეგ ძველსა და ახალ კედლებს შორის სიცარიელე წარმოიქმნა. სიტუაცია საკმაოდ პრობლემური გახლდათ. სსიფ-ის მიერ სკოლის შენობის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელების შემდეგ, სხვა პრობლემებთან ერთად, გაბზარული კედლის პრობლემაც მოგვარდა. მინდა აღვნიშნო, რომ ამ პროექტის განხორციელებით, სოფელში საშვილიშვილო საქმე გაკეთდა"**, - ამბობს სკოლის დირექტორი ირა სოფრომაძე.

**... როგორც საწირეს საკრებულოს თავმჯდომარე გოჩა ცირეკიძე აღნიშნავს: ""სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება - 93000, პროექტის ღირებულება კი 6000 ლარს შეადგენდა. თემის წილი პროექტის საერთო ღირებულების 8%-ი იყო, რამაც 6900 ლარი შეადგინა. ეს თანხა მთავრობამ თავად გაიღო. საერთოდ, სსიფ-ის პროგრამით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოების 72%-ს მსოფლიო ბანკი აფინანსებს, 28%-ს კი საქართველოს მთავრობა, საიდანაც 8% თემის წვლილად ითვლება..."**

**(გაზეთი "P.S." N36, 10.10 2005)**

### სსიფ-ის მიერ აღდგენილ გიმნაზიაში ინგილო ბავშვებიც ისწავლიან!

**"დღევანდელი გიმნაზია, როგორც ყვარლის რაიონის სკოლა-ინტერნატი 1960 წლიდან ფუნქციონირებს... საძილე კორპუსის გარემონტება სკოლისთვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, აღნიშნული კორპუსის გამართული ფუნქციონირებით სკოლაში სადღეღამისოდ დარჩენის მსურველი ბავშვების დაკმაყოფილების შესაძლებლობა მოგვეცემა, ასეთთა რიცხვი კი დღითი დღე იზრდება. სიმართლე გითხრათ, საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდს ასე გულმოდგინედ რომ არ ემუშავა, ძნელი სათქმელია, გიმნაზიის საძილე კორპუსის აღდგენა უახლოეს მომავალში რამდენად რეალური იქნებოდა. სამუშაოების დამთავრების შემდეგ, რამდენიმე კვირაში საინგილოდან დაახლოებით 50-მდე ბავშვის გადმოყვანა იგეგმება"**, - აღნიშნავს გაზეთ "იმედთან" საუბარში ყვარლის წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლა-გიმნაზიის პრორექტორი მერაბ კოკორაშვილი.

**... "ყვარლის სკოლა-გიმნაზიის საძილე კორპუსის გარემონტება რაიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვების ნორმალურ პირობებში აღზრდასაც შეუწყობს ხელს. ის ბავშვები, რომელთაც გიმნაზია სადღეღამისო განრიგით მიიღებს, ფაქტობრივად, ყველაფრით უზრუნველყოფილნი იქნებიან. საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი რომ არა, ქალაქ ყვარლის და თუნდაც რაიონის ბიუჯეტიდან, ძალიან გაჭირდებოდა საძილე კორპუსის კაპიტალური რემონტისთვის ფინანსების მობილიზება. ეს საშვილიშვილო საქმეა და მას დავიწყება არ უწერია"**, - ამბობს ქალაქ ყვარლის გამგებელი ლევან კოკორაშვილი...

საინგილოში მცხოვრები თენგიზ ბარიხაშვილი: **"სსიფ-ის მიერ ნამდვილად დიდი საქმე კეთდება, აქ ბევრი ოჯახია თანახმა შვილი ყვარელში გაუშვას სასწავლებლად, რათა ქართული არც მომავალ თაობას დაავიწყდეს. მადლობა ჩვენს ძმებს, რომ ახსოვთ ჩვენი თავი"...**

**(გაზეთი "იმედი" N45, 5.10.2005)**



145-ე სკოლა ფაქტობრივად თავიდან შენდება.



სარემონტო სამუშაოები ორბელის სკოლაში.



გეზრულის სკოლა აღდგენილია.



გამაგრებითი სამუშაოების მიმდინარეობა.



სალომინაოს რეაბილიტირებული სკოლის შენობა.

### სსიფ მახინჯაურში სპორტდარბაზს არემონტებს

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახინჯაურში საშუალო სკოლის სპორტდარბაზს არემონტებს. მახინჯაურელები წლების განმავლობაში საკუთარი ძალებით ცდილობდნენ 300 კვ/მ დარბაზის კეთილმოწყობას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ორი წლის წინ დაგებული იატაკი, იმის გამო, რომ სახურავიდან წყალი ჩამოდიოდა, გამოუსადეგარი გახდა. სსიფ-ის პროგრამით, ამ სოფლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტი ახლა კაპიტალურად რემონტდება.

**... სპორტდარბაზში ყველაფერი მაღალ დონეზე კეთდება - კედლები, იატაკი, ჩაისმება მეტალოპლასტმასის ფანჯრები. აქ იქნება კალათბურთის მოედანი, დაიდგმება ახალი ფარები; გაკეთდება საჭიდაო დარბაზი, გასახდელები გოგოებისთვის და ბიჭებისთვის. ამ დარბაზში რაიონული შეჯიბრებებიც კი შეიძლება ჩატარდეს.**

**"აქ განუწყვეტლივ ჩამოდიოდა წყალი, ჩამოშლილი იყო კედლები, მინის ნაცვლად ცელოფნები გვქონდა ჩასმული, დარბაზში საერთოდ ვერ შემოვდიოდით. ახლა სახურავი იცვლება. ეს დარბაზი დაგვეხმარება, რომ ახალგაზრდობა ქუჩას მოვწყვიტოთ. ნახევარ სოფელს ძალაუნებურად მოვიზიდავთ. გარდა ამისა, რემონტის პროცესში ადგილობრივი მასწავლებლები დაგვასაქმეს, ამჟამად რვა ადამიანი ვმუშაობთ - ძირითადად ამავე სოფლის მცხოვრებლები",-** ამბობს სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი, ბესიკ დონღვანი.

**მახინჯაურის სკოლაში ამ ეტაპზე 630-მდე ბავშვი სწავლობს...**

(გაზეთი "ბათუმელები" N43, 2.11.2005)

### ნიგვზიანელი ბავშვები ახალ სასწავლო წელს განახლებულ შენობაში შეხვდნენ

"ჩვენი სკოლა 100 წლისაა და, ბუნებრივია, აღდგენას დიდი ხნის წინ საჭიროებდა... სსიფ-ის ხელშეწყობით შეკეთდა სახურავი, მთლიანად გამოიცვალა სახურავის ხის კონსტრუქციები. თავიდან შეილესა და შეიღება ფასადი. ნაწილობრივ გამოიცვლა და სრულად შეკეთდა კარ-ფანჯრები... უნდა აღინიშნოს, რომ პროექტით შიდა სამუშაოები არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ გაკეთდა დანაზოგი, რომელმაც მშენებლებს ინტერიერის მოწესრიგების საშუალება მისცა... ყველა ოთახში შეკეთდა ბუხარიც. უნდა ითქვას, რომ სამუშაოების შესრულებით ყველა კმაყოფილია. უფრო მეტიც, მშობლებიც დიდი სიმოვნებით მოგვეხმარნენ; ისინი თავად იყვნენ ჩართულნი მუშაობის პროცესში. ასე რომ, დღეს მათი შვილები მოწესრიგებულ სასწავლო დაწესებულებაში სწავლობენ. მადლობის მეტი რა გვეთქმის..." **- ამირან დობორჯგინიძე ლანჩხუთის რაიონის სოფელი ნიგვზიანის საშუალო სკოლის დირექტორი.**

**... "უნდა ითქვას, რომ სსიფ-მა სოფლის მიერ დასმული პრობლემის გადაჭრას თავი წარმატებით გაართვა. წლევანდელ სასწავლო წელს ნიგვზიანელი მოსწავლეები გარემონტებულ სკოლაში შეხვდნენ"**, - ბადრი ჭყონია, ნიგვზიანის საკრებულოს თავმჯდომარე.

**(გაზეთი "გურია ნიუსი", N 79, 10.10.2005)**

### სსიფ-ის ინვესტიციით ძველი ანაგის საშუალო სკოლის რეაბილიტაცია დასრულდა

... "სოფელ ძველი ანაგის საშუალო სკოლა თითქმის განადგურებული იყო. შენობას იერსახე თითქმის აღარ ჰქონდა. წლების განმავლობაში შენობის ფანჯრებზე პოლიეთილენის პარკები, დიქტები და ფიცრები იყო აკრული. ასეთ პირობებში ტარდებოდა გაკვეთილები... ჩვენს სკოლაში 221 ბავშვი სწავლობს. ახლა... წარმოიდგინეთ, მათ სიხარულს საზღვარი არ აქვს. პედაგოგებიც ახალი ენერგიით ვმუშაობთ... აღდგენილ სკოლას თვითოეული ბავშვი უფრთხილდება..."**- სოფელ ძველი ანაგის საშუალო სკოლის დირექტორი ნინო ღვედაშვილი.**

**... "სოფლის მოსახლეობა სკოლის რემონტს სიხარულით შეხვდა. მართლაც ძალიან ცუდ პირობებში უხდებოდათ ბავშვებს სწავლა. დღეისათვის სარემონტო სამუშაოები დასრულებულია - სკოლა სრულადაა რეაბილიტირებული. დარჩენილ პატარ-პატარა ხარვეზებს სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები საგულდაგულოდ ასწორებენ. დიდი მადლობა სსიფ-ს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩვენი სოფლისთვის ამ მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარა".** - ძველი ანაგის საკრებულოს თავმჯდომარე ტარიელ ღვედაშვილი.

**(გაზეთი "იმედი", N50, 9.11.2005)**

### სსიფ-მა ვანელებს დაუჯერებელი რეალობად უქცია

**... საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი (სსიფ), სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტს, სხვა მრავალ რაიონთან ერთად, ვანის რაიონშიც ახორციელებს.**

ამ ეტაპზე უკვე სახეზეა რაიონის ორი სოფლის - ყუმურისა და სალომინაოს - საფუძვლიანად რეაბილიტირებული სკოლები. აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ მუქედის საშუალო სკოლაში...

ყუმურის მოსახლეობამ უამრავ პრობლემას შორის პრიორიტეტი საშუალო სკოლის რეაბილიტაციას ერთხმად მიანიჭა.

შემდგომ ეტაპზე აირჩიეს სათემო კომიტეტი სახელწოდებით "იმერეთი" და კომიტეტის თავმჯდომარე - სკოლის დირექტორი ნაილი ბოლქვაძე...

25 მაისს მოეწყო სამშენებლო ტენდერი, რომელშიც მონაწილეობა ოთხმა ორგანიზაციამ მიიღო. გაიმარჯვა შპს "ინდუსტრია 2"-მა (ხელმძღვანელი - დავით აბესაძე, ინჟინერ-შემსრულებელი - დავით კურტანიძე)...

მოსწავლეებსა და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადად აჩვენა სკოლის რეაბილიტაციამდელი მდგომარეობა.

ლამარა ადეიშვილი ყუმურის სკოლაში უკვე რამდენიმე ათეული წელია გერმანულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. მას, სხვა პედაგოგების მსგავსად, გაკვეთილზე შესვლისას ყოველთვის ჰქონდა შიში სკოლის ავარიული მდგომარეობის გამო. **"პრობლემა სსიფ-მა იმდენად კარგად მოგვიხსნა, რომ უდიდესი მადლობის მეტი არაფერი შემიძლია ვთქვა",** - აღნიშნა მან ჩვენთან საუბრისას.

ამირან ქართველიშვილი ყუმურის საშუალო სკოლის მოსწავლეა. მას დღეს აღარ ეშინია თამამად შეაბიჯოს საკლასო ოთახში. წარსულში დარჩა დრო, როცა მის თამამ ნაბიჯს, ჭერიდან ჩამოვარდნილი აგურის თავში დაცემა, ან უკეთეს შემთხვევაში, დამპალ იატაკში ჩავარდნა შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

ივნისის თვეში დაწყებული მშენებლობა დასრულდა და ახალ სასწავლო წელს ბავშვები და პედაგოგები განახლებულ სკოლაში შეხვდნენ. მშენებლობის პროცესში, გამარჯვებული ორგანიზაციის წარმომადგენლების გარდა, თემის განვითარების კომიტეტის თხოვნით, ადგილობრივებიც მონაწილეობდნენ. რა თქმა უნდა, შესაბამისი ანაზღაურებით, რითაც კმაყოფილნი დარჩნენ.

**ქალბატონმა ნაილიმ გვიამბო:** "თავდაპირველ ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც კომიტეტის წევრებთან ერთად შევიმუშავეთ და წარვადგინეთ, მეორე სართული საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. პირველ სართულზე არსებული 12 ოთახი სრულად აკმაყოფილებდა ზოგადსაგამანათლებო საშუალო სკოლის მოთხოვნებს, იმის გათვალისწინებით, რომ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 98-ს არ აღემატებოდა; მაგრამ გზადაგზა წამოჭრილმა პრობლემებმა ხარჯების გაზრდა გამოიწვია. პირველი სართულის ჭერი, მეორეს - იატაკი, თითქმის მთლიანად შესაცვლელი გახდა. ჩვენ მოთხოვნაში ვწერდით, ჩამოიწმინდოს კედლები საღებავებისგან და მოხდეს მისი განახლება, მაგრამ აქ ჩამოწმენდა კი არა, ჩამონგრევა გახდა აუცილებელი. 60-იან წლებში აშენებულ კედლებს ფუნქცია თითქმის აღარ ჰქონდა, ცემენტი სილასავით იყო გამხდარი და შედეგიც... - სკოლა თავზე გვენგრეოდა. ფასადისთვის ცემენტის წინასწარ განსაზღვრულ რაოდენობაზე ორჯერ მეტი გახდა საჭირო. ოთახების ალაგ-ალაგ ამოშენება დასჭირდა... მთლიანად შეიცვალა შენობის სახურავი. შეიცვალა სახურავისათვის საჭირო ხის მასალაც... ახლა კი ხომ უყურებთ, რა სკოლა გვაქვს..."

**(გაზეთი "P.S.", N35, 3-9.10.2005)**

### ევგენი ხარაძის სახელობის საშუალო სკოლა მალე ჩვეულ ტრადიციებს დაიბრუნებს

... უკვე სამი თვეა, აბასთუმნის საშუალო სკოლაში საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის ხელშეწყობით სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს... სკოლის სარემონტო სამუშაოებს, რისთვისაც სსიფ-მა 50308 ლარი გამოყო, ტენდერში გამარჯვებული ადგილობრივი ფირმა "თორნიკე" აწარმოებს. **"იმდენად ცუდ პირობებში გვიწევდა მუშაობა, რომ სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვა თითქმის შეუძლებელი იყო. საკლასო ოთახებში წვიმა წლობით ჩამოდიოდა, ფარღალალა ფანჯრებიდან კი მსუსხავი ქარი ქროდა... ახლა პირველადი სამუშაოები დასრულდა. სკოლის მეორე სართულზე თითქმის ყველა ოთახში გაილესა და შეიღება კედლები, ჭერი და იატაკი. შეიცვალა ყველა კარ-ფანჯარა. შეთეთრდა სკოლის გარე ფასადიც..."**, - აღნიშნავს აბასთუმნის ევგენი ხრაძის სახელობის საშუალო სკოლის პედაგოგი ნანა ბარბლიშვილი.

**"სკოლაში იმდენად გაუსაძლისი პირობები იყო, ბავშვი ხშირად ცივდებოდა და ჩემი შემოსავლის ნახევარზე მეტს წამალში ვხარჯავდი... მადლობა ღმერთს, წელს ასეთი მდგომარეობა აღარ იქნება".** - აბასთუმნის საშუალო სკოლის მოსწავლის მშობელი თამარ მინაძე...

### ადიგენის მოსწავლეები ახალ შენობას ელიან

... სულ მალე დაბა ადიგენის საშუალო სკოლის შენობა ოფიციალურად გაიხსნება. ადიგენელი მოსწავლეები კი სასწავლო პროცესს ახლა უკვე საკუთარ შენობაში განაახლებენ. **"შენობა მართლაც კარგად გაგვირემონტეს. გრანდიოზული სამუშაოების ჩატარება მოუხდათ, რადგან სკოლას თითქმის აღარ ჰქონდა საძირკველი. დღეს უკვე მოწესრიგდა სველი წერტილები, გაკეთდა და შეიღება სპორტული დარბაზი და საკლასო ოთახები"**, - ამბობს ადიგენის საშუალო სკოლის პედაგოგი მანანა კაკოშვილი...

**(გაზეთი "სამხრეთის კარიბჭე" N41, 25.10.2005)**

### სსიფ ცაგერის რაიონის უღარიბეს სოფლებში სკოლების რეაბილიტაციაზე მუშაობს

**..."სასწრაფოდ შევქმენით სათემო კომიტეტი "ორბელი". სათემო კომიტეტმა სამსჯავროზე სოფლისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის რამდენიმე პროექტი წარმოადგინა... პრიორიტეტი სკოლას მივანიჭეთ...**

**ოცდაათი წელია, ორბელის სკოლაში რემონტი არ გაკეთებულა, როგორ არ ეცადნენ - არ მოხერხდა. არადა, სკოლა კი არ ინგრეოდა - დანგრეული იყო. ოც-**

გაგრძელება A5 გვერდზე

# 185 საგანმანათლებლო ობიექტის რეაბილიტაცია - სსიფ-ის გამოცდილება

A4 გვერდიდან

**დაოთხი ოთახიდან რვა აჭედილი ჰქონდათ - შესვლა არ შეიძლებოდა. მიწისძვრამ საბოლოდ გაანადგურა ყველაფერი. ოთახებსა და სველ წერტილებში ბავშვები ქოლგებით დადიოდნენ. ჭერი შეიძლება ნებისმიერ წუთს ჩამონგრეულიყო. იატაკზე ფეხს შიშით ვადგამდით, ისე იყო დამპალი. საკლასო ოთახებიდან ბავშვები კედლებში უყურებდნენ ერთმანეთს..."** - გვიამბობდნენ სოფლის გამგებელი ლევან ბურჯალიანი, სკოლის დირექტორი ნატო მეშველიანი და პედაგოგები...

**"15 აგვისტოს სკოლის რემონტი დაიწყო; ყველაფერი ევროსტანდარტების დონეზე კეთდება. ჩვენთან ხშირად არიან სსიფ-ის წარმომადგენლები, განსაკუთრებით ბ-ნი მერაბ ჯაფარიძე. თითქმის ყოველთვის აქ არის სამშენებლო ფირმის მთავარი ინჟინერი ქიშვარდ ყურაშვილი. სსიფ-ის ეს პროექტი უფლის წყალობად მიგვაჩნია"**, - გვითხრა სოფლის გამგებელმა...

**(გაზეთი "P.S", N34, 2.10.2005)**

### სსიფ მალე ზოტის სკოლის მშენებლობას დაასრულებს

**... "სსიფ-ის წარმომადგენლების მიერ დათვალიერებული და შესწავლილი იქნა სკოლის შენობის საძირკველი, შენობის ფართი, მოსწავლეთა კონტინგენტი. მათი თქმით, სოფელ ზოტზე გამოყოფილი თანხა ვერ უზრუნველყოფდა ახალი სკოლის აშენებას. სოფელთან შეთანხმებით, გადავწყვიტეთ, გაკეთებულიყო პირველი სართული ქვის მასალით, მეორე სართული კი ხის მასალით. ასევე, გათვალისწინებული იქნა, რომ მშენებლობა განხორციელებულიყო ისე, რომ შემდგომში შესაძლებელი ყოფილიყო სკოლაზე მიშენებითი სამუშაოების ჩატარება. კრების მიერ არჩეული იქნა თემის განვითარების კომიტეტი 29 კაცის შემადგენლობით, რომლებსაც შემდგომში სსიფ-ის მიერ წარმოებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მონიტორინგი დაევალათ"**, - აცხადებს ზოტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ზაზა ანთაძე, ზოტის სკოლის დირექტორი: **"...შენობის ავარიულობის გამო, ხშირად ძალიან მძიმე სიტუაციაში ვვარდებოდით, სოფლის ხელმძღვანელობა სკოლის დირექციასთან ერთად, აქტიურად ეძებდა გზებს სკოლის რეაბილიტაციისთვის. ...სსიფ-ის მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად, სოფელი ზოტი აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში. თემმა უპირატესობა სკოლას მიანიჭა. სწორედ აქედან დაიწყო ჩვენი თანამშრომლობა სსიფ-თან. ფონდის მიერ გამოყოფილი თანხა შეადგენს 91 ათას ლარს...**

**დღეისათვის აშენებულია პირველი სართული. სამშენებლო მასალების ხარისხი, ისევე როგორც მშენებლობისა, საკმაოდ მაღალია. პროექტის მიხედვით, შენდება პირველ სართულზე სამი ოთახი, ასევე, მეორე სართულზე სამი ოთახი კიბის უჯრედით..."**

დავით სიხარულიძე, სსიფ-ის მიერ გამართულ სამშენებლო ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

"2005 წლის ივნისში ჩატარდა ტენდერი, რომელშიც მონაწილეობა სამმა ორგანიზაციამ მიიღო: "ამაღლება-98", "კომუნმშენი", "გრანტმშენი". გამარჯვებული ორგანიზაცია სამშენებლო სამუშაოების შესრულებისთვის მისაღები ფასების მიხედვით შეირჩა. მხედველობაში იქნა მიღებული ასევე, ორგანიზაციის საბანკო გარანტიები, ისტორია და სხვ. ეს ყოველივე მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პროცედურებია... სადღეისო მონაცემებით, პირველი სართული მთავრდება. მალე დაიწყება მეორე სართულის მშენებლობა. ამისათვის საჭირო ხის მასალა უკვე მზად არის..."

**(გაზეთი "გურია ნიუსი", N85, 31.10.2005)**

### შუახევის რაიონის ოთხ სოფელში სსიფ სკოლებს არემონტებს

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი შუხევის რაიონის ოთხი უღარიბესი საკრებულოს - ჭვანის, უჩამბის, შუბნისა და ჯაბნიძეების საშუალო სკოლებში კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს ახორციელებს...

ჭვანის საშუალო სკოლა 1968 წელს აშენდა. მოგვიანებით, 1978 წელს, შენობას ახალი კორპუსი მიემატა სპორტული დარბაზით. სკოლაში, რომელიც 320 მოსწავლეზეა გათვლილი, ამჟამად 141 ბავშვი სწავლობს.

**"აშენებიდან დღემდე ამ სკოლას კაპიტალური რემონტი არ ჩატარებია. აქაიქ მხოლოდ უმნიშვნელო სარემონტო სამუშაოები ტარდებოდა. საქმის კურსში გვყავდა ჩაყენებული ყველა დეპუტატი... თავის დროზე წერილი პრეზიდენტ შევარდნაძესაც მივწერეთ, მაგრამ ამ დრომდე ჩვენი პრობლემით არავინ დაინტერესებულა"**, - აცხადებს სკოლის პედაგოგი, ნოდარ ბეჟანიძე.

...სსიფ-ის პროგრამით დაგეგმილია ჭვანის საშუალო სკოლის პირველი სართულის კაპიტალური რემონტი. **"პირველ სართულზე დაწყებითი კლასები და სააქტო დარბაზია განთავსებული. სკოლაზე მიშენდება სველი წერტილისთვის განკუთვნილი კაპიტალური ნაგებობა, გამაგრდება მე-2 სართულის იატაკი, პირველ სართულზე შეიცვლება ელექტროგაყვანილობა, მოწესრიგდება სკოლის შემოგარენი, საშეშე ფარდული. სკოლის ზედა მხარეს აშენდება სკოლის დამცავი კედელი, რომელსაც გამოყოფილი თანხის დიდი ნაწილი მიაქვს"**, - ამბობს სათემო კავშირის თავმჯდომარე, ნოდარ ბეჟანიძე.

**ჭვანის საკრებულოს გამგებელი, შალვა ტაკიძე სკოლის რემონტს უმთავრეს თემად მიიჩნევს:** "წელს ბევრი პრობლემა მოგვარდა, გასაკეთებელი კვლავ ბევრია... მაგრამ სკოლის პრობლემის მოგვარება მაინც ყველაზე საშურია. ...სსიფ-ის შიდა საქმიანობაში ჩვენ არ ვერევით. ისინი თავიანთი პროგრამით მუშაობენ. მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი უამრავი პროცედურის დაცვა უწევთ. პროექტში შეტანილი ყველა ცვლილება მსოფლიო ბანკს უნდა შეუთანხმონ. პროექტის ძირითად ნაწილს (72%-ს) ხომ ისინი აფინანსებენ. მთავარია, საქმე გაკეთდეს... სკოლის რემონტზე ადგილობრივი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი დასაქმდება, რითაც მოსახლეობას დამატებითი შემოსავლის წყარო გაუჩნდება".

**(გაზეთი "ბათუმელები", N40, 12-19.10.2005)**

### დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლაში სსიფ სარეაბილიტაციო სამუშაოებს ამთავრებს

...ამჟამად მკითხველის ყურადღება სამტრედიის რაიონში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გვინდა შევაჩეროთ.

მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების მიხედვით, სსიფ-მა უღარიბესი თემები გამოავლინა და შესაბამისად, დიდი ჯიხაიშის, ილორისა და გომის საკრებულოებში თემის მიერ პრიორიტეტად გამოცხადებული ობიექტების აღდგენარეაბილიტაცია საკუთარ თავზე იტვირთა.

**...დიდი ისტორიული მემკვიდრეობა აქვს ნიკო ნიკოლაძის მიერ 1873 წელს დაარსებულ ჯიხაიშის საშუალო სკოლას... სულ ცოტა ხნის წინ კი სკოლის შენობის "ბინადართ" წვიმის მოსვლის "სახადივით" ეშინოდათ. პედაგოგებს, დაზიანებული სახურავიდან წყლის ჩამოსვლის გამო, ხშირად უწევდათ მე-4 სართულზე განთავსებულ საკლასო ოთახებში სასწავლო პროცესის შეჩერება; სპორტულ დარბაში კი ბავშვები თვეების მანძილზე ვერ შედიოდნენ - დარბაზის იატაკი მიწის დონიდან ქვემოთ 1,5 მეტრზეა განლაგებული, ნაწვიმარი წყალი დარბაზში გუბდებოდა და წარმოქმნილი ნესტი კედლებს აობებდა.**

დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლაში სსიფ-ის პროგრამის განსახორციელებლად სამშენებლო ფირმებისთვის გამოცხადებულ ტენდერში ფირმა "ბესკომ" გაიმარჯვა; ჩვენ კი ადგილზე მისულებს სარეაბილიტაციო სამუშაოები თითქმის დასრულებული დაგვხვდა.

**"აქ მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს... მშენებლები დათქმულ ვადაში ეტევიან და სკოლა სოფელს ნოემბრისთვის აუცილებლად ჩაბარდება"**, - განმარტავს სოფლის გამგებელი მამუკა ბიბილეიშვილი.

**შესრულებული სამუშაო სკოლის ეზოში შესულებს მაშინვე თვალში გვეცა: გამოცვლილია სახურავი - შენობა თუნუქის ფირფიტებით გადახურეს, კარფანჯარა, შერემონტებულია სამასწავლებლო, წვიმის დროს სპორტული დარბაზის დატბორვის თავიდან ასაცილებლად, იატაკი ქვა-ღორღით დაიფარა, რომელიც შემდეგ მოპირკეთდა. სულ მალე შენობის ფასადიც გალამაზდება და შენობის "კანონიერი მეპატრონეები" ახალმოსახლეობასაც იზეიმებენ.**

...როგორც გაირკვა, ჯიხაიშში სარეაბილიტაციო სამუშაოები 78000 ლარი დაჯდა. სხვა სიკეთესთან ერთად, სსიფ-ის და ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციის წყალობით, ადგილობრივ მოსახლეობას დასაქმების საშუალებაც მიეცა. მართალია დროებით, მაგრამ სკოლის მშენებლობაზე სოფლის ოცამდე მკვიდრი მაინც დასაქმდა - თბილისურ ფირმას მუშახელი დედაქალაქიდან არ ჩამოუყვანია.

სსიფ-ის შრომის შედეგს მალე სამტრედიის სოფელ ილორის მოსახლეობაც "იგემებს". აქ ხანძრის შედეგად თითქმის მთლიანად განადგურებული საშუალო სკოლის შენობას აღდგენითი სამუშაოები უკვე უტარდება...

**(გაზეთი "P.S." N37, 17.10.2005)**

### ჯუმათის საშუალო სკოლის გადასარჩენად

**ჯუმათის საშუალო სკოლაში პროექტის მიხედვით 100 კალენდალურ დღეში დასამთავრებელი სამუშაოები 90 დღეში დამთავრდება**

ოზურგეთის რაიონის სასწავლო დაწესებულებებიდან ყველაზე საგანგაშო მდგომარეობაში სოფელ ჯუმათის საშუალო სკოლის შენობაა, რომელიც 43 წლის წინათ, 1962 წელს შევიდა ექსპლუატაციაში. ეს არქიტექტურულად მართლაც გამორჩეული შენობა ორჯერ ნახანძრალი გახლავთ...

ჯუმათის საშუალო სკოლის შენობის გადასარჩენად წლეულს საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა 93.795 ლარი გამოყო...

როგორც სამუშაოს მწარმოებელმა ირაკლი ახვლედიანმა გვითხრა, **"სამშენებლო ფირმამ სარემონტო სამუშაოები 15 აგვისტოს დაიწყო და 93. 000 ლარზე მეტი მოცულობის სამუშაო, პროექტის მიხედვით, 100 კალენდარულ დღეში უნდა დამთავრდეს; შენობა მოთუთიებული ფურცლოვანი მასალით იხურება. უკვე გადახურულია მარჯვენა ფლიგელი, შებათქაშებულია მისი მინაშენის კედლები, დაწყებულია შუა, ყველაზე დიდი ფლიგელის გადახურვა, მთავრდება მარცხენა ფლიგელის სახურავის კარკასის აგება. პარალელურად მიმდინარეობს შიდასარემონტო სამუშაოები. პროექტის მიხედვით, მთლიანად უნდა შეკეთდეს მესამე სართული, რომელიც ყველაზე მეტადაა დაზიანებული. გათვალისწინებულია ასევე მიმდებარე ტერიტორიისა და მისასვლელი გზის კეთილმოწყობა. ამ მიზნითაც მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები"...**

**(გაზეთი "გურია ნიუსი" N73, 19.09.2005)**



სსიფ-ის მიერ აღდგენილი 124-ე სკოლა.



69-ე სკოლის ახალი დარბაზი.



ჭიმითელი ბავშვები განახლებულ სკოლაში სწავლობენ



სსიფის პროექტი აფხაზეთის მოსაზღვრე სოფელ განმუხურში.



152-ე სკოლის შენობა ატიპიური გახლავთ.

### სსიფ-ის პროექტმა მთელი სამეგრელო მოიცვა

...ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში საშუალო სკოლის რემონტი უკვე დასრულებულია. აღნიშნული პროექტის ღირებულება დაახლოებით 92 000 ლარი გახლავთ... პროექტის ფარგლებში ძირითადად შენობის პირველი ფლიგელი გადაიხურა, ასევე გაკეთდა პირველი სართულის სრული რემონტი. რაც შეეხება მეორემესამე სართულებს, გაკეთდა კოსმეტიკური რემონტი. სამივე სართულზე გამოიცვალა კარ-ფანჯრები, შეიღება ფასადი. როგორც გავარკვიეთ, სკოლა მანამდე ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, სახურავიდან ჩამოსული წვიმის წყლის გამო შეუძლებელი იყო სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვა. ამჯერად კი, მთლიანად გადაიხურა სახურავი.

აღსანიშნავია, რომ განმუხური აფხაზეთის მოსაზღვრე სოფელია და შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი იყო პირველი მერცხალი, რომელიც ამ სოფელში პროექტით შევიდა...

სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიის საშუალო სკოლაშიც, რომელსაც სამშენებლო ტენდერში გამარჯვებული ზუგდიდური ორგანიზაცია შპს "საბა" ასრულებს. პროექტის მეშვეობით, სამსართულიანი სკოლის შენობა მთლიანად გადაიხურა. ასევე გაკეთდა სპორტული დარბაზი. **"სსიფ-ის პროექტით მხოლოდ სკოლის გადახურვა და პირველი სართულის რეაბილიტაცია იყო გათვალისწინებული. ხოლო შემდეგ კი პროექტს დაემატა დარბაზის კეთილმოწყობა, ფასადის ხელახლა შელესვა და კარ-ფანჯრების გამოცვლა. აღნიშნული პროექტის ღირებულება დაახლოებით 88 ათასი ლარია"**, - განაცხადა სამშენებლო ფირმის ხელმძღვანელმა...

სენაკის რაიონის სოფელ თეკლათის საშუალო სკოლაში სარემონტო სამუშაოები კი უკვე დასრულდა. **"არსებული სინესტის გამო, გაჭირდა მუშაობა. ფაქტობრივად პირველი სართულის სრული რეაბილიტაცია მოხდა. გამოიცვალა კარ-ფანჯრები, დაიგო იატაკები, რომელიც ფაქტიურად საერთოდ არ არსებობდა. შეილესა და შეიღება ფასადები. პროექტი 102 ათასი ლარის სამუშაოების შესრულებას ითვალისწინებდა. სამუშაოების საბოლოო ჩაბარებამდე არაერთხელ გავდივართ ობიექტის მიღება-ჩაბარების პროცედურას და ექვსი თვის შემდეგაც გავაკონტროლებთ შესრულებული სამუშაოების ხარისხს. ასეთ მონიტორინგს სსიფ ნებისმიერ ობიექტს უწევს"**, - განმარტა ჩვენთან საუბარში სსიფ-ის კოორდინატორმა...

სსიფ მარტვილის რაიონის სოფელ გაჭედილში სამსართულიანი სკოლის შენობის რემონტს ახორციელებს. - **"გაჭედილში ექსპერიმენტის სახით, ფანჯრები მეტალოპლასტიკის გავაკეთეთ. ასევე გაკეთდა გადახურვა, პირველი სართულის სრული რეაბილიტაცია, მეორე- მესამე სართულები შეიძლება მხოლოდ შეიღებოს. სამუშაოები სრულად ერთ თვეში დასრულდება"...**

საქართველოს სოციალური ივესტიციების ფონდი მესტიის რაიონის სამ სოფელში - ბეჩოში, წვირმსა და ლატალშიც ახორციელებს სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტს. ბეჩოს საკრებულოში სოფელ მაზერის არასრული საშუალო სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს...

სსიფ-ის კოორდინატორის თქმით, **"ობიექტებზე მომუშავე ორგანიზაციებს, ფაქტობრივად, მუშები არ ჩამოუყვანიათ. სოფლებში იმდენად მონატრებული იყო მოსახლეობა მხარდაჭერასა და ყურადღებას ხელისუფლებისგან, რომ სსიფ-ის მიერ პროექტების განხორციელებისას ფიზიკურადაც კი დიდი სიამოვნებით მუშაობენ. ასევეა ანაკლიაშიც - მთელი სოფელი ჩართულია სკოლის რეაბილიტაციის საქმეში"...**

**"მინდა გითხრათ, რომ სარემონტო სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. სოციალური ინვესტიციების ფონდის მიერ გამოყოფილი თანხა სრულად მოხმარდება სკოლის შენობის აღდგენარეკონსტრუქციას. პირველ ეტაპზე - უკვე დასრულდა სახურავის გამოცვლა, წარმატებით სრულდება ასევე გარე ფასადის შელესვა და კარ-ფანჯრების შეცვლა. ყველაზე მისასალმებელი რაც აქ კეთდება, ეს არის სპორტ-დარბაზის აღდგენა"**,- აცხადებს ანაკლიის საშუალო სკოლის დირექტორი, ხვიჩა შამათავა...

**(გაზეთი "მთავარი სამეგრელოში" N44, 8.10.2005)**

### სსიფ ჩოხატაურის რაიონში სკოლების რეაბილიტაციაზე მუშაობს

... გასული წლის ბოლოს, სსიფ-ის მიერ ჩოხატაურის რაიონში დაიგეგმა საშუალო სკოლების რეაბილიტაცია. როგორც ჩვენი რესპონდენტები ამბობენ, მთელი რიგი პროცედურების შემდეგ... შერჩეულ სოფლებში, სათემო კავშირის წევრებმა პრიორიტეტად სკოლების შეკეთება გამოაცხადეს. ამჟამად ჩოხატაურის რაიონში მიმდინარეობს ზემო სურების (დაფინანსება შეადგენს 84 580, 30 ლარს), ზოტის (89 928, 36 ლარი), ხევისა (142 810, 77 ლარი) და ხიდისთავის (106 000 ლარი) სკოლების რემონტი... ამჯერად, ჩვენ სოფელ ხიდისთავის სათემო კავშირის მუშაობასა და აქ მიმდინარე სკოლის რემონტის შესახებ ვისაუბრებთ:

ხიდისთავის საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ გუდავაძე:

**"...ხიდისთავის საშუალო სკოლას თამამად შეიძლება ისტორიული მნიშვნელობისა ვუწოდოთ. ისიც ფაქტია, რომ სკოლას სასწრაფოდ სჭირდებოდა შეკეთება და პროგრამამაც სულზე მოუსწრო. ფონდის მიერ, შენობის სარემონტოდ გამოყოფილი თანხა შეადგენს 90 000 ლარს, რაც, სამწუხაროდ, საჭირო თანხის 45%-ია. ასეთ პირობებში, შენობის სრული რეაბილიტაცია ვერ მოხერხდება. არსებული დაფინანსების ჩარჩოებში მოქცეული საბოლოო პროექტი ითვალისწინებს შემდეგ სამუშაოებს:**

**პირველი სართულის სარემონტო სამუშაოები; პირველი სართულის ელექტროტექნიკური სამუშაოები; ფასადისა და შემონაკირწყლის სამუშაოები; ტერასისა და წყალმიმღები ღარის მოწყობის სამუშაოები; წყალსადენისა და საკონტროლო ჭის მოწყობის სამუშაოები".**

...როგორც ჩოხატაურის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ზაურ ოსეფაიშვილი ჩვენთან საუბარში განმარტავს, **"სოციალური ინვესტიციების ფონდმა გასული წლის ბოლოს ჩოხატაურის რაიონში ჩაატარა ანკეტური გამოკითხვა, რის შემდეგაც, თითოეულმა სოფელმა შეავსო ანკეტა იქ გათვალისწინებულ კრიტერიუმებზე პასუხის გაცემით. არჩეული იქნა 4 უღარიბესი სოფელი: ზემოსურები, ზოტი, ხიდისთავი ხევი. საუბარი იყო ზემოხეთზეც (ზემოხეთი მართლაც ერთ-ერთი უღარიბესი სოფელია ჩოხატაურში! (რედ. შენიშვნა). სოფლებმა პრიორიტეტად აირჩიეს სკოლების რემონტი. სარემონტო სამუშაოების დაფინანსება მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით ხორციელდება. სახელისუფლებო სტრუქტურები კი ტენდერის გამოცხადებასა და ფირმების შერჩევაში მონაწილეობას არ იღებენ. დამთავრებულ სამუშაოს სოციალური ინვესტიციების ფონდი და სათემო კავშირის წარმომადგენელი იბარებენ. სოფლებში შექმნილია მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც ასევე, მუდმივად ამოწმებენ და პასუხს აგებენ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე".**

**(გაზეთი "გურია ნიუსი" N66, 25.08.2005)**

### სსიფ-ის ინვესტიციით მატნის სკოლაც გარემონტდება

**..."ბუნებრივია კმაყოფილებას ვერ ვმალავთ, რადგან 89 ათასი ლარის ინვესტიცია არა თუ ძნელად მოსაპოვებელი, არამედ დღევანდელ პირობებში მოუპოვებელიც კია, სკოლა კი კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს. ჩემი ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში შენობა თუნუქის ფურცლით გადაიხურება, გამოიცვლება და შეიმინება დაზიანებული კარ-ფანჯრები, განახლდება იატაკი და შეიღებება შენობის ფასადი. წეღანაც აღვნიშნე, რომ თუ გავითვალისწინებთ სოფლის საკრებულოს ბიუჯეტს, რომელიც თვეში დაახლოებით 1200 ლარია, დაბეჯითებით შეგვიძლია თქმა, რომ არა საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი, სკოლაში ამხელა სამუშაოების ჩატარება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო"**, - აღნიშნავს სოფელ მატნის საკრებულოს თავმჯდომარე ზურა ჯანიბეგაშვილი.

...სსიფ-ის ამ ინვესტიციით გამოწვეულ სიხარულს "იმედის" ჟურნალისტთან ვერც სკოლის დირექტორი ლიანა ტერტერაშვილი მალავს. **"ვერ აგიწერთ, სკოლის პედაგოგები სსიფ-ის ამ პროექტით როგორი გახარებულები ვართ. ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. სკოლაში უკვე შემოიტანეს სამშენებლო მასალები. ამ ფაქტით ბავშვებიც კი იმდენად კმაყოფილნი არიან, რომ სურთ თავად მიიღონ მონაწილეობა სამუშაოებში. ჩვენს სკოლაში 480 ბავშვი სწავლობს. მოსწავლეთა მშობლებისა და სკოლის პედკოლექტივის სახელით, მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის ხელმძღვანელობას ხალხის სამსახურში დგომისათვის"**, - ამბობს სკოლის დირექტორი ლიანა ტერტერაშვილი...

**სულ ახმეტის რაიონში საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის მიერ 5 პროექტი ხორციელდება: სოფლებში - ქვემო ალვანში სკოლის რემონტი, ხალაწანში წყალსადენის რეკონსტრუქცია, მატანში სკოლის რემონტი, დუისში სკოლის რემონტი და ქალაქ ახმეტაში წყალსადენის რეკონსტრუქცია...**

**(გაზეთი "იმედი" N48, 26.10.2005)**

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი, ახორციელებს რა სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტს, ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის და მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი წესებით, რაც სხვა მრავალ პროცედურასთან ერთად ობიექტის რეაბილიტაციის პერიოდში და მის შემდგომ (გარკვეული პერიოდის განმავლობაში) პროცესის სრულ მონიტორინგს გულისხმობს, როგორც საკუთარი ძალებით, ისე ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობასთან თანამშრომლობის გზით, რაც თავისთავად აისახება განხორციელებული პროექტების მიმდინარეობის სრულ გამჭვირვალობასა და საბოლოო ხარისხზე.**

**P.S. სსიფ მადლობას უხდის ცენტრალურ და რეგიონულ პრესას სახელმწიფოებრივი პოზიციისა და ფონდის მიერ წარმოებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ობიექტურად გაშუქებისთვის.**

*თამარ თვალიაშვილი*

## მოკლედ

### კონფლიქტის ზონასთან ახლოს კონტრაბანდული სიგარეტი და სუბოტექსი აღმოაჩინეს

ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ფინანსურმა პოლიციამ 100 ყუთი კონტრაბანდული სიგარეტი და სუბოტექსი აღმოაჩინა. სამართალდამცველებმა სპეცოპერაცია გორის რაიონის სოფელ ნადარბაზევში ჩაატარეს. როგორც ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოს ნაწილის უფროსი ზურაბ არსოშვილი აცხადებს, ამ ფაქტთან დაკავშირებით, ოთხი პიროვნება დააკავეს, მათ შორის სოფელ ნადარბაზევის მცხოვრები ვაჟა პაპიაშვილი, რომლის ბინაშიც კონტრაბანდული სიგარეტი და ნარკოტიკები აღმოაჩინეს.

**"სოფელ ნადარბაზევიდან არის უმოკლესი გზა ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიამდე. როგორც ჩანს, კონტრაბანდა ამ რეგიონიდან სოფელ ნადარბაზევში ხვდებოდა, შემდეგ კი სარეალიზაციოდ თბილისში იგზავნებოდა"**, - აცხადებს ზურაბ არსოშვილი. მისივე განმარტებით, ბოლო ერთი წლის მანძილზე გორის რაიონში ამ გზით კონტრაბანდის და ნარკოტიკის შემოტანის ფაქტი არ დაფიქსირებულა. **მედიანიუსი**

### ინვალიდთა უფლებებს სახალხო დამცველის აპარატის სპეციალური წარმომადგენელი დაიცავს

მომავალი წლიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ახალი სპეციალური წარმომადგენელი ეყოლება, რომელიც ინვალიდთა პრობლემებზე იმუშავებს.

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი საზოგადოებრივ საქმიანობაში შეზღუდული შესაძლებლობის პირთა ჩართვის აუცილებლობად მიიჩნევს და აცხადებს, რომ მისი აპარატი ინვალიდთა უფლებების დასაცავად მომავალი წლიდან კიდევ უფრო მეტად გააქტიურდება.

ამ კონტექსტში სოზარ სუბარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქალაქის ინფრასტრუქტურაში ჯერ კიდევ არ განხორციელებულა ინვალიდთა ინტეგრაციისთვის საჭირო ისეთი ცვლილებები, როგორიცაა ხმოვანი შუქნიშნები უსინათლოთათვის, გამარტივებული ასასვლელები ეტლიანი ინვალიდებისათვის ავტობუსებსა და სხვა საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ასევე არ შემუშავებულა ინვალიდთა დასაქმების სახელმწიფო პროგრამა.

ინვალიდთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დაარსდა "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კავშირი - ფედერაცია", რომელშიც ინვალიდთა ოთხი ორგანიზაცია გაერთიანდა. **ინტერპრესნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ქრთამის აღების ფაქტზე დაცვის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს ოცმეთაური, პოლიციის ლეიტენანტი რამაზ მუხიგულაშვილი დააკავა. რამაზ მუხიგულაშვილმა დაცვის პოლიციის დეპარტამენტში დასაქმების პირობით მოქალაქეს ქრთამის სახით 600 აშშ დოლარი გამოსძალა. ამჟამად მიმდინარეობს სათანადო ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებები მუხიგულაშვილის შესაძლო თანამზრახველების დადგენისა და დაკავების მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით. გამოძიებას ქალაქ თბილისის პროკურატურა აწარმოებს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" საქველმოქმედო აქცია მსჯავრდებულ მოზარდთა და ქალთა ნამუშევრების საშობაო გამოფენა-გაყიდვა გაიმართება. აქციის ორგანიზატორები არიან წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი "ემპათია", იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის თბილისის არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულება და თბილისის ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დაწესებულება. საშობაო საქველმოქმედო აქცია ასევე სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტის" ადმინისტრაციის მხარდაჭერით ხორციელდება. ორგანიზატორთა განცხადებით, გამოფენა-გაყიდვა ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. შემოსული თანხები ნამუშევართა ავტორებს - მსჯავრდებულ მოზარდებსა და მანდილოსნებს გადაეცემათ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს გარდაბნის რაიონის სოფელ ნაზარლოში მცხოვრები, 24 წლის მუსტაფა ახმედოვი. მუსტაფა ახმედოვი სამართალდამცავებმა იმ დროს დააკავეს, როდესაც ის ავტომანქანა "ფოლქსვაგენის" მოპარვას ცდილობდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში მცხოვრები, 38 წლის ალექსანდრე ბაბლოშვილი, რომელიც ავტომანქანას არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა. ბაბლოშვილი არ დაემორჩილა საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მოთხოვნას, გაეჩერებინა ავტომანქანა და შეეცადა მიმალვას, შეეჯახა ელექტრობოძს, რის შემდეგაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და დანის მუქარით გაუწია წინააღმდეგობა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# დააკავეს ყაჩაღობაში ექვმიტანილი ძმები

გუშინ თბილისი-მარნეულის გზატკეცილის თელეთის მონაკვეთზე, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ყაჩაღობაში ექვმიტანილი სამი ძმა – ზაზა, შამილ და დათო გუჯეჯიანები დააკავეს.

გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ დილით პოლიცია გუჯეჯიანების სახლში ერთ-ერთი ძმის - პოლიციის განცხადებით, ყაჩაღობისთვის ძებნილის - დასაკავებლად მივიდა. დაკავების ოპერაციის მიმდინარეობისას, სახლში მოულოდნელად ორი ძმა დაბრუნდა. მათ ცეცხლსასროლი იარაღი წაართვეს სამართალდამცველებს, ატეხეს სროლა და გაიქცნენ.

გაქცეულმა გუჯეჯიანებმა N4 მაცივრის მიმდებარე ტერიტორიიდან "ფორდ ტრანზიტის" მარკის მიკროავტობუსის გატაცება სცადეს. წინააღმდეგობის გაწევის დროს ფეხში დაჭრეს მიკროავტობუსის მძღოლი მერაბ ლოხიშვილი. ამავე ინციდენტის დროს დაიჭრა მაცივრის ობიექტის დაცვის წევრი მამუკა თორიაშვილი. ძმებმა მიმალვა მოახერხეს, თუმცა საპატრულო პოლიციამ დევნის ოპერაცია ჩაატარა და სამართალდამცველებმა თელეთის გზის მონაკვეთზე სამივე ძმის დაკავება შეძლეს. ზაზა, შამილ და დათო გუჯეჯიანები უკვე წინასწარი დაკავების საკნებში არიან გადაყვანილი. რაც შეეხება ინციდენტის დროს დაჭრილებს, ისინი რუსთავის საავადმყოფოში მოათავსეს. ექიმების განცხადებით, მამუკა თორიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.



დევნისა და დაკავების ოპერაციის შემდეგ, ქვემო ფონიჭალის დასახლებაში, გუჯეჯიანების საცხოვრებელ სახლში ჩხრეკა დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა.

მომხდართან დაკავშირებით, სამართალდამცავებს გუშინ ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებიათ.

*24 საათი*

# რესტორნების დალუქვას კახეთშიც ელიან

*ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველომ რეგიონში მოქმედი რესტორნები, ფუნთუშეულის საცხობი ობიექტები და სუპერმარკეტები დალუქა. ამ უწყების ხელმძღვანელების განცხადებით, სავაჭრო და საცხობი დაწესებულებების მეპატრონეები ბიუჯეტს გადასახადებს უმალავდნენ და რეალურ ბრუნვას ბუღალტრულ საბუთებში არ ასახავდნენ. საპირისპიროს ამბობენ მაღაზიების და რესტორნების მფლობელები.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

ფინანსურმა პოლიციამ კახეთში მოქმედი სავაჭრო ობიექტებისა და სხვადასხვა დაწესებულებების შემოწმება ჯერ კიდევ ერთი თვის წინ დაიწყო, რასაც მცირე ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან სხვადსახვაგვარი რეაქცია მოჰყვა. ფინანსური პოლიცია მათ დიდ ნაწილს საქონლის შეძენის დამადასტურებელი ანგარიშფაქტურების უქონლობას ედავებოდა. მაღაზიების მფლობელები კი აცხადებდნენ, რომ საქონელს ბაზრობებზე იძენდნენ, სადაც დოკუმენტს, რომელსაც ეს უწყება ითხოვდა, დღემდე არ იძლევიან. მათივე თქმით, ფინანსურ პოლიციასთან ურთიერთობაში ხშირად ექმნებათ ხოლმე პრობლემები საგადასახადო კოდექსში არსებული გაუგებრობების გამო, რის შემდეგაც მათ ჯარიმის სახით გარკვეული თანხის გადახდა უწევთ.

ამჯერად კი ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველომ, დედაქალაქელი კოლეგების მსგავსად, მასიურად დაიწყო მსხვილი ობიექტების: რესტორნების, სუპერმარკეტებისა და საცხობების დალუქვა-შემოწმება. შემოწმებას განსაკუთრებული ხმაური გურჯაანის რაიონში მოჰყვა, როცა აგრარულ ბაზართან ახლოს მდებარე სუპერმარკეტში ფინანსური პოლიცია შევიდა და საბუღალტრო წიგნი მოითხოვა. მაღაზიის მეპატრონე ამბობს, რომ იგი ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ყოველთვის სინდისიერად ახდენს და გადასახადებს არ მალავს. ანალოგიურ განცხადებებს აკეთებენ იმ რესტორნების მეპატრონეები, სადაც ფინანსური პოლიცია, საგადასახადო სამსახურთან ერთად შემოწმებაზე შევიდა. თვით ფინანსურ პოლიციაში კი აცხადებენ, რომ რესტორნების და სავაჭრო ობიექტების მეპატრონეები ბიუჯეტს გადასახადებს უმალავენ და თანხების რეალურ ბრუნვას საბუღალტრო საბუთებში არ ასახავენ. ამის დასტურად მათ, შემოწმების შედეგად აღმოჩენილი ე.წ. "შავი ბუღალტერიის" მასალები მოჰყავთ. **"ჩვენი უწყება გარკვეული ინფორმაციის საფუძველზე შედის ამა თუ იმ ობიექტზე და საგადასახადო ინსპექციასთან ერთად აწარმოებს ბუღალტრული წიგნების შემოწმებას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვევები გამოვლინდა, ილუქება ობიექტი"**, - განმარტავს ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველოს უფროსი დავით გელაძე.

ამ ეტაპზე მოწმდება და სავარაუდოდ, დაილუქება კაჭრეთში მდებარე რესტორნები "თამარიონი" და "ბარჯისხევი", თელავში - რესტორნები "ლორდი" და "ამირანი", ხოლო ახმეტაში - რესტორანი "ახმეტა". შემოწმების დასრულებამდე რესტორნები კვლავინდებურად განაგრძობენ მუშაობას.

ამავდროულად კახეთის ფინანსური პოლიცია წნორსა და გურჯაანში მდებარე სუპერმარკეტებსაც ამოწმებს და გამოძიებას "საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევის" მუხლით აწარმოებს.

# ავჭალაში კუსტარული საწარმოები დალუქეს

თბილისში, ავჭალის დასახლებაში, ფინანსურმა პოლიციამ თემურ და ვეფხია დობაძიშვილების საცხოვრებელი სახლების ეზოებში მდებარე კუსტარული საწარმოები დალუქა.

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ანდრონიკაშვილის ქ. N1-ში, თემურ და ვეფხია დობაძიშვილების საცხოვრებელ სახლებში, არალეგალურად 50–მდე დასახელების სხვადასხვა ალკოჰოლურ სასმელს აწარმოებდნენ.

ფინანსურმა პოლიციამ დობაძიშვილების საცხოვრებელი სახლების ეზოებში მდებარე კუსტარული საწარმოებიდან ამოიღო დიდი რაოდენობით ყალბი აქციზური მარკები, უაქციზო სიგარეტი "პარლამენტი", ასევე უამრავი დასახელების ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელი. მათ შორის შამპანურები, ღვინოები "ხვანჭკარა", უკრაინული არაყი "ნემიროვი", შოტლანდიური ვისკები, ლიქიორები. პოლიციამ დობაძიშვილების ოჯახიდან ასევე ამოიღო უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ოპტიკური სამიზნით.

როგორც ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი ლევან მხეიძე აცხადებს, დობაძიშვილები თავიანთი საქმიანობით, როგორც ყალბი აქციზური მარკების, ასევე ფალსიფიცირებული სასმელის დამზადების მხრივ, დიდ ზიანს აყენებდნენ როგორც მოსახლეობას, ასევე იმ ბიზნესმენებს, რომლებიც კანონიერი გზით აწარმოებენ და რეალიზებას უკეთებენ სასმელს. მხეიძის თქმითვე, სახლის მეპატრონეებმა ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს ძაღლები მიუსიეს და სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი ჰაერში რამდენჯერმე გამაფრთხილებელი გასროლა.

**ინტერპრესნიუსი**

3 დეკემბერს მთელ მსოფლიოში აღინიშნება ინვალიდთა საერთაშორისო დღე

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის

# განცხადება

ICRC

## "ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით გამოწვეული ადამიანთა განსაცდელი და საერთაშორისო ძალისხმევა"

140 წლის წინ დაარსებული წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (წჯსკ), რომელიც მოწოდებულია დაიცვას ომის შედეგად დაზარალებული ადამიანების სიცოცხლე და ღირსება, თავისი მისიის ფარგლებში დახმარებას უწევს ნაღმებით დასახიჩრებულ ათი ათასობით ადამიანს და ასევე შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაჭრილ სხვა ადამიანებს, უზრუნველყოფს მათ მკურნალობასა და რეაბილიტაციას.

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით გამოწვეული ადამიანთა განსაცდელი მეტად მნიშვნელოვანია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის და წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობისათვის. ამიტომ წჯსკ უერთდება მათ, ვინც წამოწია ის პრობლემები რომლებიც ინვალიდებს აწუხებთ.

წჯსკ სამედიცინო პერსონალმა პირველმა დააფიქსირა ნაღმების დამღუპველი შედეგები, განსაკუთრებით სამოქალაქო პირებისათვის. კერძოდ, 80-იან წლებში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ექიმებმა აღნუსხეს მძიმე სამედიცინო, ადამიანური და სოციალური კრიზისი მსოფლიოს თითქმის ყველა იმ ქვეყანაში, სადაც გამოიყენებოდა ფეხოსანთსაწინააღმდეგო ნაღმები. მათ თვალწინ უსწრაფესად იმატა ნაღმებით გამოწვეული სიკვდილიანობის და უმძიმესად დაჭრის შემთხვევებმა, განსაკუთრებით სამოქალაქო პირებს შორის; და რაც ყველაზე შემაშფოთებელია, ეს ყოველივე ხდება კონფლიქტების დასრულებიდან მრავალი წლის გასვლის შემდეგ. საშუალოდ 24000 შემთხვევა წელიწადში (ესეც მიახლოებითი მონაცემია). ყოველივე ამას ჩვენმა ექიმებმა უწოდეს *დაჭრის, სიკვდილისა* და *განსაცდელის ეპიდემია*. შეუძლებელია ეპიდემიის შეჩერება მხოლოდ მისი მსხვერპლთათვის დახმარების გაწევის გზით, საჭიროა მისი გამომწვევი მიზეზების მოსპობა.

ამიტომ, 1994 წელს წჯსკ-მ საჯარო მოწოდება გააკეთა ამ იარაღის სრული აკრძალვის მოთხოვნით, შეუერთა რა საკუთარი ხმა ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიას. ქვეითსაწინაარმდეგო ნაღმების დამღუპველი შედეგების მიმართ საზოგადოების მზარდმა წინააღმდეგობამ მთავრობები მიიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ 1997 წელს ხელმოწერილ იქნა ოტავის ხელშეკრულება ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის შესახებ.

როგორც კონვენციის პრეამბულაშია ნათქვამი, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვა ეფუძნება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით განსაზღვრულ იარაღის შერჩევის ორ ფუნდამენტურ წესს:

- პირველი: შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა ნებისმიერ დროს უნდა განასხვაონ სამოქალაქო პირები კომბატანტებისაგან და დაიცვან სამოქალაქოები მათზე იერიშის მიტანისაგან. აქედან გამომდინარე, კომბატანტებმა არ უნდა გამოიყენონ ომის წარმოების ის იარაღები, რომლებსაც განურჩეველი ეფექტის მოხდენა შეუძლია, ანუ არ შეიძლება მათი გაკონტროლება იმგვარად, რომ მათი სამიზნე იყოს მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო ობიექტები.

- მეორე წესი კრძალავს იმგვარი იარაღის გამოყენებას, რომელიც იწვევს გადაჭარბებულ ზიანს; სხვა სიტყვებით, ისინი იმაზე მეტ ზიანს იწვევენ, ვიდრე ეს აუცილებელია მოწინააღმდეგის ჯარისკაცის მწყობრიდან გამოსაყვანად.

მთავარი მახასიათებელი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმისა არის ის, რომ მსხვერპლს თავად მოჰყავს იგი მოქმედებაში. მართლაც, სხვა იარაღებისაგან განსხვავებით, რომლებიც დამიზნებასა და გასროლაზეა დამოკიდებული, ნაღმები მანამდე რჩებიან მიწაში დაფლული ვიდრე ვინმე ფეხს არ დაადგამს - იქნება ეს ქალი, კაცი თუ ბავშვი. ნაღმი როგორც ასეთი, ვერ განასხვავებს ჯარისკაცს სამოქალაქო პირისაგან, როგორც ამას მოითხოვს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი.

ამას გარდა, ნაღმებით გამოწვეული განსაცდელი განსაკუთრებულად მძიმეა. ნაღმზე აფეთქებული ადამიანი კარგავს ერთ ან ორივე ქვედა კიდურს და უმძიმეს ჭრილობებს იღებს. სამხედრო ქირურგები ამგვარ ჭრილობებს ყველაზე მძიმედ სამკურნალო ჭრილობებად მიიჩნევენ. თუკი ადამიანი ნაღმზე აფეთქებას ცოცხალი გადაურჩა, მას ამპუტაცია დასჭირდება, რამდენიმე ქირურგიული ჩარევა, ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია და ფიზიკური რეაბილიტაცია; იგი დაინვალიდდება და დარჩენილი ცხოვრების მანძილზე დახმარებას საჭიროებს.

გარდა ამგვარი მაღალი საფასურისა - მსხვერპლთა და მათი ოჯახების სახით - ნაღმების სოციალური და ეკონომიკური საფასურიც მაღალია: მათი არსებობის გამო ვერ ხერხდება ესოდენ ღირებული მიწის ნაკვეთების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო თუ სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქმიანობისათვის, რაც აღატაკებს მოსახლეობას.

როგორც ამას ალბათ შემდეგი გამომსვლელიც მოგახსენებთ, სამხედრო მიზნებით ნაღმების ერთობ შეზღუდული შესაძლებლობები ვერ ამართლებს იმ ადამიანური მსხვერპლს, რასაც ისინი იწვევენ. ასეთია დასკვნა კვლევისა, რომელიც 1996 წელს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თხოვნით ჩაატარა მაღალჩინოსანი სამხედრო ექსპერტების საერთაშორისო ჯგუფმა. მათი დასკვნა ეფუძნება იმ 26 კონფლიქტის შედეგების შესწავლას, რომლის დროსაც გამოიყენებოდა ქვეითსაწინაარმდეგო ნაღმები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ როცა შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე მხარე უარს ამბობს ნაღმების გამოყენებაზე, ეს არ უნდა ჩაითვალოს მტრისათვის გაწეულ ანგარიშად, ეს უფრო საკუთარი მოსახლეობის დაცვისათვის გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია.

ოტავის კონვენციის მიღება იყო პირველი შემთხვევა, როცა სახელმწიფოები შეთანხმდნენ აეკრძალათ ესოდენ ფართედ გამოყენებადი იარაღის სახეობა. თუმცა ეს კონვენცია უფრო მეტია ვიდრე განიარაღების შესახებ შეთანხმება. გარდა იმისა, რომ იგი ავალდებულებს სახელმწიფოებს აკრძალონ და გაანადგურონ ეს იარაღი, იგი ასევე მოითხოვს რიგი ჰუმანიტარული ზომების გატარებას ნაღმების გამოყენების შედეგების შესამსუბუქებლად, მათ შორის მოსახლეობის გაცნობიერებას ნაღმების საფრთხის შესახებ, განაღმვითი ღონისძიებების ჩატარებას და ნაღმების მსხვერპლთა დახმარებასა და რეაბილიტაციას. კონვენცია ასევე ითვალისწინებს სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობასა და დახმარებას ამ ამოცანების შესრულებაში, რაც ორმხრივად ან საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობოების, წჯსკ-სა და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ეროვნული საზოგადოებების მეშვეობით ხორციელდება.

დღეისათვის, ოტავის კონვენცია ერთერთი ყველაზე ეფექტურად მოქმედი განიარაღებისა და ჰუმანიტარული შეთანხმების მაგალითია. მისი იმპლემენტაცია კი მთავრობათა, საერთაშორისო ორგანიზაციათა და სამოქალაქო საზოგადოების განსაკუთრებულად ნაყოფიერი თანამშრომლობის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. როგორც კონვენციის პირველ მიმოხილვით კონფერენციაზე შარშან ნაირობიში აღინიშნა, კონვენციის ძალაში შესვლიდან ექვსნახევარი წლის განმავლობაში, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. მხოლოდ ორ მაგალითს მოვიტან. ჯერ ერთი საგრძნობლად შემცირდა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების წარმოება და გამოყენება, ხოლო ამ იარაღით ვაჭრობა ფაქტიურად შეწყდა იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც ჯერ არ შეერთებიან ამ კონვენციას. ეს იმის დასტურია, რომ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები უკვე აღარ ითვლება ომის წარმოების მისაღებ იარაღად. მეორეც, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, წჯსკ მონაცემებით იმ ქვეყნებში, სადაც კონვენციის ნორმები სრულადაა ამოქმედებული, მკვეთრად შემცირდა ნაღმზე აფეთქებულ ადამიანთა რიცხვი: ზოგ შემთხვევაში, მაგალითად, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, კამბოჯასა და იემენში - ორი მესამედით და მეტადაც.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით გამოწვეული სიკვდილისა და დასახიჩრების ეპიდემია მეტნაკლებად შენელდა, მისი სრულად აღმოფხვრა ჯერ ვერ მოხერხდა. დღემდე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მრავალი ათასი ადამიანის სიცოცხლეს კვლავ ემუქრება მინდვრებში, საძოვრებზე, გზებზე და სათამაშო მოედნებზე ჩასაფრებული ნაღმები. ყოველწლიურად ათი ათასობით ადამიანი ხდება ნაღმების მსხვერპლი.

დღეისათვის 147 სახელმწიფო - მსოფლიოს ქვეყნების სამი მეოთხედი - კონვენციის მონაწილეა. მათ აღიარეს, რომ ამ არაადამიანური და განურჩეველი მოქმედების იარაღის სრული განადგურების მეშვეობით არის შესაძლებელი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით გამოწვეული ტანჯვის შეწყვეტა. აუცილებელია, ყველა სახელმწიფომ ივალდებულოს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების განადგურება, ოტავის კონვენციასთან შეერთების გზით. ჩვენ გულწრფელად გვწამს, რომ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი მალე გახდებიან ამ მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული ხელშეკრულების მონაწილენი. ამით მომავალი თაობები გადაურჩებიან ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით მიყენებულ ენით აღუწერელ ტანჯვას და მათ სიცოცხლეს აღარ დაემუქრება ჩასაფრებული საფრთხე.

წჯსკ ახორციელებს სხვადასხვა საქმიანობას: ეს არის გადაუდებელ სიტუაციაში მოქმედი პირველადი დახმარების სამსახურების მომზადებისა და მატერიალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, სამედიცინო და ქირურგიული დახმარება საავადმყოფოებისათვის, ასევე სისხლის გადასხმის პროგრამების მხარდაჭერა და კადრების მომზადება სამხედრო-საველე ქირურგიაში, მათ შორის კავკასიის რეგიონშიც.

1994 წელს თბილისსა და გაგრაში ამოქმედდა ორთოპედიული ცენტრები, რომელთა მთავარი მიზანი იყო დახმარება აღმოეჩინა 1992-94 წწ. ომში დაჭრილთათვის. ბევრი მათგანი სწორედ ნაღმებისა და სხვა ასაფეთქებელი ნარჩენების მსხვერპლი შეიქნა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ამ ორ ცენტრში 4000-ზე მეტ ადამიანს აღმოუჩინეს დახმარება. ამჟამად თბილისის ცენტრი ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციად გადაკეთდა სახელწოდებით "საპროტეზო ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართული ფონდი". ფონდის მიზანია საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს, ვისაც გარკვეული ფიზიკური შეზღუდვები გააჩნია, ხელი მიუწვდებოდეს სათანადო ხარისხიან და გრძელვადიან ფიზიკურ რეაბილიტაციაზე ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

წჯსკ-ს შეშფოთებულია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით გამოწვეული ადამიანთა განსაცდელის გამო. ამიტომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი კიდევ ერთხელ იმეორებს თავის პოზიციას ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის შესახებ. ამასთანავე, ჩვენ კვლავაც დავეხმარებით იმ ადამიანებს, რომელთაც ემუქრება ამ განურჩევლად მოქმედი იარაღის საფრთხე ან უკვე გახდნენ მისი მსხვერპლი, ისევე როგორც აქ, კავკასიაში, ასევე მთელს მსოფლიოში.

# ყაზახეთის უალტერნატივო არჩევანი

პირველი გვერდიდან

მართალია, ფართობის მიხედვით მსოფლიოში მეცხრე ადგილზე მყოფმა ყაზახეთმა მოახერხა მილიარდობით დოლარის ამერიკული, ევროპული და ჩინური ინვესტიციების მიღება, რაც თითქოს ამ ქვეყნის წარმატების ინდიკატორი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დღემდე ყაზახეთში ჩატარებულ არც ერთ არჩევნებს არ დაუმსახურებია "თავისუფალი" ან "სამართლიანი" არჩევნების სტატუსი. ქვეყნის პოლიტიკურ რეჟიმზე ისიც კარგად მეტყველებს, რომ მას უკვე 16 წელია ერთი ადამიანი მართავს (მათ შორის 14 წელი დამოუკიდებელი ყაზახეთის პრეზიდენტის სტატუსით).

ახლაც საკმაოდ უსუსური ოპოზიცია წინასწარ ამხელდა ხელისუფლებას არჩევნების გაყალბების მცდელობაში. მაგრამ რა შედეგს გამოიღებს მათი აქტიურობა, სულ სხვა ფაქტორებზე იქნება დამოკიდებული და არა საარჩევნო ბიულეტენების "ჩაყრის" მასშტაბებზე.

გარეგნულად თითქოს დემოკრატიული არჩევნების ყველა ნიშანი არსებობს. ნურსულთან ნაზარბაევს ქვეყნის მმართველის საპატიო და, უდავოდ, საპასუხისმგებლო თანამდებობის დაკავებას კიდევ ოთხი კანდიდატი ეცილება. მაგრამ აშკარაა, ეკოლოგიური კავშირის მიერ წარდგენილი მელს ელეუსიზოვი, ან ოპოზიციური "აკ ჟოლის" (ნათელი გზა) მიერ დასახელებული ალიხან ბაიმენოვი, ანდაც კომუნისტური სახალხო პარტიის რჩეული ერასილ აბილკასიმოვი – თანაბარი კონკურენციის რაიმე თვალსაჩინო ეფექტს ვერ შექმნის.


ნაზარბაევი ისევ პრეზიდენტია.

ნაზარბაევის გაპრეზიდენტებას წინააღმდეგობას ვერ გაუწევს ყველაზე შესამჩნევი კანდიდატი ჟურმუხან ტუიაკბაიც, მით უმეტეს, რომ მის არჩევას, არა მარტო ოპოზიციური "სამართლიანი ყაზახეთისთვის", არამედ ყაზახეთის კომუნისტური პარტიაც ისწრაფვის.

დღეს რაც არ უნდა ბევრი ილაპარაკოს ოპოზიციამ მასობრივ გაყალბებაზე, ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე (სხვათა შორის ყაზახეთის მსგავს ქვეყნებში ეს მოვლენა სულაც არ არის ვინმესთვის მოულოდნელი და საარჩევნო ბრძოლის ერთ-ერთ ხერხადაც განიხილება) ან ოპოზიციური კანდიდატებისთვის არათანაბარი პირობების შექმნაზე, ფაქტი ერთია – სამართლიანი ხმის მიცემის შემთხვევაშიც კი, ძნელად თუ შეძლებდა ვინმე ნაზარბაევის დამარცხებას.

სააგენტო "როიტერსს" მოჰყავს ერთი ამომრჩევლის სიტყვები: "წელს არჩევნები უპრეცედენტოდ დემოკრატიული იყო". ალბათ, სწორედ ამას მოითხოვენ ყაზახეთის დასავლელი პარტნიორებიც – მთავარია, არავინ შეიტანოს ეჭვი პროცესის დემოკრატიულობაში და ენერგომატარებლებიც შეუფერხებლად მიედინებოდეს მსოფლიო ბაზარზე. ხოლო "პარტნიორი" პრეზიდენტი რამდენ ხანს დარჩება ქვეყნის სათავეში, შესაძლოა, გადამწყვეტი არც აღმოჩნდეს...

## აზერბაიჯანის არჩევნები და ჯორჯ ბუშის ორმაგი სტანდარტები

აზერბაიჯანის საპარლამენტო არჩევნებზე ევროპის საბჭოს დამკვირვებელთა დელეგაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს დემოკრატიასთან მიმართებაში ორმაგი სტანდარტები აქვს.

ბაქოში გამართულ პრესკონფერენციაზე ლეო პლატვოიტი ორ მოვლენას – 26 ნოემბერს ოპოზიციის მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევას და ვაშინგტონის მიერ აზერბაიჯანის ახალი პარლამენტისათვის გაგზავნილ მისალმებას გამოეხმაურა.

აშშ-ს ადმინისტრაცია მიესალმება ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას 125-დან 10 საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების გაუქმების შესახებ. მისალმებაში ნათქვამია, რომ ვაშინგტონს აზერბაიჯანის მილი მეჯლისში როგორც მმართველ პარტიასთან, ისე ოპოზიციასთან თანამშრომლობის იმედი აქვს.

ევროპის საბჭოს დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ოპოზიციასთან თანამშრომლობა საკმაოდ რთული იქნება, ვინაიდან ის პარლამენტში წარმოდგენილი არ არის. ოპოზიციური ბლოკის "თავისუფლების" წევრებმა მათ მიერ ოფიციალურად მოპოვებულ 6 სადეპუტატო მანდატზე უარი იმ მოტივით თქვეს, რომ არჩევნები მთლიანად გაყალბებული იყო.

ევროსაბჭომ აზერბაიჯანის მთავრობა გააკრიტიკა და განაცხადა, რომ ხელისუფლებამ არჩევნების შედეგები გააუქმა არა იქ, სადაც გაყალბება ყველაზე აშკარა იყო, არამედ იქ, სადაც ოპოზიციამ ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

როგორც ევროპის საბჭოს დამკვირვებლებმა განაცხადეს, ყველაფერი ეს პრობლემატურს ხდის აზერბაიჯანის საპარლამენტო დელეგაციისთვის ევროპის საბჭოში აკრედიტაციის მიცემას.

ბუნებრივია, იმედგაცრუებულია ოპოზიციაც. არჩევნებამდე მისი ლიდერები აშშ-ს მოუწოდებდნენ, წინა პლანზე დემოკრატია დაეყენებინა და არა აზერბაიჯანის ნავთობინდუსტრიაში ამერიკული კომპანიების მრავალმილიარდიანი კონტრაქტები. ახლა ბევრი ოპოზიციონერი აცხადებს, რომ რეგიონში დემოკრატიის გავრცელების აუცილებლობის შესახებ ჯორჯ ბუშის განცხადებების არ სჯერა.

*ინტერპრესნიუსი*

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

## პროკრედიტ ბანკის შეტყობინება ობლიგაციების შეძენაზე საჯარო ხელმოწერის გამოცხადების თაობაზე

სს "პროკრედიტ ბანკი" ობლიგაციების განთავსების მიზნით აცხადებს დამატებით საჯარო ხელმოწერას 2005 წლის 30 ნოემბრის დილის 9 საათიდან 2005 წლის 7 დეკემბრის 5 საათამდე.

გაიყიდება ერთი მილიონ ექვსასოცდახუთი ათასი ლარის ნომინალური ღირებულების ობლიგაციები საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრით GE 2800503072.

გასაყიდად გამოტანილი ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა 1,000 (ერთი ათასი) ლარი. შემოსავლიანობა შეადგენს წლიურ 14%-ს, ობლიგაციები გაიყიდება სანაზღაურო(?) ფასით - 886.44 (რვაას ოთხმოცდაექვსი ლარი და 44 თეთრი) თითოეული ობლიგაციისათვის.

ობლიგაციების ნომინალური ღირებულების დაფარვა განხორციელდება 2006 წლის 6 ნოემბერს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ პროკრედიტ ბანკს არაუგვიანეს 2005 წლის 7 დეკემბრის 5 საათისა. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება პროკრედიტ ბანკში, აღმაშენებლის 154, ტელ.: 20 22 22 (2230); 20 22 22 (2060)

განთავსების შედეგები ობლიგაციების მყიდველებს ეცნობებათ ხელმოწერის პერიოდის დასრულებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

## ირანი აშშ-სთან მოლაპარაკებას არ აპირებს

კვირას გაკეთებული განცხადების თანახმად, ირანი არ არის დაინტერესებული აშშ-სთან მოლაპარაკებების გამართვით ერაყის, ან მით უმეტეს ირანის ბირთვულ საკითხებთან დაკავშირებით.

გასულ თვეში აშშ-ს ელჩმა ირანში ზალმაი ჰალილზადემ განაცხადა, რომ პრეზიდენტმა ბუშმა მას ერაყის თემაზე ირანთან დიალოგის დაწყების უფლებამოსილება მიანიჭა.

პარალელურად, ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელმა მუჰამედ ალ-ბარადეიმაც ცოტა ხნის წინ გამოთქვა ვარაუდი, რომ ვაშინგტონი პირდაპირ მოლაპარაკებებს დაიწყებს თეირანთან ბირთვულ თემაზე.

მიუხედავად ამისა, კვირას ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა ჰამიდ რეზა ასეფიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აშშ-სთან მოლაპარაკებები "დღის წესრიგში არ დგას". **"ერაყის უსაფრთხოების საკითხები – საშინაო საქმეა, რომელიც მხოლოდ ერაყელებს ეხებათ,"** - განაცხადა მან ყოველკვირეულ ბრიფინგზე. თუმცა, იქვე ისიც დასძინა, რომ ირანს აშშ-ს მხრიდან არანაირი ოფიციალური მიწვევა არ მიუღია მოლაპარაკებების მაგიდასთან.

რაც შეეხება აშშ-ს მონაწილეობას ირანის ბირთვულ პროგრამაზე მიმდინარე მოლაპარაკებებში, ასეფის თქმით, ირანის ვერ დაეთანხმება მაგატე-ს ხელმძღვანელის პოზიციას. "ამგვარ მოლაპარაკებებში ვერანაირ აუცილებლობას ვერ ვხედავ, რადგანაც მიგვაჩნია, რომ სწორედ აშშ-ს ჩარევა იყო საკითხის გართულების ერთ-ერთი მიზეზი," - ამბობს ასეფი.

*როიტერსი*

**ჰოლანდიის სამეფოს საელჩო მოხარულია გაცნობოთ, რომ იგი გადავიდა თავის ახალ ოფისში, რომელიც მდებარეობს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" უკანა მხარეს (ყოფილი ბრიტანეთის სალეჩო).**

**საელჩო განაახლებს მუშაობას 2005 წლის 5 დეკემბერს.**

საკონსულო განყოფილება ღიაა ორშაბათიდან ხუთშაბათამდე 9:30-დან 13:00 საათამდე.

**ტელეფონისა და ფაქსის ახალი ნომრები:**

| | |
|---|---|
| **საელჩოს ტელეფონი** | 27 62 00 |
| **საელჩოს ფაქსი** | 27 62 32 |
| **საკონსულო განყოფილების ტელეფონი** | 27 62 22 |
| **საკონსულო განყოფილების ფაქსი** | 27 62 33 |

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი........................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი........................................

საკონტაქტო ტელეფონი........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოტიპიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები, ქსეროასლები არ განიხილება).

**ყუთები განთავსებულია [illegible]:**

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 46 "[illegible]" შენობის [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.72. იურიდიული ოფისი "გაპი".

OSCE

**ეუთოს მისია საქართველოში აცხადებს ტენდერს სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე გორში, თელავში, ჭიათურასა და თბილისში**

ტენდერი ითვალისწინებს სამშენებლო, წყალმომარაგების, საკანალიზაციო, სავენტილაციო, გათბობა/კონდიცირებისა და ელექტო სისტემების სარემონტო სამუშაოების განხორციელებას აღნიშნულ რეგიონებში ევროპული სტანდარტებისა და ნორმების (ISO სტანდარტები, DIN ნორმები) შესაბამისად.

ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს უნდა გააჩნდეთ სათანადო სახელმწიფო ლიცენზიები და დოკუმენტაცია.

დაინტერსებულმა კომპანიებმა უნდა მოითხოვონ სატენდერო მასალები შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

1. განაცხადი მონაწილეობის შესახებ (დაინტერესების წერილი). 2. კომპანიის მოკლე აღწერილობა.

3. აღნიშნულ განცხადებაში მითითებულ სფეროებში შესრულებული სამუშაოების მოკლე აღწერილობა. 4. აღნიშნული სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო სახელმწიფო ლიცენზიის ასლი.

წინამდებარე ინფორმაცია ინგლისურ ენაზე უნდა გაიგზავნოს მისამართზე, Adolf.Turek@osce.org

გთხოვთ, მიუთითოთ რეგიონი და სამუშაოს სფერო გრაფაში: თემა (subject)!

**ინფორმაციის მიღების ბოლო ვადა: 2005 წლის 12 დეკემბერი, 13.00.**

www.liberty.ge

# თავისუფლება

N13

5 დეკემბერი, ორშაბათი

თავისუფლების ინსტიტუტის საგაზეთო დანართი

ნინო ცინცაძე

## რას ფიქრობენ ლექტორები, სტუდენტები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები უმაღლეს სასწავლებლებში არსებული მდგომარეობის შესახებ

ნლევანდელ გაზაფხულზე სოციოლოგიური კვლევის ჯგუფმა BCG ჩაატარა კვლევა პროექტის „სახელმწიფო უნივერსიტეტი კორუფციის გარეშე" ფარგლებში, რომელსაც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს თავისუფლების ინსტიტუტი. კვლევა მიზნად ისახავდა უმაღლესი სასწავლებლების მართვის სფეროში არსებული სირთულეების გამოვლენას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის და თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან, პროფესორ-მასწავლებლებსა და უმაღლესი სასწავლებლების მენეჯმენტის წარმომადგენლებთან ჩატარდა როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევა. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც. შემცირებული სახით გთავაზობთ ამ კვლევების ძირითად შედეგებს.

### დამოკიდებულება განათლების რეფორმისადმი

რაოდენობრივი კვლევა ცხადყოფს, რომ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, ლექტორების და მენეჯმენტის წარმომადგენლების უმეტესი ნაწილი რეფორმის იდეას ზოგადად მხარს უჭერს, თუმცა არ ეთანხმება მის კონკრეტულ გამოვლინებებს. პროფესორ მასწავლებელთა და მენეჯმენტის წარმომადგენელთა 44,0% რეფორმის მიმდინარეობას ძირითადად მხარს უჭერს; 37,1 პროცენტი თვლის, რომ რეფორმის გატარება საჭიროა, მაგრამ არა ამ სახით; რეფორმის მიმდინარეობას მთლიანად მხარს უჭერს გამოკითხულთა 17,3%, ხოლო 1,6 პროცენტი რეფორმის გატარებას საჭიროდ არ თვლის. თითქმის იგივე პროცენტული მაჩვენებლით პასუხობენ ამ შეკითხვებს სტუდენტებიც.

თუმცა ფოკუსურმა კვლევამ აჩვენა, რომ რეფორმაზე საუბრისას უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლების, განსაკუთრებით პროფესორ-მასწავლებლების საერთო მდგომარეობა გაურკვევლობაა. მათ არ იციან, რას შეიძლება მოელოდნენ რეფორმისგან. ყველა თანხმდება იმაზე, რომ უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმა აუცილებელია, მაგრამ ბევრ მათგანს არ მოსწონს რეფორმის ტემპი და მცდელობა უცხოური მოდელი ადგილობრივ გამოცდილებას ყოველგვარი ადაპტაციის გარეშე მოერგოს. გაურკვევლობა თანაბრად ეხება უმაღლესი სასწავლებლების მართვას, ფინანსებს, სწავლების ფორმებს, ხარისხს.

**უმაღლესი განათლების რეფორმასთან დაკავშირებით რესპონდენტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ შემდეგი მიზეზების გამო:**

- ხდება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის ავტომატური კალკირება და უხეშად მორგება ქართულ რეალობაზე.
- რეფორმა არ არის კარგად უზრუნველყოფილი ფინანსურად. ფინანსების მოძიება ბუნებრივად წინ უნდა უსწრებდეს რეფორმირების პროცესს და არა პირიქით.
- მიუღებელია კათედრების გაერთიანება. თითოეული კათედრა დამოუკიდებელი სკოლაა და კათედრებთან ბრძოლა სკოლებთან ბრძოლას ნიშნავს.
- უმაღლესი განათლების შესახებ კანონში არის ერთგვარი ვაკუუმი – იგი არ არეგულირებს გარდამავალ პერიოდს. სწორედ ამის შედეგია უმაღლეს სასწავლებლებში ამჟამად არსებული სიძნელეები;
- განათლების სამინისტრო შეგნებულად ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. რეფორმა არაპროფესიონალიზმსა და სიცრუეზეა აგებული.
- პროფესორ-მასწავლებლების აზრი საერთოდ უგულებელყვეს. რესპონდენტების აზრით, მათი აზრის გამოკითხვა დაგვიანებულია, რადგან უმაღლესი განათლების შესახებ კანონი უკვე მიღებულია.

**უმაღლესი განათლების რეფორმასთან დაკავშირებით რესპონდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ შემდეგი მიზეზების გამო:**

- წელს თითოეული უმაღლესი სასწავლებელი აღმოჩნდება საბაზრო პირობებში, რაც მას აიძულებს შექმნას სხვაზე მიმზიდველი სწავლებისა და მართვის სისტემა, რათა აბიტურიენტების მეტი რაოდენობა დააინტერესოს;
- ფაკულტეტების მიერ მისაღები სტუდენტების რაოდენობის წინასწარ განისაზღვრება. ეს დადებითი ფაქტორია შემდეგი მიზეზის გამო: უნივერსიტეტში სწავლების არც თუ მაღალი დონე ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ უნივერსიტეტს არ ჰყოფნის ინტელექტუალური და ფინანსური რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იმდენი სტუდენტის მაღალი კვალიფიკაციის უზრუნველსაყოფად, რამდენსაც იღებდა გასული წლების მანძილზე. ოპტიმალური რაოდენობის სტუდენტების მიღება გაზრდის სწავლების ხარისხსაც.
- ფაკულტეტების რაციონალური გამსხვილება მომგებიანი იქნება ადამიანური და ფინანსური რესურსების დაზოგვის თვალსაზრისით. მაგალითად, ერთი და იგივე საგანი ერთდროულად იკითხება რამოდენიმე ფაკულტეტზე მაშინ, როდესაც უფრო ოპტიმალური იქნება, თუ შედგება ერთი კურსი, რომელსაც დაესწრება მისი მოსმენის მსურველი ყველა სტუდენტი სხვადასხვა ფაკულტეტიდან.
- სტუდენტი თავად გადაწყვეტს, რა საგნები აირჩიოს და ჩააბაროს, აღარ იარსებებს კურსის ცნება, მოისპობა კურსზე დატოვების და დამატებითი გამოცდების მანკიერი პრაქტიკა. შესაბამისად, უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტი არ იქნება გარანტირებული, რომ აუცილებლად დაამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს.
- ნებისმიერ სტუდენტს და პედაგოგს ინიციატივის გამოვლენის მეტი საშუალება ეძლევა. სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობას მიიღებენ ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში (სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სასწავლო პროგრამების შემუშავება, ბიუჯეტის დაგეგმვა და ა.შ).

### სწავლების დაბალი ხარისხი

პროფესორ-მასწავლებლების არადამაკმაყოფილებელ კვალიფიკაციაზე ყველაზე ხშირად ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტები საუბრობენ. მათი აზრით, ლექტორების ნაწილი მათთან ერთად კითხულობს და სწავლობს საგანს. თბილისის და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები არ არიან ასეთი კატეგორიულები, თუმცა კადრების არადამაკმაყოფილებელ კვალიფიკაციაზე ისინიც საუბრობენ. მიუთითებენ, რომ ბევრი ლექტორი ცდილობს კარიერის დასრულებამდე ასწავლოს ის, რაც ერთხელ თვითონ ისწავლა. მათი მეთოდები და ცოდნა ხშირად მოძველებულია, რაც სტუდენტების საგნისადმი ინტერესს უქვეითებს.

სწავლების დაბალ ხარისხზე საუბრისას რესპონდენტები მაინც უხერხულობას განიცდიან. იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმე არაკვალიფიციური ლექტორის დათხოვნას ეხება, ხშირად წინ ადამიანური თანაგრძნობა გამოდის, რადგან: საშუალოდ დათხოვნილი ადამიანის სხვა სამუშაოს პოვნა ძნელია, არ არსებობს დასაქმების ალტერნატივა; ხანდაზმული ადამიანების სამსახურიდან დათხოვნა ნიშნავს მათ განწირვას 28-ლარიანი პენსიისათვის.

სტუდენტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სწავლების პროგრამებთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, ამის მიზეზია საგნების არაადეკვატური საათობრივი განაწილება სასწავლო გეგმაში, მეორე მხრივ კი, ზედმეტი არაპროფესიული საგნები. არაპროფესიული საგნების სწავლების პრაქტიკა განსაკუთრებით მძიმე კურსებზე აპრობირებს. ბევრი პროფესორ-მასწავლებელი ეთანხმება სტუდენტებს და მიიჩნევს, რომ სასწავლო პროგრამები არასრულყოფილია და საგნების შემცირება სტუდენტს მეტ დროს დაუტოვებს პროფესიის დასაუფლებლად. პროფესორ-მასწავლებლების მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ამან შეიძლება დაბალი დაასწავლოს სტუდენტის განათლებას.

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა კრიტიკულია, რომლებსაც პროფესორ-მასწავლებლები სტუდენტების ცოდნის დონის ადასტურებენ. სტუდენტები მიუთითებენ, რომ პროფესორ-მასწავლებლები ხანდახან ტენდენციურები არიან და მეფავორიტეობას ხელმძღვანელობენ ნიშნების წერისას.

მიუხედავად, ზემოჩამოთვლილი მდგომარეობისა, სტუდენტების და ლექტორების მნიშვნელოვანი ნაწილი სრულიად კმაყოფილია და მეუქმნელ ქიმიონებს პრობლემას ვერ ხედავს. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების განცდილი ნაწილი სასწავლებელში მხოლოდ სპაციფიურობის შენარჩუნებისა არსებობაზე მიუთითებს და უფრო შიდა შუამდგომელოს ცდილობს მიიჩნევს უმაღლესი სისტემის ეგზოფაქტორებს. ისინი კარგად არიან მორგებული არსებულ სისტემას და რაიმეს შეცვლა არ სურთ.

### კორუფცია უმაღლეს სასწავლებლებში

იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი განათლების რეფორმის ტენდენციებზე საუბრისას სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების აზრი, თითქმის სრულად ემთხვეოდა ერთმანეთს, კორუფციაზე სტუდენტები ამჯერად უფრო ხშირად და ღიად მიუთითებდნენ. ამას ადასტურებს რაოდენობრივი კვლევაც. დასმულ შეკითხვაზე: არსებობს თუ არა თქვენს უმაღლეს სასწავლებელში კორუფცია, სტუდენტთა 28,5% ამბობს, რომ დიახ, ყოველთვის; პროფესორ-მასწავლებელთა და მენეჯმენტის წარმომადგენელთა კი მხოლოდ 9,9% შეადგენს. სტუდენტების 26,5 პროცენტი მიიჩნევს, რომ უმაღლესებში კორუფცია საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. ამ შემთხვევაში სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა პროცენტული მაჩვენებელი უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან: სტუდენტების 38,0 პროცენტს მიაჩნია, რომ უმაღლესებში მცირედ კორუფცია არსებობს, ამ აზრს პროფესორ-მასწავლებელთა და მენეჯმენტის წარმომადგენელთა 48,3% ეთანხმება. სტუდენტების უფრო დიდი პროცენტი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტებში ქრთამის აღება ხდებოდა როგორც მისაღებ გამოცდებზე, ასევე სემესტრულ გამოცდებსა და ჩათვლებზე. მათი აზრით, ასევე საკმაოდ ხშირია ნიშნებისა და ჩათვლების მიღება ნაცნობობის გზით. ლექტორები და მენეჯმენტის წარმომადგენლები კი თვლიან, რომ კორუფციის გამოვლინების ყველაზე ხშირი შემთხვევაა სემესტრულ გამოცდებზე და ჩათვლებზე ნაცნობობით ნიშნის დაწერა და ასევე, ნიშნის დაწერა ზემდგომის თხოვნით.

უმაღლეს სასწავლებელში გამეფებულ კორუფციაზე უფრო მეტად საუბრობენ ბათუმისა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც მიიჩნევენ, რომ მათთან კორუფცია საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ქრთამის აღების შემთხვევებზე, პრაქტიკულად არ საუბრობენ. მხოლოდ ერთი მაგალითი სახელდება, რის შემდეგაც კორუმპირებული ლექტორი გაათავისუფლეს. ასევე, უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ზოგიერთ ლექტორთან კარგად ჭრის ნაცნობობა და „ზარი ზემოდან". თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები ყოველთვის არ არიან კორუფციის მსხვერპლი. ხშირად კორუფცია ორმხრივ კმაყოფილებას იწვევს: პედაგოგებისთვის ის დამატებითი შემოსავლის წყაროა, სტუდენტებისათვის კი – დიპლომის მიღების გარანტია.

### უმაღლესი სასწავლებლების მართვის სისტემა

თბილისისა და რეგიონების უნივერსიტეტების მართვაში არსებული პრობლემები მნიშვნელოვანწილად იმეორებს ერთმანეთს. სტუდენტები ცუდად იცნობენ საკუთარი უმაღლესი სასწავლებლების მართვის სისტემას, რასაც ნაწილობრივ მათში გამეფებულ კორუფციასა და კლანურ სისტემას, ნაწილობრივ კი უმაღლესი განათლების რეფორმას უკავშირებენ. ფოკუსური ჯგუფების მუშაობისას გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტები დახურული სისტემებია, სადაც ზედმეტი შეკითხვების დასმას, უბრალოდ, აზრი არ აქვს. სტუდენტების მონაწილეობა მართვაში ნულის ტოლია.

უმაღლესი სასწავლებლების მართვის სისტემის კორუმპირებულობაზე ინტენსიურად ბათუმისა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები საუბრობენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უცხო ენებისა და კულტურის ინსტიტუტში აღნიშნულზე შედარებით იშვიათად მიუთითებენ, თუმცა რესპონდენტების აზრით, უმაღლესი სასწავლებლის კორუმპირებულობის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ყველგან სახეზეა – ბიუჯეტი არ არის გამჭვირვალე, იგი სტუდენტებისთვის დახურული თემაა. მათ არ იციან, რა შემოსავალი აქვს სასწავლებელს და როგორ განიკარგება იგი. რესპონდენტების თქმით, ამის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნას აზრი არ აქვს.

როდესაც საუბარი უმაღლესი სასწავლებლების მართვის სისტემას შეეხება, თსუ-ს პროფესორ-მასწავლებლები ცალსახად უარყოფითად აღიქვამენ საფაკულტეტო საბჭოების გაუქმებას. მათი აზრით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მართვის თვალსაზრისით შემდეგი შეცდომები იქნა დაშვებული: წესდებების უგულებელყოფა; კადრების არასწორად შერჩევა; ავტონომიის გაუქმება; ფაკულტეტების საბჭოების გაუქმება, ცენტრალიზაციის გაძლიერება. თსუ-ს პროფესორ-მასწავლებლების აზრით, პროცესი ასე უნდა წარიმართოს: სამინისტრომ შექმნას კონცეფცია, უნივერსიტეტმა შექმნას მისი შესაბამისი ზოგადი სისტემა, ხოლო უფრო დეტალურად ის უნდა გაწეროს ფაკულტეტმა, რომელსაც პირველი ორისგან განსხვავებით, უშუალო შეხება აქვს სტუდენტებთან და სწავლის პროცესთან. მათი აზრით, ამ შემთხვევაში უკანასკნელი რგოლი ყველაზე კომპეტენტურია.

თსუ-ს პროფესორ-მასწავლებლების გაღიზიანება მნიშვნელოვანწილად იმან გამოიწვია, რომ რექტორისა და ფაკულტეტის დეკანების არჩევნები არ ჩატარებულა. მათი თქმით, ამან გამოაჩინა, თუ როგორი უნივერსიტეტის აშენება სურთ – მართულის და პოლიტიკურად ანგაჟირებულის. ისინი მოელიან, რომ რეფორმის შედეგებიც ასეთი იქნება – დეკლარირებული და ფურცელზე დაწერილი მნიშვნელოვნად გაემიჯნება რეალობას.

ფაკულტეტებისა და კათედრების დამოუკიდებლობას ყველა გამოკითხული რესპონდენტი მიესალმება. ისინი აღნიშნავენ, რომ ეს რგოლები დამოუკიდებლობას გარკვეული ხარისხით ახლაც ფლობენ, მაგრამ სასურველია ჰქონდეთ მეტი თავისუფლება შემდეგი საკითხების გადაწყვეტაში: სასწავლო პროგრამების შედგენა; მოდულების, კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა; საკუთარი პრიორიტეტების ჩამოყალიბება; საკუთარი ბიუჯეტის შედგენა; საკუთარი ბიუჯეტის განკარგვა; კადრების შერჩევა; მოსაწვევი პედაგოგების და მათი რაოდენობის განსაზღვრა.

რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, უნივერსიტეტებში დღესდღეობით არსებულ მართვის სისტემას როგორც ეფექტურ აფასებს პროფესორ-მასწავლებელთა და მენეჯმენტის წარმომადგენელთა 15,7%, როგორც ნაკლებად ეფექტურს 54,7%, როგორც არაეფექტურს 28,5%. დაახლოებით იგივე პროცენტულ მაჩვენებელს იძლევა სტუდენტთა გამოკითხვაც.

### ბიუჯეტირების პროცესი და მონაწილეობა

ფოკუსური ჯგუფების მუშაობისას ყველაზე უხერხული სწორედ უმაღლესი სასწავლებლების ბიუჯეტზე საუბარი იყო. ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ რესპონდენტებს არ ჰქონდათ არანაირი წარმოდგენა, როგორ განიკარგება მათი სასწავლებლის ბიუჯეტი, მაგრამ უფრო საგულისხმო იყო ერთი ფაქტი: მათ არც აქვთ ცნობიერი სურვილი განახორციელონ ბიუჯეტის ხარჯვის მონიტორინგი. ეს დღემდე ცუდ ტონად ითვლება. რჩება შთაბეჭდილება, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ბიუჯეტის გაუმჭვირვალობა ორმხრივი შეთანხმების შედეგია, რომლითაც ორივე მხარე კმაყოფილია.

რესპონდენტებს არ აქვთ ინფორმაცია, რა ოდენობის თანხები შედის უმაღლესი სასწავლებლის ბიუჯეტში. უმაღლესი სასწავლებლის ბუღალტერია მათთვის დახურული თემაა. პროფესორ-მასწავლებლებმა ან არ იციან საკუთარი ხელფასის ოდენობა, ან იციან, მაგრამ არ აქვთ ინფორმაცია, რატომ შეადგენს მათი ხელფასი იმდენს, რამდენსაც უხდიან. მათ იციან, რომ სრული უფლება აქვთ მოითხოვონ ინფორმაცია არა მარტო საკუთარ ხელფასზე, არამედ ზოგადად, ფინანსების განკარგვაზე უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ ან ამის გარკვევის იმედი არ აქვთ, ან ეშინიათ გარშემომყოფთა არაკეთილგანწყობა დაიმსახურონ.

**რესპონდენტების აზრით, ბიუჯეტის გაუმჭვირვალობას შემდეგი მიზეზები აქვს:**

- დამახინჯებულია ადმინისტრირება – მმართველი რგოლი ან სუბიექტი არ არის ანგარიშვალდებული ქვემდებარე სტრუქტურების მიმართ. ორგანიზაციის შემადგენელი ნაწილები ერთმანეთს არ აკონტროლებს. სისტემა იძლევა თვითნებობის საშუალებას;
- მოქალაქეები არ აკონტროლებენ ერთმანეთს, არ ინტერესდებიან, იმ დაწესებულების შიდა პრობლემებით და იქ მიმდინარე პროცესებით, სადაც მუშაობენ;
- დამნაშავეზე ხელის დაფარება კარგ ტონად ითვლება. ვინც პირდაპირ განაცხადებს, რომ უმაღლეს სასწავლებელში ხდება დანაშაული, აგრესიას იმსახურებს;

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის სრული გაუმჭვირვალობის შესახებ რესპონდენტების აზრი ფოკუსურმა კვლევამ უფრო მეტად გამოავლინა, მაშინ როდესაც რაოდენობრივი კვლევისას სტუდენტთა 60 პროცენტმა განაცხადა, რომ ბიუჯეტი მათთვის მეტ-ნაკლებად გამჭვირვალეა. რაც შეეხებათ ლექტორებს, მათი 52,7 პროცენტის აზრით, ბიუჯეტი არ არის გამჭირვალე, 35,5% მიიჩნევს, რომ ბიუჯეტი მეტ-ნაკლებად გამჭვირვალეა, ხოლო 9% კი თვლის, რომ უმაღლესების ბიუჯეტები სრულიად გამჭვირვალეა.

რესპონდენტები საუბრობენ ფაკულტეტების საბიუჯეტო ავტონომიის დადებითი და უარყოფითი შედეგების შესახებ. დადებითს იმაში ხედავენ, რომ ფაკულტეტებმა უკეთ იციან, რა რაოდენობის რესურსები სჭირდებათ. ისინი უფრო რაციონალურად და ეფექტურად განკარგავენ სახსრებს. მეორეს მხრივ, ფუნდამენტური მეცნიერებების ფაკულტეტები, რომლებიც დღეს ნაკლებად პოპულარულია და გარკვეულწილად სხვა ფაკულტეტების ხარჯზე არსებობს, შესაძლოა, საერთოდ საარსებო საშუალებების გარეშე დარჩეს. თსუ-ს მენეჯმენტის წარმომადგენლები ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ იდეალური შემთხვევა იქნება, თუ ფაკულტეტის შემოსავლების 80% დარჩება ფაკულტეტზე, 20% კი გადაირიცხება ცენტრალურ ბიუჯეტში. იდეალურია ბიუჯეტირების ვარიანტი, როდესაც თითოეული კათედრა ან ფაკულტეტი დაიანგარიშებს და წარადგენს მისთვის აუცილებელ ბიუჯეტს წლის განმავლობაში, რომელსაც საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე – პირდაპირ ან მცირედი კორექტირების შემდეგ – დაამტკიცებს უნივერსიტეტის ფინანსური მენეჯმენტი. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ადმინისტრაციას ექნება შესაძლებლობა გარკვეული კორექტივები შეიტანოს წარდგენილ ბიუჯეტებში, მაგრამ ბიუჯეტის შექმნის ამოსავალი პრინციპები იქნება ფაკულტეტების მოთხოვნები და საჭიროებები, რაც ფაკულტეტის ხელმძღვანელობაზე უკეთ არავინ იცის. რესპონდენტების აზრით, ამ შემთხვევაში უფრო მარტივად და გამჭვირვალედ მოხდება იმის დაანგარიშება, თუ რამდენი იხარჯება უნივერსიტეტში აკადემიურ ნაწილზე, მოსამსახურე პერსონალზე და სხვა.

გამოკითხულ პროფესორ-მასწავლებელთა და მენეჯმენტის წარმომადგენელთა 45,6% თვლის, რომ ფაკულტეტებს დამოუკიდებელი ბიუჯეტი უნდა ჰქონდეთ, რადგან ეს ბიუჯეტის განკარგვის პროცესს გახდის უფრო გამჭვირვალეს; 48,0% თვლის, რომ ეს განკარგვის პროცესს გახდის უფრო მოქნილს. გამოკითხულთა 23,5% მიიჩნევს, რომ ფაკულტეტებს დამოუკიდებელი ბიუჯეტი არ უნდა ჰქონდეს, რადგან ამ შემთხვევაში თანხა გადანაწილდება არათანაბრად, რაც ზოგი ფაკულტეტის გაკოტრებას გამოიწვევს. სტუდენტთა 56,7% თვლის, რომ ფაკულტეტებს დამოუკიდებელი ბიუჯეტი უნდა ჰქონდეს, რადგან ეს ბიუჯეტის განკარგვის პროცესს გახდის უფრო გამჭირვალეს; 27,4% თვლის, რომ ეს განკარგვის პროცესს გახდის უფრო მოქნილს. მხოლოდ 22,7% მიიჩნევს, რომ ეს ზოგი ფაკულტეტის გაკოტრებას გამოიწვევს.

### სტუდენტების მონაწილეობა მართვაში, სტუდენტური თვითმმართველობა

სტუდენტებიც და პროფესორ-მასწავლებლებიც მიუთითებენ, რომ სტუდენტები უმაღლესი სასწავლებლების მართვაში, პრაქტიკულად არ მონაწილეობენ. რეალურად არც არსებობს ამის შესაბამისი მექანიზმი. ორივე მხარე მიიჩნევს, რომ სტუდენტების მონაწილეობა მართვაში აუცილებელია. მათი ინფორმაციით, ამას ითვალისწინებს კიდეც კანონი უმაღლესი განათლების შესახებ.

სტუდენტებს სურთ მონაწილეობდნენ შემდეგი ტიპის გადაწყვეტილებების მიღებაში:

- სასწავლო პროგრამების შედგენა;
- პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევა;
- ბიუჯეტის ხარჯვის დაგეგმვა და მონიტორინგი;

პროფესორ-მასწავლებლების აზრით, სტუდენტების მონაწილეობა მართვაში აუცილებელია, რადგან უნივერსიტეტი, ლექტორებზე მეტად, სტუდენტებს ეკუთვნით, მაგრამ მათ არ მოსწონთ სტუდენტების გადამლაშებული სითამამე და საკუთარი უფლებების არაადეკვატურად გაგება. თსუ-ს ლექტორები კიდევ ერთ საფრთხეზე მიუთითებენ: შესაძლებელია სტუდენტები ისევ გაიხლიჩონ და სხვადასხვა გავლენის ქვეშ მოექცნენ, რის გამოც მათი ჩართვა მართვაში, შესაძლოა, არაეფექტური აღმოჩნდეს.

რაც შეეხება სტუდენტურ თვითმმართველობებს ისინი ნდობით და პოპულარობით არ სარგებლობს არცერთ უმაღლეს სასწავლებელში. სტუდენტები ვერ მიუთითებენ სტუდენტური გაერთიანებების მიერ ჩატარებულ კონკრეტულ ღონისძიებებსა და ქმედებებზე. სტუდენტების აზრით სტუდენტური გაერთიანებები ვერ ასრულებენ მათ მთავარ ფუნქციას – გამოხატონ სტუდენტობის აზრი, დაიცვან მათი უფლებები და შეასრულონ მედიატორის როლი სტუდენტებსა და უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციას შორის.

ამასთან, რესპონდენტები თანხმდებიან იმაზე, რომ უმაღლეს სასწავლებელში აქტიური სტუდენტური გაერთიანების არსებობა აუცილებელია. ეს ორგანიზაცია მრავალ ფუნქციას შეასრულებს, დაწყებული სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხებით, დასრულებული კულტურული ღონისძიებების მოწყობით. მაგრამ, სტუდენტური გაერთიანების მუშაობის ეფექტურობისათვის აუცილებელია სტუდენტების არჩევითობა.

### უმაღლესი სასწავლებლის წესდება, საჩივრის სისტემა, ეთიკის კოდექსი

უმაღლეს სასწავლებლებში აუცილებლად მიაჩნიათ წესდების არსებობა, სადაც პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების უფლება-მოვალეობებთან ერთად, განისაზღვრება უმაღლეს სასწავლებლის ეთიკური ქცევის სტანდარტები.

მართალია, რესპონდენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ არაეთიკურ ქცევები უმაღლეს სასწავლებლებში იშვიათია, მაგრამ მათ მიერ ჩამოთვლილი არაეთიკური ქცევის სახეები ცხადყოფს, რომ მაგალითები არც ისე ცოტაა. ამასთან, თითეულ მათგანს თავისებურად ესმის, რას ნიშნავს არაეთიკური ქცევა. ჩამონათვალი ასეთია: მობილური ტელეფონით საუბარი ლექციის მიმდინარეობისას; შეურაცხმყოფელი მიმართვები; ლექციებზე დაგვიანება და მათი გაცდენა; ლექციის დროს კარტის თამაში; აუდიტორიების დანაგვიანება; ლექტორების მიერ საკუთარი წიგნების გასაღება სტუდენტებზე. რადგან არაეთიკური ქცევის გაგება სხვადასხვაგვარია, რესპონდენტებს აუცილებლად მიაჩნიათ, წესდებაში მკაფიოდ განისაზღვროს, რა ტიპის ქცევა მიიჩნევა არაეთიკურად და როგორი სასჯელი შეიძლება დაეკისროს ეთიკური სტანდარტების დამრღვევს.

სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მიუთითებენ, რომ საჩივრის სისტემა უნივერსიტეტში გაუმართავია, რადგან სტუდენტის მიერ საჩივრის წარდგენის შემდეგ პროცესი მიმდინარეობს სპონტანურად და სრულად არის დამოკიდებული კონკრეტული ადამიანების კეთილ ნებაზე.

პროფესორ-მასწავლებელთა და მენეჯმენტის წარმომადგენელთა 65,3% მიიჩნევს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში საჩივრის სისტემა უნდა არსებობდეს, 33,9 პროცენტის კი თვლის, რომ ასეთი სისტემა საჭირო არ არის, მაშინ, როდესაც სტუდენტთა 92% თვლის, რომ უმაღლესებში საჩივრის სისტემა აუცილებლად უნდა არსებობდეს.

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ სპეციალური ორგანო ან ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მიღებულ საჩივრებს განიხილავს, უნდა დაკომპლექტდეს როგორც ლექტორებით, ასევე სტუდენტებით. სისტემა უნდა იყოს იმდენად ეფექტური, რომ საჭირო არ გახდეს დამატებითი ორგანოს არსებობა, რომელიც იგნორირებული საჩივრების გადასინჯვას უზრუნველყოფს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრობლემა ვერ მოგვარდება ფაკულტეტის დონეზე, საჩივარი უნდა განიხილოს ზემდგომმა ორგანომ.

რედაქცია:
ნინო ცინცაძე, ლევან ხიმშიაშვილი, ქეთი ჩარხიანი, დალი ცქიტიშვილი
თავისუფლების ინსტიტუტი
თბილისი 0108, ჭონქაძის ქ. 23, ტელ: 93 66 15, ფაქსი: 93 67 84, ელ-ფოსტა: liberty@liberty.ge, www.liberty.ge

ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

# ჯავახეთში სეპარატიზმი არ არსებობს

## მიგვანიშნებს ზნეობრივი კოდექსი

ნოდარ სარჯველაძე
პროფესორი, ადამიანის რესურსების განვითარების ფონდის თავმჯდომარე

*ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი, ეუთო-ს მხარდაჭერით, სამცხე-ჯავახეთში ახორციელებს პროექტს – "ეროვნებათაშორისი ურთიერთობების მართვა სამცხე-ჯავახეთში''. იგი გულისხმობს ამ მეტად მნიშვნელოვანი და პრობლემური რეგიონის საჯარო მოხელეთა ტრეინინგს იმ პრობლემათა გაცნობიერებასა და გადაწყვეტაში, რომლებიც ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სფეროში იღებენ სათავეს. ტრეინინგის კურსები გაიარა ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის რაიონების 216-მა საჯარო მოხელემ. ერთი წლის ინტენსიურმა სამუშაომ ნათლად წარმოაჩინა, რომ ჯავახეთში სეპარატიზმის არავითარი ნიშნები არ არსებობს, თუმცა პრობლემები აურაცხელია და ისინი წარმოადგენენ ერთგვარ გამოწვევებს, რათა მათი გადაწყვეტის კონსტრუქციული და ცივილიზებული მეთოდები გამოიძებნოს. პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი ის იყო, რომ ქართველმა და სომეხმა სამცხე-ჯავახეთელმა საჯარო მოხელეებმა, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის სტრუქტურების წარმომადგენლებმა, ჯანდაცვის, განათლების, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებმა, დიალოგისა და ერთობლივი ძალისხმევის საფუძველზე, დაწერეს ერთაშორისი ურთიერთობის ეთიკური კოდექსი. კოდექსის ტექსტმა გაიარა სპეციალისტთა ექსპერტიზა და 18 ნოემბერს ახალციხეში 100-მა სამცხე-ჯავახეთელმა საჯარო მოხელემ ხელმოწერებით დაადასტურა ამ კოდექსის კოლექტიური ავტორობა. ხელმოწერების შეგროვება რეგიონში გრძელდება. გთავაზობთ ერთაშორისი ურთიერთობების ეთიკის ამ კოდექსის ტექსტს, რომელიც პირველი მცდელობაა ამდაგვარი დოკუმენტის შექმნისა არა მხოლოდ ქართველთა და სომეხთა ისტორიაში, არამედ პლანეტის სხვა ერებისა და ეთნოსების ცხოვრებაში.*

## ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ეთიკური კოდექსი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

### კოდექსის მიზნები და ამოცანები

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. ჩვენი სახელმწიფოებრიობის, დემოკრატიული პროცესებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ისეთი ფასეულობებისა და პრინციპების დანერგვა-განვითარებაზე, როგორიცაა: ეთნიკური მრავალფეროვნების დაფასება, ტოლერანტობა და თანასწორობა, მშვიდობისმოყვარეობა და კონფლიქტური სიტუაციების კონსტრუქციულ გადაწყვეტაზე ორიენტაცია.

ეთნიკური მრავალფეროვნების ხარისხით სამცხე-ჯავახეთის რეგიონი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგვარი მაგალითი, რომელიც შედარებით მცირე მასშტაბებით ასახავს მთლიანად საქართველოს ეთნიკურ მრავალფეროვნებას. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ჯავახეთის რაიონებში მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკური სომხები წარმოადგენენ, მაშინ, როცა სამცხის – ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის და ასპინძის რაიონებში, მოსახლეობის უმრავლესობა ქართველია. ქართველებისა და სომხების გარდა, რეგიონში ცხოვრობენ აგრეთვე ბერძნები, ებრაელები, რუსები.

ეროვნებათაშორისი ურთიერთოებების ეთიკური კოდექსის შექმნის **მიზანია** ჩვენს სახელმწიფოში საზოგადოებრივი ცხოვრებისა და, განსაკუთრებით, ეთნოსთა შორის ურთიერთობების ჰუმანიზაცია და ტოლერანტობის დონის ამაღლება. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას, დემოკრატიული პროცესების განვითარებას, - ამ ფონზე ცხოვრების ხარისხის ამაღლებას და შესაბამისად, მოსახლეობის კეთილდღეობას. ამ უკანასკნელის ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ ეკონომიკური კეთილდღეობა, არამედ ადამიანებსა და ეთნოსებს შორის ურთიერთობების ატმოსფეროს გაჯანსაღება. ეს მომენტი ესოდენ მნიშვნელოვანია გარდამავალ პერიოდში მყოფი სახელმწიფოსათვის, რომლისთვისაც სხვადასხვა სახის კონფლიქტების პრევენცია და გადაწყვეტა ყოველდღიურ საჭიროებას წარმოადგენს. ეროვნებათშორისი ურთიერთოებების ეთიკასა და ზნეობას გააჩნია არა მხოლოდ ჰუმანისტური ასპექტები, არამედ პრაგმატული განზომილებაც. მაღალი მორალური სტანდარტებისა და ღირებულებების ატმოსფერო ხელს უწყობს საზოგადოების სოციალური კაპიტალის ამაღლებას, რასაც, თავის მხრივ, მივყავართ ქვეყანაში სხვადასხვა ჯგუფებისა და მოქალაქეების კეთილდღეობის დონის ამაღლებისაკენ.

რაც შეეხება კოდექსის კონკრეტულ **ამოცანას,** ეს არის სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ეროვნებათშორისი ურთიერთობების მართვის ეფექტურობის გაზრდა, რაც, თავის მხრივ, რეგიონში ეთნიკური მრავალფეროვნების პოტენციალის სრულფასოვანი ამოქმედების აუცილებელ პირობებს შექმნის. ეროვნებათშორისი ურთიერთოებების ეფექტური მართვა ეფუძნება ადამიანის ქცევის ნორმატული რეგულირების შემდეგ წყაროებს: (1) სამართლებრივი ნორმები და კანონები, (2) სახელმწიფო და საერთაშორისო დოკუმენტები, რომელთაც აქვთ სავალდებულო ან სარეკომენდაციო ხასიათი, (3) ეროვნული ტრადიციები და ადათ-წესები, (4) მორალურ-ეთიკური ნორმები.

ინტერეთნიკური ურთიერთოებების სამართლებრივი ნორმები, როგორც წესი, ქვეყნის კონსტიტუციასა და სხვა სახელმწიფოებრივ, სახელმწიფოთაშორის თუ საერთაშორისო დოკუმენტებშია დაფიქსირებული, ხოლო რაც შეეხება ეთიკურ კოდექსს, რომელიც სხვადასხვა ეთნოსებს შორის ურთიერთოებების მორალურ-ეთიკურ ასპექტებზე გაამახვილებდა ყურაღებას, დღეისათვის არ არსებობს. წინამდებარე კოდექსის ავტორებმა საჭიროდ ჩათვალეს, შეევსოთ ეს დანაკლისი, გადაწყვიტეს დამოუკიდებელი ძალისხმევით შეემუშავებინათ კოდექსის შექმნის მეთოდოლოგია და ხორცი შეესხათ მისთვის. ამგვარად, მოცემული ეთიკური კოდექსი ეროვნებათშორისი ურთიერთოებების მორალურ-ეთიკური ასპექტებით შემოიფარგლება.

### კოდექსის ავტორები

კოდექსის ავტორები არიან "ადამიანის რესურსების განვითარების ფონდის" 12 თანამშრომელი, რომლებიც ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მხარდაჭერით სამცხე-ჯავახეთში ეთნიკური ურთიერთობების მართვის პროექტს ახორციელებენ, და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის 216 სახელმწიფო მოხელე – მითითებული პროექტის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგებისა და სემინარების მონაწილეები. მოცემული კოლექტიური ნაშრომის ავტორები თვლიან, რომ ეთიკური კოდექსი – ეს არის ჯერარსულ მსჯელობათა შეჯამების საფუძველზე შექმნილი სისტემა, რომელიც საბოლოო გამოვლინებას ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების იდეალურ მაგალითებში პოულობს. რა თქმა უნდა, იდეალების ხორცშესხმა რეალურ ცხოვრებაში ყოველთვის ვერ ხერხდება, მაგრამ ჩვენ მაინც ამ მიმართულებით უნდა მივისწრაფოდეთ. რადგანაც ეთიკა ჯერარსის სფეროსთან არის დაკავშირებული, ანუ იმასთან, რაც "უნდა იყოს", მოცემული კოდექსის ავტორებმა შეიმუშავეს მსჯელობათა სისტემა, რომელიც მიმართულია განსხვავებულ ეთნოსებს შორის იდეალურ ურთიერთობებზე საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ფარგლებში. რადგანაც სემინარების მონაწილეთა უმრავლესობას რეგიონში მცხოვრები ქართველები და სომხები წარმოადგენენ, ეთნიკური ურთიერთობების კოდექსი ფოკუსირებულია ქართულ-სომხურ ურთიერთობებზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

### კოდექსის მეთოდოლოგია

კოდექსის მეთოდოლოგიურ ღერძს წარმოადგენს ჯგუფური შემოქმედებითი დისკუსია, ქართველი და სომეხი სახელმწიფო მოხელეების მიერ იდეებისა და ზნეობრივ-მორალური მსჯელობების ერთობლივი პროდუცირება, რომელიც ადამიანის სამყაროში ცხოვრების ლოგიკური დონეების კონცეფციის საფუძველზე მიმდინარეობდა.

ადამიანის ცხოვრების ლოგიკური დონეების კონცეფციის თანახმად, ადამიანის მოქმედება და მოღვაწეობა, მათ შორის ზნეობრივ-ნორმატიული მოქმედება, ასახვას ჰპოვებს ლოგიკურ სისტემაში, რომლის განსხვავებული დონეები და მათი თანმიმდევრობა შემდეგი კონტექსტებიდან მომდინარეობს:

გარემოს კონტექსტი (ეკოლოგიური, კულტურულ-ისტორიული, ყოფითი და სხვა);

ქცევისა და წარმოდგენების კონტექსტი (ინდივიდუალური ქცევა, კოლექტიური ქცევა, საზოგადოებრივი აზრი, აზროვნებისა და ქცევის სტერეოტიპები, რიტუალები და ადათ-წესები და სხვა);

შესაძლებლობათა, უნარჩვევების, რესურსების, ალტერნატივების, არჩევანის დიაპაზონის და სხვა კონტექსტი;

ფასეულობების, ცხოვრების არსისა და ფუნდამენტური პრინციპების კონტექსტი;

იდენტობის კონტექსტი (პიროვნული, ჯგუფური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, სქესობრივი, პროფესიული, კულტურული ან სუბკულტურული და სხვა);

ოჯახის, თემის, რეგიონის, ქალაქის, სოფლის, მიკროსოციალური გარემოს და სხვა კონტექსტი;

ქვეყნის ინსტიტუტების, ქვეყნისა და სახელმწიფოს კონტექსტი მთლიანობაში;

კაცობრიობის, ზოგადსაკაცობრიო გლობალური პროცესებისა და ფასეულობების კონტექსტი;

სამყაროსა და უნივერსუმის კონტექსტი.

სემინარის ქართველმა და სომეხმა მონაწილეებმა, ადამიანის რესურსების განვითარების ფონდის სპეციალისტებთან ერთად, შემოქმედებითად განიხილეს და მოახდინეს იდეების გენერირება ზემოთ აღნიშნული ლოგიკური თანამიმდევრობის მიხედვით. შემუშავდა ეთიკური ნორმატივებისა და ორიენტირების სისტემა შემდეგ სფეროებთან დაკავშირებით:

რეგიონის ეკოლოგიური და კულტურულ-ისტორიული გარემო,

ეთნოსთა ტრადიციები და წეს-ჩვეულებები,

ერთობლივი ზრუნვა ეთნოსთა შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარებისათვის,

ეთნოსთა იდენტობების მიმღებლობა და განსხვავებულობების პატივისცემა,

ეთნიკური ურთიერთობების პრინციპების განხილვა სამცხე-ჯავახეთისა და მთლიანად სახელმწიფოს განვითარების თვალსაზრისით,

ეთნიკური ურთიერთობების პრინციპების განხილვა გლობალურ, ზოგადსაკაცობრიო კონტექსტში.

კოდექსის პრინციპები და დებულებები დალაგებულია სწორედ აღნიშნული თანმიმდევრობის შესაბამისად.

გამომდინარე იქიდან, რომ ავტორები ეთნოსთა შორის ურთიერთობის პირველი კოდექსის შექმნელები არიან, ისინი აცნობიერებენ ამ მისიის და მისი ცხოვრებაში გატარების მნიშვნელობას. სწორედ ამიტომ, ავტორები დიდი ინტერესით მიიღებენ ყოველგვარ კრიტიკულ შენიშვნას, კომენტარსა და რეკომენდაცის, რაც გაუჩნდება მკითხველს. აცნობიერებენ რა ეთიკური კოდექსის უნივერსალობას, ავტორები იმედოვნებენ, რომ კოდექსის შექმნის მსგავსი სამუშაოები განხორციელდება ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სხვა რეგიონებშიც, რაც შეიტანს აუცილებელ ცვლილებებს და დამატებებს ერთაშორისი ურთიერთობების სფეროში უფრო ფართო და განზოგადოებული ნორმატიული პრინციპებისა და დებულებების სისტემის შესაქმნელად. სწორედ ეთიკური კოდექსის უნივერსალობა მოითხოვს, რომ მისი ძირითადი დებულებები შემუშავდეს დიალოგის საფუძველზე. დიალოგი თვითონ არის ცხოვრების უნივერსალური პრინციპების თვითდადგენის, გაცნობიერებისა და გათავისების უნივერსალური წყარო. ამიტომაც, სამცხე-ჯავახეთური ქართულ-სომხური დიალოგი ერთაშორისი ურთიერთობების საფუძველმდებარე ეთიკური პრინციპების შესახებ მძლავრი იმპულსია, რათა მრავალეროვან საქართველოში განვითარდეს ერთაშორისი დიალოგის საინტერესო და კონსტრუქციული პროცესი.

## ინტერეთნიკური ურთიერთობების ეთიკური ნორმების სისტემა "ადამიანი-სამყაროს"-ს ლოგიკური დონეების შესაბამისად

### გარემო

ქართველმა და სომეხმა მოქალაქეებმა უნდა აღადგინონ და დაიცვან სამცხე-ჯავახეთისა და მთელი ჩვენი ქვეყნის ისტორიული და ეკოლოგიური გარემო; ერთობლივად იზრუნონ ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე, ფლორისა და ფაუნის მდგრად შენარჩუნება-განვითარებაზე, ისტორიულ და კულტურულ ძეგლთა დაცვასა და აღდგენაზე, ხოლო ამა თუ იმ დარღვევების შემთხვევაში მოახდინონ სათანადო რეაგირება

სამცხე-ჯავახეთის საზოგადოების უკლებლივ ყველა წევრმა/ეთნიკურმა ჯგუფმა თავი უნდა იგრძნოს რაიონის ეკოლოგიური გარემოს თანაბარ და სრულფასოვან მფლობელად;

ქართველმა და სომეხმა მოქალაქეებმა უნდა შეისწავლონ და შეაფასონ საკუთარი გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა და იზრუნონ როგორც საკუთარი, ასევე თავისი გარემომცველი საზოგადოების ეკოლოგიური განათლების დონის ამაღლებაზე;

ქართველმა და სომეხმა მოქალაქეებმა უნდა მოინახულონ, შეისწავლონ, დაიცვან, დაასუფთავონ და პატივი სცენ ერთმანეთის ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს; აიღონ პასუხისმგებლობა ერთმანეთის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და დაცვის პროპაგანდაზე და განიხილონ ისინი, როგორც მსოფლიოს საგანძური; მოეპყრან ერთმანეთის და სხვათა მემკვიდრეობას ისე, როგორც სურთ რომ სხვები მოეპყრან მათ მემკვიდრეობას.

### ტრადიციები

ქართველმა და სომეხმა მოქალაქეებმა პატივი უნდა სცენ და აღიარონ ერთმანეთის ტრადიციები;

ქართველმა და სომეხმა მოქალაქეებმა უნდა უზრუნველყონ ყოველი ეთნიკური ჯგუფის მიერ საკუთარი ტრადიციების შენარჩუნების, წარმოჩენის და განვითარების შესაძლებლობა;

ქართველმა და სომეხმა მოქალაქეებმა უნდა აიღონ პასუხისმგებლობა ერთმანეთის ტრადიციების გაცნობა-შესწავლაზე, ადათ-წესების, როგორც რესურსის გამოყენებაზე შემდგომი მშვიდობიანი თანაცხოვრების მიზნით;

ქართველმა და სომეხმა მოქალაქეებმა უნდა იზრუნონ ეროვნებათშორისი ურთიერთობების დარეგულირების გარკვეული სისტემის ჩამოყალიბებაზე და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ტრადიციების შეურაცხყოფის შემთხვევაში მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.

### შესაძლებლობანი

ქართველმა და სომეხმა მოქალაქეებმა ერთობლივად უნდა იზრუნონ ერთმანეთის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ერთმანეთისათვის თვითრეალიზაციისა და განვითარების შესაძლებლობების (განთლება, მონაწილეობა, ობიექტური ინფორმაციის მიღება და ა.შ.) შექმნაზე;

საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ჩვენს შემთხვევაში სომხებს, ხელი შეეწყოთ შეისწავლონ სახელმწიფო ენა, რათა მათ მიეცეთ პერსპექტიული დასაქმებისა და პროფესიული თვითრეალიზაციის, ქვეყნის ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის შესაძლებლობა. თავის მხრივ, ქართველმა მოქალაქეებმა არ უნდა გაუწიონ დისკრიმინაცია სომეხი მოსახლეობის წარმომადგენლებს საყოფაცხოვრებო თუ სახელმწიფო დონეზე თავიანთი შესაძლებლობების რეალიზებაში და წაახალისონ ისინი;

ქართველმა და სომეხმა მოქალაქეებმა ხელი უნდა შეუწყონ ერთმანეთს სამოქალაქო ცნობიერებისა და კონსტიტუციური/სამოქალაქო პატრიოტიზმის განვითარებაში.

### ფასეულობები

საქართველოს ქართველი და სომეხი მოქალაქეები ვალდებულნი არიან, ურთიერთპატივისცემით მოეპყრან ერთმანეთისა და სხვა ეთნოსთა ენობრივ, რელიგიურ, კულტურულ-ისტორიულ და სხვა ფასეულობებს. ისინი ერთობლივად უნდა ზრუნავდნენ ამ ფასეულობების გაფრთხილებასა და მათი მრავალფეროვნების შენარჩუნებაზე, ეთნოსთა შორის დიალოგის განვითარებაზე;

ქართველი და სომეხი მოქალაქეები უნდა ზრუნავდნენ არა მხოლოდ არსებული საერთო ფასეულობების გაცნობიერებასა და შენარჩუნებაზე, არამედ ახალი საერთო მოქალაქეობრივი ფასეულობების შექმნასა და მათ შემდგომ განვითარებაზე;

ქართველი და სომეხი მოქალაქეები უნდა უზრუნველყოფდნენ ერთმანეთის ეროვნული ფასეულობების თაობიდან თაობაზე გადაცემას და მათ შენარჩუნება-განვითარებას.

### იდენტობა

სომეხმა და ქართველმა მოქალაქეებმა უნდა უზრუნველყონ ერთმანეთის თვითმყოფადობის, ენის, რელიგიის, ფასეულობების დაცვა, დანერგონ ურთიერთმიმღებლობისა და განსხვავებულობათა პატივისცემის სულისკვეთება;

სამცხე-ჯავახეთის ქართველი და სომეხი მოქალაქეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ეთნიკური იდენტურობის თვალსაზრისით, მაგრამ მათ აერთიანებს საერთო მოქალაქეობრივი იდენტურობა, რაც მათ საფუძველს აძლევთ, ერთობლივად აიღონ პასუხისმგებლობა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, სახელმწიფო ენის და სამოქალაქო ფასეულობების პატივისცემაზე, სამოქალაქო პატრიოტიზმის განვითარებაზე და ქვეყნის განვითარების ხელშეწყობაზე;

მიჯნავენ რა ერთმანეთისაგან ეთნიკურ ასიმილაციასა და ინტეგრაციას, სომეხმა და ქართველმა მოქალაქეებმა უნდა მოახდინონ რეაგირება ასიმილაციის მცდელობებზე და ხელი შეუწყონ სახელმწიფოს მშვიდობიან ინტეგრირებას, უნდა უზრუნველყონ არა მხოლოდ ეროვნული იდენტურობისა და თვითმყოფადობის დაცვა, არამედ მისი შემდგომი სრულყოფა და განვითარება.

### სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი უნდა გახდეს ეფექტური ეროვნებათშორისი თანაცხოვრების წარმატებული მაგალითი მთელი ქვეყნისათვის, კერძოდ:

სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებმა ქართველებმა და სომეხმა მოქალაქეებმა ერთობლივად უნდა იზრუნონ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე;

სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებმა ქართველებმა და სომხებმა პატივი უნდა სცენ სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, ხელი უნდა შეუწყონ რეგიონში სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას და საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის განვითარების პროცესებში; ამასთანავე, უნდა აღიარონ და გაითვალისწინონ რეგიონში მცხოვრები ყველა ეთნიკური უმცირესობის საჭიროებანი და უფლებები;

ქართველმა და სომეხმა მოქალაქეებმა ხელი უნდა შეუწყონ კავშირის განმტკიცებას სახელმწიფო სტრუქტურებსა და მოსახლეობას შორის, რათა მათ ერთობლივად იზრუნონ შესაძლო კონფლიქტების პრევენციაზე და ხელი შეუწყონ რეგიონის სრულფასოვან ინტეგრირებასა და განვითარებას.

### ქვეყანა

სამცხე-ჯავახეთის ქართველმა და სომეხმა მოქალაქეებმა უნდა აჩვენონ ქვეყანაში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფებს მშვიდობიანი თანაცხოვრების მაგალითი, ხელი შეუწყონ ამ პოზიტიური გამოცდილების განვრცობას მთელს ქვეყნაში და სხვადასხვა ეთნოსთა შორის ურთიერთობებისა და კავშირების განვითარებას;

ქართველმა და სომეხმა მოქალაქეებმა უნდა დაიცვან სახელმწიფოსა და მასში მცხოვრები ყველა ეთნოსის ინტერესები, უნდა უზრუნველყონ ქვეყნის ცხოვრებასა და მართვის ნებისმიერ დონეზე ყველა ეთნოსის სრულფასოვანი მონაწილეობა;

ქართველმა და სომეხმა მოქალაქეებმა ერთობლივად, მშვიდობიანი გზით, საერთაშორისო დოკუმენტებზე დაყრდნობით უნდა იზრუნონ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობასა და ქვეყნის ინტეგრაციის მაღალ ხარისხზე;

ქართველმა და სომეხმა მოქალაქეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კონონმდებლობა და კონსტიტუცია, შეიტანონ წვლილი სამართლებრივი სახელმწიფოს შენებაში, რომელიც მიიღწევა მხოლოდ თანამშრომლობასა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებით.

### კაცობრიობა

ქართველი და სომეხი მოქალაქეები უნდა იძლეოდნენ მშვიდობიანი თანაარსებობის მაგალითს და ხელს უწყობდნენ სხვა ეთნიკურ ჯგუფებში ანალოგიური მისწრაფებების განვრცობას როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მასშტაბით;

ქართველი და სომეხი მოქალაქეები უნდა ზრუნავდნენ თავის უახლოეს გარემოცვაში, რეგიონში, ქვეყანაში, მსოფლიოში დაცულობისა და უსაფრთხოების დონის ამაღლებაზე;

ქართველი და სომეხი მოქალაქეები უნდა ითვალისწინებდნენ საკაცობრიო გამოცდილებას ინტერ-ეთნიკურ ურთიერთობებში;

ქართველი და სომეხი მოქალაქეები უნდა ხელმძღვანელობდნენ ზოგად-საკაცობრიო ფასეულობებით, როგორიცაა: დემოკრატია, მოქალაქეობა, ტოლერანტობა, ღირსება, ჰუმანიზმი და ადამიანთა უფლებები;

ქართველი და სომეხი მოქალაქეები უნდა ცდილობდნენ, რომ ინტერ-ეთნიკურ სფეროში მიღწეულმა დადებითმა შედეგებმა პოზიტიური ზეგავლენა იქონიოს ზოგადსაკაცობრიო პროცესებზე.

# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

### სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ ხარაგაულის რაიონში, სოფ. ბაზალეთში კირქვის საბადოს დამუშავება

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხარაგაულის რაიონში, სოფ. ბაზალეთში კირქვის საბადოს დამუშავება. |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ინერტული მასალის ჯამური მოცულობა | 50000 მ$^3$ |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.№6 ტელ. 465008<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 5 დეკემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 4 იანვარს 11 საათიდან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | ლარი 7728<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1546 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგენილის "ბე"-ს შემოტანის ქვითარი | "ბე"-ს გადახდის ანგარიში:<br>მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიში N 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის - სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ) ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე) "ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი წესები.<br>Gგამარჯვებული ვალდებულია ორი თვის განმავლობაში გაიროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები. | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

### სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ გორის რაიონში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს ჭალის ტერასაზე სოფ. ტინისხიდის ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გორის რაიონში, მდ, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ჭალის ტერასაზე სოფ. ტინისხიდის ქვიშა-ხრეშის მოპოვება. |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 15 000 მ$^3$ |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.№6 ტელ. 465008<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 5 დეკემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 4 იანვარს 11 საათიდან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 2 284 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>457 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგენილის "ბე"-ს შემოტანის ქვითარი | "ბე"-ს გადახდის ანგარიში:<br>მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიში N 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის - სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ) ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე) "ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი წესები.<br>გამარჯვებული ვალდებულია ორი თვის განმავლობაში გაიროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები. | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

### სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ საგარეჯოს რაიონში, მდ. იორზე სართიჭალისა და ხაშმის უბნებზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საგარეჯოს რაიონში, მდ. იორზე სართიჭალისა და ხაშმის უბნებზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება. |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 1 000 000 მ$^3$ |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.№6 ტელ. 465008<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 11 ნოემბრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2005 წლის 12 დეკემბერს 11 საათიდან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 62 593 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>12 519 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგენილის "ბე"-ს შემოტანის ქვითარი | "ბე"-ს გადახდის ანგარიში:<br>მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიში N 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის - სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ) ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე) "ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი წესები.<br>გამარჯვებული ვალდებულია ორი თვის განმავლობაში გაიროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები. | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

### სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ მარნეულის რაიონში, სოფ. იმირში მდ. ხრამის ჭალაში ინერტული მასალის მოპოვება

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარნეულის რაიონში, სოფ. იმირში მდ. ხრამის ჭალაში ინერტული მასალის მოპოვება. |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ინერტული მასალის ჯამური მოცულობა | 300 000 მ$^3$ |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.№6 ტელ. 465008<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 5 დეკემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 4 იანვარს 11 საათიდან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 18 777 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>3 756 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგენილის "ბე"-ს შემოტანის ქვითარი | "ბე"-ს გადახდის ანგარიში:<br>მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიში N 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის - სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ) ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე) "ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი წესები.<br>გამარჯვებული ვალდებულია ორი თვის განმავლობაში გაიროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები. | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

### სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ ქ. რუსთავში მდ. მტკვრის მარცხენა ჭალის ტერასაზე, არიშის უბნის ქვიშა-ხრეშის მოპოვება

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. რუსთავში მდ. მტკვრის მარცხენა ჭალის ტერასაზე, არიშის უბნის ქვიშა-ხრეშის მოპოვება. |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 25 000 მ$^3$ |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.№6 ტელ. 465008<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 5 დეკემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 4 იანვარს 11 საათიდან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 352 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>670 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგენილის "ბე"-ს შემოტანის ქვითარი | "ბე"-ს გადახდის ანგარიში:<br>მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიში N 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის - სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ) ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე) "ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი წესები.<br>გამარჯვებული ვალდებულია ორი თვის განმავლობაში გაიროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები. | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

### სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ ხარაგაულის რაიონში, ამაშუკეთის კირქვის კარიერზე სამშენებლო კირქვის მოპოვება

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხარაგაულის რაიონში, ამაშუკეთის კირქვის კარიერზე სამშენებლო კირქვის მოპოვება. |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი სამშენებლო კირქვის ჯამური მოცულობა | 30 000 მ$^3$ |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.№6 ტელ. 465008<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 5 დეკემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 4 იანვარს 11 საათიდან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 572 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 314 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგენილის "ბე"-ს შემოტანის ქვითარი | "ბე"-ს გადახდის ანგარიში:<br>მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიში N 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის - სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ) ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე) "ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი წესები.<br>Gგამარჯვებული ვალდებულია ორი თვის განმავლობაში გაიროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები. | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ**
**მცხეთის რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვენა ჭალის ტერასაზე, ძეგვის ქვიშა-ხრეშის საბადოს ახალი ნიჩბისის 1,2 და 3 უბნებზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვენა ჭალის ტერასაზე, ძეგვის ქვიშა-ხრეშის საბადოს ახალი ნიჩბისის 1,2 და 3 უბნებზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება. |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 50 000 მ³ |
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.N6 ტელ. 465008 აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდეს ა/წ 5 დეკემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდეს 2006 წლის 4 იანვარს 11 საათიდან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 5 019 ლარი<br>"ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 004 ლარი |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს "ბე"-ს შემოტანის ქვითარი | "ბე"-ს გადახდის ანგარიში:<br>მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის N 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის - სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ)ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე) "ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| გამარჯვებული ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი წესები. გამარჯვებული ვალდებულია ორი თვის განმავლობაში გაიროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესები. | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |



# განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია:

1. ს.ს. "ტყიბულნახშირი"-ს მიერ II კატეგორიის საქმიანობაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვების პროექტი;
2. შპს "იორის ჭალები"-ს II კატეგორიის საქმიანობაზე სამონადირეო მეურნეობის შექმნის პროექტი;
3. ინდ .მეწ. "გ. ზურაბიშვილი"-ს II კატეგორიის საქმიანობაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვების პროექტი;
4. ინდ .მეწ "გ. მერაბიშვილი"-ს II კატეგორიოის საქმიანობაზე რუსთავის გაჯის ნედლეულის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტი;
5. შპს "უნივერსალი-93"-ის I კატეგორიის საქმიანობაზე ასფალტო-ბეტონის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში;
6. შპს "ალგეთი"-ს II კატეგორიის საქმიანობაზე მადნეული და არამადნეულის წმ. დაფქვის საამქროს პროექტი;
7. ინდ. მეწ. "კარლო ყიფშიძე"-ს II კატეგორიის საქმიანობაზე კვარც. მინდვრის შპატიანი ქვიშის დამუშავების პროექტი.

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 9 დეკემბრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში, მის: თბილისი, გულუას N6.

საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 9 დეკემბერს 1200 სთ-ზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.


ძიუდო

# თეა დონლუზაშვილი: "სააკაშვილმა დაბრუნება პირადად მთხოვა"

თეა დონლუზაშვილი პირველი ქართველი ძიუდოისტია, რომელმაც ოლიმპიური ბრინჯაო მოიპოვა. თუმცა სამწუხაროა, რომ მან ეს რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში გააკეთა. თეას თქმით პრეზიდენტმა სააკაშვილმა მას პირადაც სთხოვა საქართველოში დაბრუნება. ახლახანს სპორტსმენმა გაზეთ "იზვესტიას" ინტერვიუ მისცა, სადაც საქართველოს პრეზიდენტზე და თავის თვისებებზე საუბრობს.



**- ქალი ძიუდოსიტი რუსეთში - რთულია?**

- ჩემთვის ეს ჩვეულებრივი მუშაობაა. ეს სამუშაო, როგორც სხვა ნებისმიერი, შეიძლება ვინმეს რთულად მოეჩვენოს. იმ ხალხს, ვინც ამ პროფესიაში საკუთარი თავი ვერ იპოვა. თუმცა პირადად მე თავს კომფორტულად არ ვგრძნობ.

**- საქართველოში თქვენი სპორტული კარიერის დასაწყისი რომელიმე ლეგენდარულ გამარჯვებას უკავშირდება?**

- მე ვარჯიში 13 წლის ასაკში დავიწყე და სულ რაღაც ორი კვირის შემდეგ ბავშვთა შორის საქართველოს პირველობაზე ვიასპარეზე. იმ დროისთვის ძიუდოს უბრალო წესებიც კი არ ვიცოდი. მახსოვს, ფინალში ვჭიდაობ და უცებ აცხადებენ - "დონლუზაშვილი ვაზარი!". მე კი ვფიქრობ: რომელი ვაზარი?.. აი, ასე განსაკუთრებული ტაქტიკის გარეშე უბრალოდ ვიჭიდავე. და იმიტომ მოვიგე, რომ დანარჩენ თანატოლებზე ფიზიკურად ბევრად ძლიერი ვიყავი. მე უკვე იმ დროს გამოვიყურებოდი ზრდასრულ ადამიანად, როგორც ახლა. ახლა შეიძლება ცოტა ზიფიკურად მოვუმატე.

**სასიამოვნოა შენი ფიზიკური სიძლიერის აღქმა?**

- ცხოვრებაში არ მიმაჩნია, რომ ძლიერი ვარ. მე ჩვეულებრივი ადამიანი გახლავართ. ხანდახან ხუმრობით ვამბობ, რომ ნაკრებში ყველაზე სუსტი, ნაზი და ახალგაზრდა ქალი მე ვარ მეთქი. ეს მხოლოდ გარეგნულად ჩანს, რომ ასეთი ძლიერი ვარ. შინაგანად კი სხვანაირი გახლავართ.

**- როცა აგებთ ტირით?**

- რა თქმა უნდა, და არა მხოლოდ როცა ვმარცხდები. როცა შეკრებაზე ძალიან გამიჭირდება, როცა გიჟური დატვირთვები უნდა გადავიტანო. მაშინ ვიტირებ, ბოლმას მოვიკლავ და წინ!

**- საქართველოში არ სწყინთ, რომ რუსეთის ნაკრების ღირსებას იცავთ?**

- მათ საწყენი არაფერი აქვთ, რადგან თვითონ გამომიშვეს. 1994 წელს საქართველოდან რომ არ წამოვსულიყავი, სპორტში იმ დონეს ვერ მივაღწევდი, რა დონეზეც ამჟამად ვიმყოფები.

**- სამშობლო შეეცადა თქვენს დაბრუნებას?**

- დიახ და ძალიან აქტიურადაც. ოლიმპიადამდეც და ათენშიც. პრეზიდენტი სააკაშვილი ჩემი დაბრუნების თაობაზე მოლაპარაკებას პირადად აწარმოებდა. მე უარი ვუთხარი.

**- საქართველოზე ნაწყენი ხარ?**

- წყენაში არ არის საქმე. უბრალოდ, საქართველოში ისეთ პირობებს ვერ შემიქმნიან, როგორც აქ. მე კი განვითარება მჭირდება. არც ის მინდა უბრალოდ ხელი ჩავიქნიო და წავიდე ქვეყნიდან, რომელმაც ამდენი გააკეთა ჩემთვის. ეს არ იქნება ლამაზი.

**- თქვენს ცხოვრებაში ყველაფერი ძალიან წარმატებით დაგვირგვინდა. პროფესია - ძიუდო, საცხოვრებელი ადგილი სანკტ-პეტერბურგი...**

- პრეზიდენტ პუტინის ჰობზე მიმანიშნებთ? სიმართლე გითხრათ უაღრესად მადლიერი ვარ, რომ ის ძიუდოში ვარჯიშობს (იცინის).

**ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე თქვენ კოსმოსური ჯარების პროპორშჩიკი იყავით. ოლიმპიური ბრინჯაოს მოგების შემდეგ ლეიტენანტი გახდით. ისურვებდით, პეკინის ოლიმპიადის შემდეგ პირველი ძიუდოისტი ქალი გამხდარიყავით?**

- დიახ, ეს ძალიან საინტერესო იქნებოდა.

ფეხბურთი

# ვარსკვლავობიდან ლეგენდამდე

გასულ კვირაში ბრაზილიის ყოველდღიურ სპორტულ გაზეტში Lance მივიდა წერილი, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად ასახავს მთელი ქვეყნის რეაქციას იმაზე, რომ რონალდინიო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და "ოქროს ბურთი" გადასცეს. "როცა რონალდინიო მინდორზე გადის ბრაზილია ყველა სიდუხჭირეს ივიწყებს. "ბარსელონასა" და ჩვენი ეროვნული გუნდის ვარსკვლავის წყალობით ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ქვეყნით" - ნათქვამია წერილში.



ტოსტაო: "რონალდინიოზე მაღლა მხოლოდ პელეა".

კომპიუტერის საშუალებით პროგრამა რომ შექმნა და ბრაზილიელი ფეხბურთელის ყველა დადებითი თვისება გააერთიანო - რონალდინიო გამოვა. ის საოცრად სწრაფად იღებს სწორ გადაწყვეტილებებს დიდი სისწრაფით გამოირჩევა და უაღრესად ტექნიკური ფეხბურთელია. მისი თამაში კი დელიკატესია ყველა საფეხბურთო გურმანისთვის. ანუ "ბარსელონას" 25 წლის პლეიმეიკერი ღირსეული გამგრძელებელია თავისი ქვეყნის ტრადიციის. ფეხბურთელმა უკვე მიიღო ბრაზილიის ნაკრების გასული ეპოქის ლეგენდარული ფეხბურთელების აღიარება. რონალდინიო საერთაშორისო სარბიელზე 1999 წელს გამოვიდა და პენტაკამპეონების ექს-ფორვარდი კარეკა მას უკვე დითირამბებს უმღერის. კარეკას თქმით, რონალდო კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მეტი არაფერი, რადგან ღირსეულად მხოლოდ მაშინ თამაშობს, როცა აბსოლუტურად ჯანმრთელია. რონალდინიო კი სავსებით სხვა კალიბრის ფეხბურთელია. ის საოცრად ნიჭიერია და ძლიერი ხასიათით გამოირჩევა. რონალდინიო - ნამდვილი გენიოსია.

ზიზინიომ, რომელიც 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრწყინავდა, განაცხადა: "რონალდინიო ბრაზილიურ ფეხბურთში ყველაზე ჭკვიანი ფეხბურთელია". ზიკომ კი თავის მხრივ განაცხადა, რომ რონალდინიოს თავის 10-ნომრიან მაისურს დაუფიქრებლად გადასცემდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რონალდინიო ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა. რონალდინიოს ჰკითხეს, ვინ იყვნენ მისი კერპები. "როცა ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, საერთაშორისო არენაზე რონალდო და რივალდო ბრწყინავდნენ. მე ორივეს უაღრესად დიდ პატივს ვცემ - განაცხადა "ოქროს ბურთის" მფლობელმა - მახსოვს, 8 წლის ვიყავი და ტელევიზორში სეულის ოლიმპიურ თამაშებს ვადევნებდი თვალს. იქ უაღრესად შედეგიანად თამაშობდა რომარიო. ამიტომ, როცა ბავშვობაში ბურთს ვთამაშობდი, ვცდილობდი, რომარიოსთვის მიმებაძა".

სამივე ფეხბურთელს, რომლებიც რონალდინიომ დაასახელა, "ბარსელონა" აერთიანებს. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ბევრმა კლუბმა, ვისაც რონალდინიოს შეძენა სურდა, ფარ-ხმალი დაყარა, როცა საფრანგეთის "პარი სენ-ჟერმენს" "ბარსელონამ" მიმართა წინადადებით. კაცმა რომ თქვას, სხვა გუნდი, სადაც ფეხბურთელი პარიზიდან გადავიდოდა, არც არსებობდა. რონალდინიო ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ადევნებდა ბავშვი თვალს თავისი კერპების თამაშს და შემდეგ მათ ნაკვალევზე წავიდა. ბრაზილიაში ბევრია ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელი, რომელიც თავის დროზე "ფლამენგოს" ან "კორინთიანსზე" ოცნებობდა და ახლა ძილში "ბარსელონას" ან "რეალის" მაისურებში ხედავენ თავს.

რასაკვირველია, მთავარი მიზეზი ფეხბურთელების მიგრაციის ფულია. 8 წლის ბავშვებიც კი ოცნებობენ თავისი საფეხბურთო ხელოვნებით ფული იშოვონ ლამაზი მანქანის შესაძენად და დედისთვის დიდი სახლის ასაშენებლად. ახლა კი ევროპაში გადასვლას კიდევ ერთი პლუსი დაემატა - აქ თანამედროვეობის ყველა საუკეთესო ფეხბურთელი თამაშობს. დღეს უაღრესად რთულია დაამტკიცო, რომ დიდი ფეხბურთელი ხარ, თუ ევროპაში არ თამაშობ. ამას რონალდინიოს კარიერა ადასტურებს. მხოლოდ "ბარსელონაში" გადასვლის შემდეგ მიეცა მას შანსი ერთ რიგში ჩადგეს რომარიოს, რონალდოს და რივალდოს გვერდით.

შეიძლება რონალდინიომ ეს სამეული უკვე დაჩრდილა. ბევრს მიაჩნია, რომ რონალდინიო ცოტა ხანში დაჩრდილავს სამივეს. ზოგი კი ფიქრობს, რომ მან ეს უკვე გააკეთა. ლეგენდარულმა ტოსტაომ, რომელსაც ბრაზილიაში ყველაზე ცნობილ საფეხბურთო კომენტატორად მიიჩნევენ, აღნიშნა: "რონალდინიო უკვე გავიდა ისეთი ოსტატების დონეზე, როგორებიც მარადონა, გარინჩა და დი სტეფანო არიან. მაღლა მხოლოდ პელეა. მას შემდეგ, რაც რონალდინიოს მონაწილეობით ფეხბურთს იხილავ, მის გარეშე უკვე თამაში რაღაც მუქ ფერებში გეჩვენება. ყველაზე თვალსასეირო ფინტებიც კი აღარ გახარებენ. რონალდინიოს ფინტები ინდივიდუალურია, უნიკალურია, საოცარია და ამოუწურავია. ეს არის რეალობისა და ფანტაზიის ერთობა, როგორც გაუდის, პიკასოს, მიროს ან დალის გიჟური ოცნებები".

ჩოგბურთი

# ჰინგისს შარაპოვასთან თამაში სურს

ერთ დროს პირველი ჩოგანი შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი, რომელმაც სამწლიანი შესვენების შემდეგ დიდ ჩოგბურთში დაბრუნება გადაწყვიტა, აპირებს მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელებს გადაუგდოს ხელთათმანი. "როცა ოთხი წლის განმავლობაში მსოფლიოს პირველი ჩოგანი ხარ ადრე, თუ გვიან სურვილი გიჩნდება შეეჯიბრო პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელებს და მოიგო "დიდი სლემის" ტურნირები" - საagენტო "როიტერთან" საუბარში განაცხადა მარტინა ჰინგისმა.

ამასთან 25 წლის ჩოგბურთელმა განაცხადა, რომ დაბრუნების გამო განსაკუთრებულ ილუზიებს არ განიცდის. "ამჟამად არ მინდა ვისაუბრო რაღაც მიზნებზე. მე საგნებს რეალურად აღვიქვამ და არ მსურს ჩემს ოცნებებში ვიცხოვრო" - ამბობს ჰინგისი. შვეიცარიელი აღიარებს, რომ მას ხშირად ეკითხებიან - ვისთან გინდა ყველაზე მეტად თამაში?

"როცა ადამიანები ამის შესახებ მეკითხებიან მე ყოველთვის ვპასუხობ: "მარია შარაპოვასთან". ჯერ ერთი, ის ერთადერთი ჩოგბურთელია პირველი ათეულიდან, რომელსაც არ შევხვედრივარ. მეორე კი ის, რომ მან უიმბლდონის ტურნირი მოიგო და უკვე იყო მსოფლიოს პირველი ჩოგანი" - განმარტა ჰინგისმა.

შეგახსენებთ, რომ მარტინა ჰინგისი ძალიან მეგობრობდა ანა კურნიკოვასთან, რომელთანაც წყვილთა თანრიგში 11 ტურნირი მოიგო. მათ შორის ორჯერ ავსტრალიის ღია ჩემპიონატიც - 1999 და 2002 წლებში.

ჰინგისის თქმით, როცა ის ხედავს ლინდსი დევენპორტს, ამელი მორესმოს, კიმ კლიისტერსს და ჟიუსტინ ენინ-არდენს, რომლებიც დღემდე სათავეში უდგანან პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგს, ხვდება, რომ მასაც ძალიან კარგი შანსი აქვს კვლავ კარგად ათამაშდეს.

მარტინა ჰინგისი დიდი ჩოგბურთიდან 2002 წელს ფეხის ქრონიკული ტრავმის გამო წავიდა. 1994-დან 2002 წლამდე მარტინა ჰინგისმა, საერთო ჯამში, ერთეულთა თანრიგში 40 ტიტული მოიგო. მათ შორის ხუთი "დიდი სლემის" ტურნირი იყო.

# მშვენიერი ქართველი ქალი

სოფიო თოდუა

*წარმატებული მიუზიკლის შემდეგ ახმეტელის თეატრი ახალ პრემიერას გვთავაზობს - ამჯერად არჩევანი მონოსპექტაკლზე შეჩერდა, რომლის ავტორი და შემსრულებელი ნატო გაგნიძე გახლავთ, რეჟისურა კი მის მეუღლეს, მიშა ბუკიას ეკუთვნის. ქალ მწერლებს სჩვევიათ ხოლმე, ხაზგასმით მასკულინურ პრობლემებს შეეჭიდებიან და წარუმატებლობის შემთხვევაში თავს იმით იმართლებენ, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები არიან. ნატო გაგნიძეს ეს საშიშროება არ ელის იმ მარტივი მიზეზით, რომ ის ჭკვიანი ქალია და როგორც ყველა ჭკვიანი დედაკაცი, სწორედ იმ თემებზე წერს და იმ როლებს თამაშობს, რაც მისთვის ძალზე ახლობელია.*

ბოლო დროს ქართულ სცენაზე იმდენი მონოსპექტაკლი ვნახეთ, ცოტაც და, დავიჯერებთ, რომ ამ ჟანრის მოზღვავება ჩვენი მატერიალური მდგომარეობითაა განპირობებული. იქნებ ეს ასეცაა, მაგრამ ნატო გაგნიძის შემთხვევაში ფინანსური პრობლემები გვერდზე უნდა გადავდოთ და დრამატურგის არჩევანი ახალი ფორმების ძიებით ავხსნათ. როგორც მსახიობს, მას ფართო საზოგადოება უფრო კინოფილმებიდან იცნობს. კარგად გვახსოვს მისი კიკუ ("დათა თუთაშხია") და კატო ("ამბავი ივანე კოტორაშვილისა"). არადა, ის თავის დროზე რუსთაველის თეატრის არტისტი იყო, თანაც პერსპექტიული, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, მსახიობებს რეჟისორობისა და დრამატურგობის ჟინი წამოუვლით და სცენას ადვილად ელევიან. სამწუხაროდ, საზოგადოება ნაკლებად იცნობს დრამატურგ ნატო გაგნიძეს და თითქმის არ იცნობს რეჟისორ გაგნიძეს, რაც ნამდვილად ჩვენმა სიდუხჭირემ და ავტორის მოკრძალებულმა ხასიათმა განსაზღვრა. მე გამიმართლა, მისი პიესებიც მაქვს წაკითხული და ერთი კარგი სპექტაკლიც მინახავს ქუთაისის თეატრის სცენაზე, რომელიც მან და აკაკი ბაქრაძემ ერთობლივად შექმნეს. რაც შეეხება დღევანდელ პრემიერას, უნდა ვაღიაროთ, რომ დრამატურგისა და მსახიობის პაექრობა ფრედ დამთავრდა და მოგებული მაყურებელი დარჩა. "ECCE FEMINA" სწორედ ის სპექტაკლია, რომელიც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ თეატრალურ ხელოვნებას სინთეზურობა განსაზღვრავს. ამას იმადაც მოგახსენებთ, რომ ბოლო დროს ქართულ სცენაზე წარმატებას ან მხოლოდ რეჟისორის რენომე განსაზღვრავს, ან მხოლოდ დრამატურგისა და მსახიობის.



ნატო გაგნიძე.

როგორ უნდა მოიქცეს დრამატურგი, როცა სცენაზე ისტორიული პერსონაჟების გაცოცხლებას აპირებს? ცოტა ხნით უნდა დაივიწყოს ბავშვობიდან გამოყოლილი შთაბეჭდილებები და ისტორია დღევანდელი გადმოსახედიდან შეაფასოს. ეს ის შემთხვევაა, როცა დრამატურგი ისტორიულ ანალებსა თუ ლიტერატურულ ტექსტებში ამოკითხულ ეპიზოდებს უცვლელად ტოვებს, მაგრამ ამ არაჩვეულებრივი, თუმცა ხშირად ძუნწი ინფორმაციის მიღმა მისეულ კომენტარებს გვასმენინებს. დრამატურგი ისტორიის ახლებური წაკითხვისაკენ არ გვიბიძგებს, ის უბრალოდ იმ ადგილების შევსებას ცდილობს, რაც ნუსხახუცურით დაწერილ სტრიქონებს შორის იკითხება. ძველქართულად ამეტყველებული მონოლოგების ფონზე თანამედროვე ქართულზე წარმოთქმული ტექსტები კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ქალი-წმინდანი თუ ქალი-მეფე ერთდროულად მკაცრიც შეიძლება იყოს და ლმობიერიც, გამბედავიც და შემკრთალიც, სასოწარკვეთილიც და თვითდაჯერებულიც. წმინდა ნინო, თამარი, ქეთევანი, მარიამი... ამ სახეების სცენაზე გაცოცხლება ადვილიცაა და ძნელიც. ადვილი იმიტომ, რომ ყალბი პათეტიკის წყალობით მაყურებელს ერთ-ორ ცრემლს მაინც დააღვრევინებ და აპლოდისმენტებიც გარანტირებულია. მაგრამ ნატო გაგნიძის პიესა სხვა აუდიტორიაზეა გათვლილი, ამ ყაიდის მაყურებლის გულის მოგება კი არც ისე ადვილია. ამიტომაც დრამატურგი თამაშის ერთგვარ წესს ამკვიდრებს: ის ისტორიას ჩვენთან ერთად კითხულობს და კითხვის პროცესში გზადაგზა ფერად ილუსტრაციებსაც გვთავაზობს. აქ განცდებს არ "თამაშობენ", აქ უბრალოდ განიცდიან და მაყურებელიცა და ავტორიც წარსულს ერთნაირად აღიქვამენ.

როგორ უნდა მოიქცეს მსახიობი, რომელსაც სცენაზე თუ ეკრანზე ბევრი თამარი, ქეთევანი და მარიამი უნახავს? ალბათ, ყველა მათგანი უნდა გაიხსენოს და ნაცნობი პერსონაჟები ახალი შტრიხებით გაამდიდროს, თანაც ისე, რომ ეს ოთხი სხვადასხვა ქალი ერთ ფემინად აქციოს. ამ ქალებს ღმერთმა განსხვავებული ბედი არგუნა, თუმცა ოთხივეს განგებამ ისტორიული მისია დააკისრა. ნატო გაგნიძე ამ მსგავსება-განსხვავებას გარდასახვის საშუალებით არ აღწევს. პირიქით, ოთხივეს ერთი საზომით უდგება, ერთი რაკურსით აღიქვამს, თუმცა არასდროს ავიწყდება, რომ ზღვარი რეალურსა და წარმოსახვითს შორის მაყურებელს სწორედ მსახიობმა უნდა დაანახოს. ის ერთგვარ პროვოკაციაზე მიდის, მიზანსცენებზე თითქმის უარს ამბობს და მხოლოდ ძუნწი შტრიხებით ცდილობს აუდიტორიაზე გავლენის მოხდენას. აქ მაჟორულ ნოტებს მინორული ინტონაცია ენაცვლება, პათეტიკურ განწყობას თავშეკავებული ჟესტ-მიმიკა ცვლის, მოქნილი პლასტიკა კი ზედმიწევნით ესადაგება კამერულ განწყობას. რაც შეეხება სცენოგრაფიას, შეიძლებოდა, უფრო დიდი დოზით ყოფილიყო წარმოდგენილი, მით უფრო, რომ ახმეტელის თეატრის სცენა ამის შესაძლებლობას იძლევა. რეჟისორმა, როგორც ჩანს, მონოსპექტაკლის სპეციფიკიდან გამომდინარე, კულისებში ყოფნა ამჯობინა და ავანსცენა დრამატურგსა და მსახიობს დაუთმო. სხვა საქმეა, გაართმევდა თუ არა თავს ამ რთულ როლს კარგი მსახიობი, გვერდით ასევე კარგი რეჟისორი რომ არ ეგულებოდეს.

თეატრების ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის ფონზე ეს სპექტაკლი ერთგვარ გამოწვევად აღიქმება. ის ნაკლებად მოეწონებათ თეატრის მომავალ პირველ პირებს (სავარაუდოდ - ყოფილ ბუღალტრებს), მაგრამ აუცილებლად მოეწონება გემოვნებიან მაყურებელს. გაითვალისწინებენ თუ არა ამ უკანასკნელის მოთხოვნილებებს ეს ჩვენი დირექტორები, ინტენდანტები თუ მმართველები, ამას მომავალი გვიჩვენებს. მანამდე კი ახმეტელის თეატრში, სადაც პრინციპულად არ აპირებენ რეპერტუარის გაფართოებას საეჭვო ღირებულების პიესების ხარჯზე, ნატო გაგნიძის "ფემინას" იმდენივე მაყურებელი დაესწრება, რამდენიც ესწრება ხოლმე ამ თეატრის სხვა წარმოდგენებს. კულტურის სფეროში დასაქმებულ მოხელეებს კი ვურჩევ, ხშირად იარონ თეატრებში, მათ შორის - გლდანშიც და მხოლოდ ამის შემდეგ ილაპარაკონ ხელოვნების ამ დარგის აუცილებელ კომერციალიზაციაზე.


## 154-ე თეატრალური სეზონი

11 დეკემბერი
პრემიერა

ჯუზეპე ვერდი
**რექვიემი**

**მაყვალა ქასრაშვილი**
**ნატო ჭყონია**
**ბადრი მაისურაძე**
**პაატა ბურჭულაძე**

ოპერისა და ბალეტის თეატრის
სიმფონიური ორკესტრი და გუნდი
დირიჟორი - **ზაზა აზმაიფარაშვილი**
მთავარი ქორმაისტერი - **ავთანდილ ჩხენკელი**
ქორმაისტერი - **შალვა შაორშაძე**
ორკესტრის კონცერტმაისტერი - **ლელა მჭედლიძე**
ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი და
მთავარი დირიჟორი
**ზაზა აზმაიფარაშვილი**

**დასაწყისი 19 საათზე**



**თბილისის ი. ავჭავაძის სახელობის**
**23-ე საშუალო სკოლა**
**აცხადებს კონკურსს**
**სკოლის ინფორმაციული მენეჯერის ვაკანსიაზე**
(ერთი საშტატო ერთეული)

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**
უმაღლესი განათლება;
ინგლისური ენის ცოდნა;
ორგანიზაციული ნიჭი;
პროექტებზე მუშაობის გამოცდილება;
საკომუნიკაციო უნარჩვევები;
კომპიუტერულ პროგრამებზე (Word, Exel, Linux) მუშაობის გამოცდილება;

**კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:**
CV;
განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
მოტივაციის წერილი;
თბილისის 23-ე საშუალო სკოლის კანცელარიაში ა. წ. 22 დეკემბრამდე.
მისამართი: უზნაძის ქ. №59, 23-ე სკოლა, I სართული, ოთახი №101.
ტელ: 95 07 42.


# მრავალჯერადი გული

საცდელი რომანი თერაპიის ეფექტით

სოფო კილასონია

ტელეფონის ზარი: - გამარჯობა, ხვალ ორ საათზე, წიგნის პრეზენტაციაა, ერთი ახალგაზრდა მწერალი, უფრო სწორად, ადამიანი, რომელიც წერს, საკუთარ პირველ რომანს წარმოგვიდგენს. ზვიად დევდარიანი. იქნებ და მობრძანდეთ: სანაპიროს 10, მოკლედ 03-ში.

- სად?

- სასწრაფოში, მოსაწვევს გამოგიგზანით, - გამოაგზავნეს კიდეც. სტანდარტული მოსაწვევის ნაცვლად ჩემს სახელზე გამზადებული სამედიცინო ბარათი შემრჩა ხელში: დიაგნოზი შემოსვლისას: გული სტკივა, იმედს არ კარგავს, ფიქრობს, ნერვები ეშლება, უყვარს, იძაბება, სწამს, წარსულს იხსენებს, მომავალს ქმნის, იბრძვის, განიცდის, უხარია, დავობს, იმარჯვებს, მარცხდება, სჯერა, გარდაცვლილებს არ ივიწყებს, მეგობრობს, მუშაობს, ქმნის, ეძიებს, ჰპოვებს. მკურნალობის სახე: ზვიად დევდარიანის ერთი ყლუპი საცდელი რომანი "მრავალჯერადი გული". დანიშნულებაში კი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში – 03-ში დამპატიჟეს.

პარასკევს საღამოს ასეთი მიწვევა კიდევ რამდენიმე ათეულმა ადამიანმა მიიღო და დამეთანხმებით, რომ ყველა თუ არა უმრავლესობა მაინც უკომენტაროდ მივიდოდა და ასეც მოხდა. თავიდან ბოლომდე გამართული პიარი, სრულიად გამორჩეული პრეზენტაციის წარმატების მომტანი გახდა. არც მისულებს დაგხვედრიან მარტივად. ახალი წიგნის ავტორი სასწრაფოს ექიმის სამოსში და ფონეიდოსკოპით გულდამშვენებული შემოგვეგება. გასაყიდად გამზადებული წიგნები კი ავადმყოფის სტანდარტულ სარეცელზე მიმობნეული. წიგნი ეძღვნება ქალს, რომელიც ერთგულებას ითხოვს, რატომ ქალს და არა მამაკაცს, რომელსაც შეიძლება ერთგულება ასევე სჭირდებოდეს? ასეთი ღია კითხვები ხშირად გვებადება, მაგრამ კითხვის პროცესში ასოციაციურად თუ პირდაპირ ავტორისეულ მოსაზრება-პასუხებს მაინც ვაწყდებით. ზვიად დევდარიანმა გვითხრა, რომ "მრავალჯერადი გული" პოეზიისა და პროზის ნაზავია, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის აღსანიშნავი. ვისაც წაკითხული ჰქონდა, ამბობდა, რომ მან ახალი ენა და სულ სხვა მეტყველება შექმნა. პირადად მე კი იმას ვიტყოდი, რომ წიგნის გარკვეულ სტრუქტურულ ლაბირინთებში ნელა-ნელა იხაზება მწერლის გული, როგორც მისი შიდა სამყარო, განცდებისა და შეგრძნებების კვანძი და მისივე "დასახლება", ანუ გარემო და ის ადამიანური სილუეტები, რომლებიც მის გარშემო, მასთან ახლოს ტრიალებენ.



ზვიად დევდარიანი.

"ალბათ გაინტერესებთ, რატომ შევიკრიბეთ სასწრაფოში. ყოველთვის ისმება კითხვა, რა მისია აქვს ამა თუ იმ ადამიანსა და მის პროფესიას ცხოვრებაში? ვფიქრობ, რომ მწერალი და შემოქმედი ადამიანი არის ექიმი. ოღონდაც მტკივნეულად არ აღიქვათ ის, რომ მკითხველები ავადმოყოფები არიან. ამ შემთხვევაში ჩვენ თავად, ხელოვანები ვართ დაავადებულნი, დაავადებული ექიმები. ჩემი აზრით, კარგი ექიმი ისაა, ვინც კარგად იცის, თავად რა სჭირს და როგორ უნდა განიკურნოს. გული კი ის ორგანოა, რომელიც განიცდის ყველაფერს, რაც მასთან მიდის თვალების, ხელების და კიდევ სხვა ორგანოების გავლით... წიგნის დაწერას პრინციპში არც არასდროს ვფიქრობდი, მაგრამ მომინდა, მეთქვა ის და მელაპარაკა იმაზე, რაც ჩემს გარშემო ხდება, მაგრამ ეს წიგნი არ არის ჩემზე. ეს არის ჩემი თვალით დანახული სამყარო, ჩემი გულით ნაგრძნობი ყოველდღიურობა, ეს წიგნი ყველანაირ გულზეა, განცდების გულზე, ბიოლოგიურ გულზე. აქ არის კიდევ ჩემი დასახლება." – გვითხრა ზვიად დევდარიანმა, რომელმაც მაქსიმალური სხარტი აზროვნებითა და დინამიკური მეტყველებითა და ფრაზებით ძალიან მარტივად დაგვანახა გული და აღწერა დასახლება. გარემო სავსე ნახევარფაბრიკატი ადამიანებითა და სუბიექტებით, სივრცეთა ქსელი, რომლებიც სხვადასხვა გზებით უკავშირდება ერთმანეთს, მაგრამ მაინც დღითი დღე ცარიელდება. "მე ამ "დასახლებაში", რომელსაც აბსურდული საზღვრები აქვს – რა თქმა უნდა, "გულიც" დავინახე, ჩვენი გაუბედურებული დასახლებაც და კარგი კინოც, რომელიც ყველაზე მეტად თეო ანგელოპულოსს ჰგავს, ერთგვარი "ქორეოგრაფიული პროზა", სადაც სახე გადაადგილებით იქმნება" – წერს გოგი გვახარია წიგნის უკანასკნელ გვერდზე და უნდა ითქვას, რომ ამ პატარა აბზაცში თითქმის ყველაფერს ამბობს, რაც უნდა ითქვას ამ წიგნის შესახებ, თუმცა ამას მხოლოდ ისინი მიხვდებიან, ვინც დევდარიანის მრავალჯერად გულში კარგად ჩაიხედავს.

"მრავალჯერადი გული" ჩემთვის მაინც ლიტერატურული აბსტრაქციაა, ოღონდაც ის აბსტრაქცია, სადაც ძალიან ძვირფასი ფორმები განცდებითა და ლაკონური ფორმებით მაინც ჩანს და საოცარ ხიბლს უქმნის სურათს. ალბათ ამიტომაც ამბობენ, რომ "ეს რომანი საბჭოთა დროში რომ დაწერილიყო, მას აუცილებლად "ფორმალიზმით გატაცებას" დააბრალებდნენ და რასაკვირველია, აკრძალავდნენო".

ზვიად დევდარიანის პირველი პროზაული ნაწარმოები ის წიგნია, რომლის წაკითხვა ერთ ღამეში მოხდება და თანაც დიდი ინტერესით, პაუზების გარეშე. პირველი გვერდი და ხვდები, რომ ავტორი ცდილობს მაქსიმალურ გულწრფელობას მიაღწიოს, მეორე გვერდზე გადადიხარ და ხვდები, მისი ცხოვრება, "რომელიც ჭიქაში მიმდინარეობს" მისიცაა, კონკრეტულიცაა და თანაც ზოგადი, შესაძლოა შენიც. მესამე გვერდი და მერე აღარ ითვლი...იწყება თერაპია, ანდა თვითგანკურნება, როგორც გნებავთ და ბოლოში რომ აღმოჩნდებით, მაშინ მიხვდებით: "რომ დაბრუნდე, ჯერ უნდა წახვიდე."


ნაუტილუსი

- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
  უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

"ნაუტილუსი" აცხადებს მნიშვნელოვან საახალწლო **ფასდაკლებას (25% - 50%)** "წონაში კლების და გაჯანსა-ღების" ახალ პროგრამაზე და ფიტნეს კლუბ "ნაუტილუს"-ში.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge
Web-site: www.nautilus.ge


# ვაკის აუზი და ფიტნეს კლუბი 1 წლისაა









